ლუიზა აფხაზავა-თვალაძე

როგორ იპოვა ჟაკომ „სამართლის წიგნი"



„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია"
(მოთა)

ლ უ ი ზ ა ა ფ ხ ა ზ ა ვ ა - თ ვ ა ლ ა ძ ე

რ ო გ ო რ ი პ ო ვ ა ჟ ა კ ო მ
„ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი“

(ი ს ტ ო რ ი უ ლ — გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი პ ო ე მ ა — ზ ღ ა პ ა რ ი)

„ვეფხისტყაოსნის“ სადიდებლად

ვუძღვნი ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს

თბილისი
2018 წელი

რედაქტორი — ზაზა თვალაძე
კორექტორი — ვარდი თვალაძე
დამკაბადონებელი — ტარიელ პაპინაშვილი
ყდის მხატვარი — ლელა ცინაძე

ყველა უფლება დაცულია ©

გამომცემლობა „დემე“

ს/კ 404503970

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

ყოველი ნაწარმოები მისი შემოქმედის სულის, გულის, ინტელექტის ნაყოფია. ამასთანავე, ამქვეყნად მოვლინების საბაბი და მიზანი გააჩნია...

2012 წლის დასაწყისში ხელახლა გადავიკითხე რამდენიმე წიგნი, მათ შორის, პოეტ მამუკა სალუქვაძის ნაწარმოები „თუთიყუშ ჟაკოს თავგადასავალი“ (არ გაგიკვირდეთ, მე ახლა ბავშვობის ასაკში შევდივარ!). კვლავ მოვიხიბლე! ასეთი საინტერესო სიუჟეტის, ემოციური დინამიკისა და ენციკლოპედიური ინფორმაციის საბავშვო პოემა იშვიათია!... მადლობა მამუკას.

პოემა მთავრდება ავტორის თხოვნით – ვაცნობოთ ჟაკო ჟაკის ადგილსამყოფელი...

პენსიონერი პედაგოგი ახალგაზრდული სურვილით ავენთე: ჟაკი საქართველოში უნდა ჩამოვიყვანო და აქ ვაპოვნინო „სამართლის წიგნი“, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეძებდა!...

ვიშრომე და ეს პოემა თქვენთვის (დიდი სიყვარულით) შევთხზე.

ავტორი.

2 0 1 2 წელი
თბილისი

წ ი გ ნ ი ს ი მ ა რ თ ლ ე ზ ე

ეს შესანიშნავი წიგნი იმ სიმართლეზეა, რასაც წარსული გვკარნახობს და როგორც ეს კარნახი ქალბატონ ლუიზა აფხაზავა – თვალაძეს ესმის. ესმის და გვიზიარებს. თან იმ ფორმით, რაც ყველა ჩვენგანისთვის ახლობელია – ლექსით. მთელი ისტორია თქვენს ხელისგულზეა. თან მხოლოდ სალექსო ფორმის ფლობა არ არის უმთავრესი, არ იფიქროთ, ქალბატონი ლუიზა მარტო ნიჭზე დაყრდნობით გადიოდეს ფონს – წიგნი ტიტანურ ნამუშევარს გულისხმობს და ამის დასტური ის განმარტებებია, ყოველ გვერდზე რომ ამდიდრებს ჩვენს ცოდნას.

მოკლედ, მიჰყევით ამ წიგნს!

2017 წ.
თბილისი



საქართველო



შოთა რუსთაველი

სარფი

მოგესალმებით, კეთილო ხალხო,
ჟაკოზე ამბავს ვინაც მოელით,
მსურს, გაგიმხილოთ მისი სამყოფი
და დაწვრილებით გითხრათ ყოველი.

„დიდყურას“[1] ბანდის გაწყვეტის ცნობამ
ჟაკს მოაგონა ჩიკჩანის თხოვნა,
არსობის მიზნად რომ გაეხადა
„სამართლის წიგნის“ უდავოდ პოვნა.

თითქმის დასერა მსოფლიო მთელი,
მაგრამ ვერ პოვა წიგნის მცოდნელი....
მართალი იყო ჩილანი – „გველი.“
ბრძენი ჩიკჩანი, ბელადი, ქველი![2]

ჟაკოს ოჯახიც არ შეუქმნია,
ამ წიგნს ეძებდა ღამით, თუ დღისით
და სხვა რამ მიზნად არ გაუხდია —
მხოლოდ ეპოვა მისია[3] თვისი! ...

ერთხელ გონებამ, მოგონებებით,
გადააფრინა ცხრაას თხუთმეტში,
საქართველოზე როცა უამბო,
გლეხმა ლაზარემ[4] ჟაკოს თურქეთში.

უთხრა, რომ „იქით, კავკასიაში“,
არსებობს ერთი ქვეყანა, ძველი,
რომ მისი მთები, ჭრელკაბა ველნი
დალოცვილია მადლმოსილ ზენით!

რომ „დიდი ყოფილა ადრე საქართველო“[5]—
–შავშეთ[6]–კლარჯეთით[7] და ბასიანით[8],
ოპიზის ტაძრით[9], მადლიანით,
შატბერდით,[10] წიგნით და ვაზიანით..

რომ „სამართლის წიგნს“ საქართველოში
„ვეფხისტყაოსანს“[11] უწოდებს ყველა,
ის შოთა რუსთველს დაუწერია,
მას შეუძლია ერების შველა!

გაახსენდა და ბარგი შეფუთა.
გადაიფრინა წყლის სივრცე, დიდი,
ირანს და თურქეთს არც კი დახედა,
ირჩია სარფი,[12] სოფელი, მშვიდი.

***

ქართულ ნაწილში ჩაფრინდა ჟაკი.
ოდა–სახლები მწვანეში დგანან,
საოცარ სურნელს აფრქვევენ ირგვლივ:
ჩაი, ციტრუსი, სიმინდის ყანა.

განმარტება

1. დიდყურა – მამუკა სალუქვაძის წიგნის („თუთიყუშ ჟაკოს თავგადასავალი“) პერსონაჟი. ცნობილი მაფიოზის, ალ კაპონეს, ბანდის წევრი.

2. ქველი – (ძვ.) 1. მოწყალე, კეთილი. 2. მხნე, გულადი.

3. მისია – (ლათ.) 1. საგანგებო, საპასუხისმგებლო დავალება, დანიშნულება, როლი.

4. ლაზარე (მ. სალუქვაძის წიგნიდან)– ქართველური ტომის წარმომადგენელი, ლაზი კაცი (ლაზეთი ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა მოქცეული).

5. „დიდი ყოფილა ადრე საქართველო“ – ციტატა პოეტ მურმან ლებანიძის ლექსიდან.

6. შავშეთი – მდებარეობდა ძველი, ისტორიული საქართველოს სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. იქ ბევრი ეკლესია–მონასტერი არსებობდა.

7. კლარჯეთი – მდებარეობდა ისტორიული საქართველოს სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში. მოიცავდა მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზს, არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე ტერიტორიას. ამჟამად თურქეთს ეკუთვნის.

8. ბასიანი – პროვინცია ისტორიულ სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში, მდ. არაქსის სათავეში. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. რუმის სულთანმა, რუქნადინმა, შავი ზღვისპირეთის ხელში ჩაგდება განიზრახა და 100 000 ჯარისკაცით საქართველოზე გამოილაშქრა. თამარ მეფეს ელჩი გაუგზავნა–უბრძოლველად დამორჩილება მოსთხოვა. თამარი, რა თქმა უნდა, არ დაემორჩილა, მისმა მეუღლემ, დავით სოსლანმა, უსარდლა ქართველთა ლაშქარს, ქართველებმა მტერი დაამარცხეს.

9. ოპიზა – VIII ს–ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მონასტერი, ისტორიულ კლარჯეთში. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. იქ მოღვაწეობდნენ საეკლესიო პირები: გრიგოლ ხანძთელი, მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი მაწყვერელი, ოქრომჭედლები: ბექა და ბეშქენ ოპიზრები.

10. შატბერდი – შუა საუკუნეების ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა (ეგ.წ. საქართველოს სინა.), მონასტერი ისტორიულ სამხ–დას. საქართველოში. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. ტაძარი გრიგოლ ხანძთელმა IX ს–ში დააარსა. იქ ითარგმნებოდა და იწერებოდა მრავალი წიგნი.

11. „ვეფხისტყაოსანი“– შოთა რუსთაველის პოემა. დაიწერა XII ს–ში. საგმირო – სარაინდო – სათავგადასავლო ჟანრისა. „ვეფხისტყაოსანი“ ადიდებს სიყვარულს, მეგობრობას, გულადობას, სიკეთის ქმნას, პატრიოტიზმს, ჰუმანიზმს.

12. სარფი – სოფელი აჭარაში, შავი ზღვის სანაპიროზე. სოფელზე თურქეთ–საქართველოს საზღვარი გადის.

ერთი ეზოს წინ ორ ბიჭს წააწყდა,
რიკტაფელათი[1] თამაშში გართულს.
ტოტზე შემოჯდა სტუმარი ჟაკი,
ყური დაუგდო ბავშვების ქართულს.

აი, ჩიტუნას სად გამოადგა
ლაზი ლაზარეს გაკვეთილები!
ხიდან ისკუპა გახარებულმა
და „გაუსინჯა“ ბიჭებს კბილები.[2]

— მოგესალმებით, ქვეყნის შვილებო!
დაიწყო ჟაკომ უცბად ქაქანი,
ერთის თავიდან მხარზე ინაცვლა,
გამოიყენა, როგორც ბაქანი.

ქართული სიტყვა ბიჭებს ეამათ,
–Buenas dias, caro amigo![3]
შენი მსგავსები აქ არ ბუდობენ,
სადაური ხარ? გვინდა, გავიგოთ!

რისთვის მოსულხარ, გვითხარ, რა გინდა
(ეგზოტიკური ჩიტის სტუმრობით
დაინტერესდნენ ვახო და კაკო)?!
–თქვენი გაცნობა! – მიუგო ჟაკომ,—

ჩემი დიდი ხნის ოცნება გახლდათ,
რომ საქართველო ახლოს მენახა,
გადმომეფრინა ზღვა და ხმელეთი,
ოკეანეც კი გადმომელახა.

კი ამისრულდა ნატვრის ნაწილი,
მაგრამ მე მაინც სულ სხვა რამ მინდა:
უნდა ვიპოვო „სამართლის წიგნი“—
კაცობრიობის ლამპარი,[4] წმინდა!

მაიას ტომის[5] დიდ ბელად ჩიკჩანს
ეგონა, ამ წიგნს ვერ მივაგნებდი,
მაგრამ მოხუცმა ლაზმა ლაზარემ
აქ მომასწავლა, მეც ბედს დავნებდი!

—“ვეფხისტყაოსანს“ გინდა გაეცნო?!–
ატეხეს ძმებმა ორომტრიალი,[6] –
ჩვენს მასწავლებელს შეგახვედრებთო,
წააცუნცულეს ბზრიალ–ტკრციალით.

ავთანდილი „მასწ.“ თბილად შემოხვდათ,
ალერსიანად მიიღო ჟაკო,
თან გაიკვირვა, – როგორ მოვიდა?!...
– ჩვენ ვიპოვეთო! – მიუგო კაკომ.

როგორც მასპინძელს ევალებოდა,
მასწავლებელმა აიღო ყანწი,
ჩაალიკლიკა ვერცხლის სურიდან
სურნელოვანი არაყი, ანწლის.[7]

—ჟაკო, თამამად კი ლაპარაკობ,
მაგრამ სასმელი მოქმედებს ძალზე.
„ვეფხისტყაოსანს“ გინდა გაეცნო?!
ვილაპარაკოთ მე და შენ მასზე.

თუთი გასწორდა, ფრთა ფრთას შემოჭრა,
მერე ტახტიდან სკამზე გადახტა,
მათი შეხვედრის სადღეგრძელები
პაწაწა ყანწით უცბად გადაკრა!

—ვაშა! – შესძახეს მას მასპინძლებმა
და ჩამოართვეს ხელ–ფრთა კაცურად.
არაყმა ჩიტი შეაბარბაცა,
სკამის ზურგიდან ჩამოაცურა!

განმარტება

1. რიკტაფელა – რიკი და ტაფელა (მოკლე და გრძელი ჯოხები), ბავშვების სათამაშო. ტაფელათი რიკს შორს გადაისვრიან. მოწინააღმდეგე ცდილობს ჰაერშივე დაიჭიროს. იგივე ჩილიკობა.

2. გაუსინჯა ბიჭებს კბილები– თუთიყუშს უყვარს ადამიანის კბილებზე ნისკარტით კაკუნი. ეს გამოთქმა გადატანითი მნიშვნელობითაც გამოიყენება, ნიშნავს სხვისი შესაძლებლობის, უნარის მოსინჯვას.

3. Buenas dias, caro amigo — დღე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

4. ლამპარი — (ძველი). გასანათებელი, პატრუქიანი (ბამბის ძაფიანი). ჭურჭელი, რომელშიც ზეთს ასხამენ. **ლამპა** — (ფრ.) – გასანათებელი ხელსაწყო. ჭურჭელში ასხია ზეთი, ან ნავთი და მით გაჟღენთილ პატრუქს ცეცხლს როცა მოუკიდებთ, ინთება.

5. მაიას ტომი — ტომი აღნიშნავს წინაკლასობრივ საზოგადოებაში ეთნიკური და სოციალური ერთიანობის ტიპს. ახასიათებს სისხლით ნათესაური კავშირი. ტომის წევრებს აქვთ ერთი ენა, ტერიტორია, ცხოვრების წესები. მაიას ტომი (მაიას ხალხი) ცხოვრობდა მექსიკაში. ისინი იყვნენ ინდიელები. მათ შექმნეს ამერიკის უძველესი ცივილიზაცია (ლათინურად ცივილის ნიშნავს სამოქალაქოს) ანუ კულტურა. მისდევდნენ ხელოსნობას. ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, იცნობდნენ მედიცინას, მათემატიკას, ასტრონომიას; შექმნეს კალენდარი. შემორჩენილია მათი პირამიდები, ტაძრები, მმართველთა რეზიდენციები, სათამაშო მოედნები, ქანდაკებები.

6. ორომტრიალი — ფუსფუსი, უწესრიგობა, აურზაური.

7. ანწლი — მცენარე: ისხამს შავ ან წითელ წვრილ ნაყოფებს, რომელიც წრიული ფორმითაა ღეროზე. ამზადებენ ნაყენს (შაქრის დაყრით), რომელიც ძალიან სასარგებლოა მუცლის ტკივილის დროს, ხდიან გემრიელ არაყს. ათეული წლების წინ მისგან ამზადებდნენ საწერ მელანს, რომელშიც აწებდნენ ფრთის წვერს ან კალამს.

არ შეიმჩნია! ისევ აცოცდა
და ახუნტრუცდა,[1] როგორც ჩოკინა,
ნარინჯისფერი ნისკარტი გახსნა
და გემრიელად დაასლოკინა.

—გაამოს! – ერთხმად დალოცა ყველამ.
ავთანდილი ჩიტს ცხვირწინ დაუჯდა:
—თქვი, თუთიყუშო, კოხტავ, ლამაზო,
თქვენს ბრწყინვალებას ვუსმენ, რა უნდა?!

ააჟღურტულა ყელი ჟაკ ჟაკომ
(ცოტა არ იყოს, გახლდათ ბაქია),
ჩქარა და წვრილად უამბო ყველას
მდიდარი ავტობიოგრაფია.

მერე ჟაკუნა გადიქცა[2] სმენად,
მისთვის ჰყვებოდნენ „ვეფხისტყაოსანს“...
ჩიტი დარწმუნდა, დედამიწაზე
არ შეხვედრია ასეთ დიდ მგოსანს!

ამ საოცრების გაცნობის შემდეგ
ისე გაკაჟდა, როგორც კლდე, სალი,
სული სითბოთი გაუფაქიზდა
და აეხილა გონების თვალი!

მასწავლებელმა თხრობა განაგრძო
(იმაზე უკეთ შეძლებდა ვინმე?).
ყოველი ფრაზა გაუშიფრა[3] და
ასე განმარტა ამ წიგნის სიღრმე:[4]

—სამართლის ძალა ძალზე დიდია!—
პოემა მკითხველს არწმუნებს წრფელად,
რომ ქმნა მართლისა სამართალისა,
„ხმელ ხეს გარდაქმნის სრულყოფილ ნედლად“.[5]

როცა შეიცნობ ამ წიგნის სიბრძნეს,
წინ გაგიძღვება სამოთხის გიდად,[6]
აღარასოდეს დაგავიწყდება,
სულში ჩაგრჩება ცხოვრების ჰიმნად.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად!“[7]

ჩვენს სამშობლოში ამ აფორიზმებს
წმინდა სალოცავ ჰანგად მღერიან:
„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი ერძელია“![7]
„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“[7]

უფალმა შექმნა ადამ და ევა,
სიყვარული და რწმენა ასწავლა,
მაგრამ ქმნილებამ უღალატა და
ეშმას რჩევაში უმალ გაცვალა.

აღთქმული სიტყვის არშენახვისთვის
უფალმა წყვილი მკაცრად განსაჯა:
საკვები ლუკმის მოსაპოვებლად
დედამიწაზე შრომით დასაჯა.

განმარტება

1. ახუნტრუცდა — ხტუნვა დაიწყო, არასერიოზულად იქცეოდა.

2. გადიქცა — გადაიქცა (მკითხველს ბოდიშს ვუხდი, რადგან რითმისა და რიტმის შენარჩუნების გამო ზოგჯერ იძულებული ვარ, გრამატიკული ფორმები დავარღვიო).

3. გაუშიფრა — (შიფრი, ფრანგულად საიდუმლო წერილ-ისთვის პირობითი ნიშნები) — განუმარტა.

4. წიგნის სიღრმე — აქ ნიშნავს წიგნის მნიშვნელობას (იმას, რასაც გვასწავლის), იდეას, მთავარ სათქმელს.

5. ქმნა მართლისა სამართლისა „ხმელ ხეს გარდაქმნის სრულყოფილ ნედლად“ — რუსთაველის აფორიზმის მიხედვით...

6. გიდი — (ფრანგ.) პირი, რომელიც ახლავს ტურისტებს, ექსკურსანტებს და აჩვენებს ღირსშესანიშნაობებს, თან უამბობს ისტორიებს, საინტერესო ამბებს.

7. „ხამს მოყვარე...“
„ბოროტსა სძლია...“
„ვინ მოყვარესა...“ — რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები.

ადამისა და ევას სამოთხიდან გაძევება

ადამ და ევას შთამომავლობამ
დედ–მამის ცოდვას ცოდვა ამატა:
პირველობისთვის ძმამ ძმა მოკლა და
ფეხი გაიდგა შურმა, ღალატმა...

შოთამ აღწერა ქვეყანა, სადაც
მოყვასის ტკივილს უცნობნიც გრძნობენ,
დემოკრატია შექმნა ისეთი,
„სად თხა და მგელი გვერდიგვერდ ძოვენ“.

რუსთველმა ყველა მოქმედი გმირი
ძმობით ერთმანეთს დააკავშირა,
გვიჩვენა, ერთმა მეორის ნაცვლად
თვისი სიცოცხლე როგორ გაწირა.

შეგვძინა ჩვევა სხვისი ვარამის
საკუთარ გულის დარდად ჩნევისა,
უწყვეტი ბრძოლა ბოროტებასთან
და დიდსულოვნად მიტევებისა.

ქართულ ფოლკლორში არის ამბავი
ვეფხვის და მოყმის შერკინებისა.
ორივე იყო მეტად ძლიერი,
ორივემ პოვა გზა იმ ქვეყნისა...

დედამ იგლოვა ვაჟკაცი შვილი...[1]
ბუნაგს ესტუმრა ის ძუ ვეფხვისას,
უამბო თავის მწუხარებაზე
და თანაუგრძნო ჭირთა თმენისა!...

ასეთი გახლავს შოთას სამყაროც,
ამაღლებული სულით, ქართულით,
ხშირად, მტერთაგან ზემოქმედებით
ფერფლწაყრილი და მტვერში დანთქმული...

მაგრამ „წერილ არს, რომ იბერია
გაბრწყინდება და აღორძინდება!“[2]
ქართული გენი, ქართული სული,
სრული დიდებით წარმოჩინდება!

წამოხტა ჟაკი, ფრთები აღაპყრო:
—ჩილან! — შესძახა ზეცას მხურვალედ,—
აღსრულდა შენი ოცნება დიდი,
ნუღარ გექნება სული მწუხარე!

შევძელი! ტაბუს[3] ლუქი ავხსენი!
ვიპოვე წიგნი – არ აქვს ბადალი![4]
აღმოვაჩინე ერების მტრობის
და ბოროტების ძლევის წამალი!

განმარტება

1. „ლექსი ვეფხისა და მოყმისას“ მოკლე შინაარსი

2. „იბერია გაბრწყინდება“ — ამ ფრაზას ხშირად წარმოთქვამდნენ და ახლაც იმეორებენ, ქართველ საეკლესიო მოღვაწეებთან ერთად, სხვადასხვა ერის სასულიერო პირები.

3. ტაბუ – (პოლინეზიური) პირველყოფილ ხალხებში: რაიმე მოქმედების, სიტყვის, საგნის აკრძალვა, რომლის დამრღვევს, მათი აზრით, ზებუნებრივი ძალები სჯიან.

4. ბადალი – ტოლი, სწორი.

ვეფხვისა და მოყმის შებმა
(ქანდაკი)

მასწავლებელმა წიგნის თაროდან
ერთი მათვანი აიღო უბრად.[1]
ამ საოცარი სტუმრობის ნიშნად,
„რუსთველი“ უძღვნა ჟაკოს საჩუქრად.

ენა წაერთვა ჟღურტულა ჟაკოს
(ეს სითამამე, ნეტავ, რა იქნა?!) ...
ცრემლმორეულმა აიღო წიგნი
და მოწიწებით გულში ჩაიკრა.

კარგა ხანს იჯდა დადუმებული...
მერე ავორდა ფიქრების გუნდა ...
ბოლოს დაასკვნა დაბეჯითებით,
რომ საქართველოს შემოვლა სურდა!

მასწავლებელმა კვერი დაუკრა,[2]
რომ არჩევანი მიიღო სწორი
და შეადგინეს მარშრუტი,[3] სწრაფად,
რადგან სავალი უწევდათ შორი.

დაიძინეს და წამოდგნენ იმ დროს,
მზემ როცა ვახსნა ფარდა აისის,
თვალს ალაღებდნენ ვარდები ბაღში
და – მომხიბლველი ტურფა მაისი!

ჟაკს უხაროდა ნატვრის ახდენა,
ოცნებაში რომ ასე სახავდა:
შემოივლიდა მთელ საქართველოს —
ყველაფერს თავად, თვალით ნახავდა.

***

ჟაკი ბათუმმა გაახალისა,
ლაჟვარდის სივრცემ მოსდო სახმილი[4]...
სმენას სწვდებოდა გემების ხმები
და თოლიების გადაძახილი.

ავთანდილისგან შეიტყო თუთიმ,
ზღვას პონტო ერქვა, ხან კიდევ – სპერი[5].
ამ გზით მოყვარე შემოდიოდა,
უფრო ხშირად კი – მოძულე მტერი.

განმარტება

1. უბრად – სიტყვის უთქმელად.

2. კვერის დაკვრა – კვერი — 1. პატარა, ბრტყელი, მრგვალი პური ან მჭადი. 2. პატარა ჩაქუჩი.. გამოთქმა. „კვერის დაკვრა“ ნიშნავს დადასტურებას, დათანხმებას.

3. მარშრუტი – (ფრანგ.) წინასწარ დასახული გზა. გასაჩერებელი პუნქტებისა და დროის აღნიშვნით.

4. სახმილი – (ძვ.) ცეცხლი.

5. სპერი – მხარე ისტორიულ სამხ.–დას. საქართველოში, ,ქართლის (იბერიის) პროვინცია; მდ. ჭოროხის ზემო დინების აუზში (ახლანდელი თურქეთის პროვინცია). აქედან მოდის სახელწოდება სპერის ზღვა. (ახლა შავი ზღვა).

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ქალაქმა ჟაკოს გული გაუთბო
ლიმნით, ფორთოხლით და ბანანებით...
— აქამდე რატომ არ გიცნობდიო,
ჩეგეფურჩქნეო![1] – თქვა დანანებით.

სურნელს უფრქვევდნენ მაგნოლიები,
თავს აწონებდნენ ია-ვარდები,
გეორგინები, ჰორტენზიები
და ტირიფების თხელი ფარდები...

—კოხტა ბათუმი, – თქვა ავთანდილმა, –
აღფრთოვანებას რომ იწვევს შენში,
დაარსებულა დიდი ხნის წინათ –
ქრისტეშობამდე ორ ათას წელში.

კავკასიელთა ეს პორტო-ფრანკო,[2]
ძველი ბერძნის თქმით, „ბათუისისი“,
ნახსენები აქვთ ცნობილ ავტორებს –
არისტოტელეს[3] და პლინიუსის.[4]

რომაელების, ხან – ოსმალების[5],
ინგლისელების, ხან კი – რუსების
ხელიდან ხელში გადადიოდა
ქალაქი, ბრძოლით დანასუსტები...

ანდრია, სვიმონ მოციქულებმა,[6] –
ასე გვიყვება პაფლაგონელი,[7] –
აჭარის გზებით შემოიტანეს
ქრისტეს მოძღვრება – შთამაგონები.

ივერიელნი,[8] ჩემო ჩიტუნა,
უძველესია ქრისტიანთ შორის.
იესოს რწმენის სადიდებელად
მონაწილენი ურიცხვი ომის.

კოლხთა[9] და ივერთ მდიდარი მიწა
გაუმაძღარ მტერს ხარბად შიოდა!...
ქართველი მუდამ იტანჯებოდა,
თვალებზე სიმწრის ცრემლი სდიოდა!...

განმარტება

1. ჩეგეფურჩქნე – აჭარული დიალექტი. ჩაგეხუტე. გენაცვალე.

2. პორტო-ფრანკო – (იტალ.) ნავსადგურის ტერიტორია, სადაც ნებადართულია საქონლის შეტანა და გატანა უბაჟოდ (ბაჟი გადასახადი სახელმწიფოში შეტანილსა და სახელმწიფოდან გატანილ საქონელზე).

3. არისტოტელე – ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი, პლატონის მოწაფე (384–322) წ.წ.

4. პლინიუსი – გაიუს პლინიუს სეკუნდუსი. რომაელი მწერალი, სწავლული და სახელმწიფო მოღვაწე.

5. ოსმალები – თანამედროვე თურქების წინაპრები. სახელწოდება მომდინარეობს ოსმანთა დინასტიის დამაარსებლის, ოსმან I-ის, სახელიდან. ოსმალებმა XIV-XVI საუკუნეებში დაიპყრეს აღმოსავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკისა და აზიის მრავალი ქვეყანა. საქართველოში, სამცხე-საათაბაგოში, საკუთარი წესები შემოიღეს, დააარსეს ახალციხის (ჩილდირის) საფაშო. შეადგინეს „ფურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ძალდატანებით ავრცელებდნენ ისლამს. მთელი საქართველოს დაპყრობას ცდილობდნენ. თბილისში რამდენიმე ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს.

6. ანდრია და სვიმონ მოციქულები – იესო ქრისტეს მოწაფეები, ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი საქართველოში აჭარიდან შემოვიდნენ ქრისტიანობის საქადაგებლად. გიორგი მთაწმინდელი მათ თვლიდა ქართული ეკლესიის ფუძემდებლებად.

7. პაფლაგონელი – ბერძენი საეკლესიო ავტორი, ნიკიტა პაფლაგონელი.

8. ივერია, იბერია – 1) საქართველოს სახელწოდება ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში. 2) იბერიას უწოდებდნენ ანტიკური ავტორები პირენეს ნახევარკუნძულსაც. დასახლებული იყო იბერებით, კელტებით, ჰუნებით.

9. კოლხები – სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთით – შავი ზღვისპირეთში მცხოვრები ძველი ქართველი ტომების საერთო სახელი, რომლის მიხედვით ძველი ბერძნები მთელ ქვეყანას კოლხეთს, კოლხიდას უწოდებდნენ. ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში კოლხებმა შექმნეს კოლხას (კულხა), ხოლო VI საუკუნეში — კოლხეთის სამეფო.



თანამედროვე ბათუმის ხედები

***

ათას რამეზე ლაპარაკობდნენ,
დასეირნობდნენ ზღვისპირს, ბულვარში,
ისე ლამაზი იყო ყოველი,
მიმოეხატათ, თითქოს, გუაშით[1].

ბავშვების გუნდი დასდევდა ფრინველს,
მოსწონდათ, ალბათ, ასეთი ჯიში!
ფრთებსა და კუდზე ეფერებოდნენ,
სულ დაუკოცნეს თვალები გიშრის.[2]

— აქ ყოფნა, ჟაკო, კარგია, მაგრამ
წასასვლელნი ვართ და დრო არ იცდის. –
ავთანდილის თქმას თან მიადევნა
ჩიტმა პასუხი: – ჰო, ვიცი, ვიცი!

დაემშვიდობნენ ახალგაცნობილთ,
გეზი[3] აიღეს გონიოსაკენ
(არა ვარსკვლავთა საკრებულოსკენ,
არამედ ძველი აფსაროსისკენ).

გონიო[4], დიდი ციხე — ქალაქი,
ზღვის კარიბჭესთან[5] მყარად აღნაგი,
მკერდით ფარავდა ეგრისის[6] მიწას,
ქართველთ იცავდა ცეცხლით და დაგვით[7].

— რაც რამ გადარჩა, შენც კარგად ხედავ... –
გულდაწყვეტით თქვა ჟაკუნას გიდმა ...
თუთიყუშმა ძირს დახარა თავი,
ჩანს, თანაუგრძნო ავთანდილს მშვიდად.

— კარგი, გვეყოფა წარსულზე დარდი! –
თუთიმ ნისკარტი ცხვირზე გაუსვა,
— მოდი, დაბაში ვავისეირნოთ
და გავერთობით ცოტა კაცურად.

ავთანდილს მშვიდად გაეღიმა და
დაბის ცენტრისკენ გაუძღვა მკვირცხლად:
— სარფი, ბათუმი ხომ გაგაცანი,
მოვეფერებით გონიოს მკვიდრთაც, —

განმარტება

1. გუაში – (ფრ.) წყალსა და წებოში მინარევებით დამზადებული საღებავი.

2. გიშერი – მერქნული წარმოშობის შავი ნახშირის ერთ-ერთი სახეობა. გაბრიალების შემდეგ მისგან ამზადებენ სამკაულებს. მოიპოვება გელათსა და სოფელ ძიროვანში.

3. გეზი – 1. მიმართულება, გზა. 2. მოქმედების, მსჯელობის კურსი.

4. გონიო – 1. სოფელი აჭარაში. 2. ცის სამხრეთ ნახევარსფეროს მცირე ზომის თანავარსკვლავედი, რომელიც არ შეიცავს ბრწყინვალე ვარსკვლავებს, ნაწილობრივ ჩანს გაზაფხულზე. 3. სწორკუთხა სახაზავი. იხმარება სადურგლო საქმეში სწორი კუთხეების გამოსაყვანად.

5. კარიბჭე – 1. პორტალი, შენობის წინ გამოწეული ნაწილი, რომელიც სახურავის საყრდენი სვეტებით ან თაღებით არის შექმნილი და ღიაა ერთი ან სამი მხრიდან. 2. ქალაქის, სასახლის საზეიმო შესასვლელი. 3. ბჭე ძველად მოსამართლეს ნიშნავდა.

6. ეგრისი – დასავლეთ საქართველოს ძველი ქართული სახელწოდება. მიღებულია ეგრის ტომის სახელიდან. იგივე, რაც კოლხიდა (კოლხეთი) და ლაზიკა.

7. დაგვით – წვით, წვალებით, შრომით.

გონიოს ციხე, იგივე აფსაროსი

უთხრა და კიდეც მიუახლოვდნენ
ორ მწკრივად დარგულ ლამაზ თელიანს.[1]
ხედავენ, მოგრძო სუფრასთან მსხდარი
თანასოფლელნი ტკბილად მღერიან.

ერთმა მედოლის როლი იტვირთა,
გაჩაღდა ცეკვა რიტმათა[2] თანა,
მეორემ ჩონგურს ჩამოჰკრა ხელი,
ყველამ შეუწყო ხმებს „განდაგანა“.

ამის შემხედავ თუთიყუშ ჟაკოს
გააჩერებდნენ ადგილზე, ნეტავ?
ჰოდა, ისკუპა ჩიტუნამ მარდად
და ერთ გოგონას გამოეცეკვა.

აჰყვა სიცილი, ჟივილ-ხივილი,
გახურდა ტაში, ვაშას ძახილი,
აფრიკული და ლათინო რხევით
გააძლიერა თუთიმ სახმილი...

დაჰკრა ზღვაურმა ... აცურდა მთვარე...
მხიარულება დიდხანს გაგრძელდა...
ჟაკუნას უკვე ყველა უყვარდა
და განშორება მათთან გაძნელდა...

ცეკვა, სიმღერა, ურთიერთობა
ნახა, ისმინა ისე ბევრი რამ,
ემოციისგან დაღლილ-დაქანცულ
ჟაკოს ბზის[3] ტოტზე ჩამოეძინა...

ცისკრის ვარსკვლავი[4] გაბრწყინდა ცაზე...
მეფურ სიდინჯით ჩავიდა მთვარე...
მზის ოქროს დისკი[5] ამობრძანდა და
სხივთა ბადეში გახვია არე...

გამოიღვიძეს ჩვენმა მგზავრებმა,
მოიწესრიგეს სახე, ყურები.
მასპინძლებმა კი სუფრა გაავსეს
ჩაით, წვენებით, ხაჭაპურებით.

დაემშვიდობნენ გონიოელებს...
რა დაავიწყებს მათს „განდაგანას“?!
შემოუფრინა ჟაკმა ყველა სახლს,
ერთ-ორს კი არა, სულ - ბანდაბანა[6].

***

გზა გააგრძელეს, შეუსვენებლად,
ველოსიპედით, ცხენით, მანქანით—
ავთოს ნათხრობი ისტორიებით
და თუთიყუშის უწყვეტ ქაქანით.

გეზი აიღეს ადიგენისკენ
(თავს ეხვეოდა მუდამ დუშმანი[7])...
წარსულს გვახსენებს უდე და ზარზმა,
აწმყოზე ჰყვება აბასთუმანი.[8]

თავგამოდებით იცავდნენ ამ გზებს
შალვა, ივანე ახალციხელნი,[9]
ბასიანის და გარნისის[10] ველზე
მოცელილები მტრის უნდო ხელით..

წარსულის გმირთა ამბის მთხრობელი
მოინახულეს ძველი რაბათიც,
განახლებული და აღდგენილი,
მოწმე რბევების, ბრძოლის, კამათის.

ფენიქსის დარად გაცოცხლებული,
ქონგურებიან ვალავნის რკალით,
თანამედროვე სასტუმროებით,
ღია ესტრადით და კაფე-ბარით,

უძველეს დროის ციხე—დარბაზით,
მყარად ნაგები საბრძოლო კოშკით...
(დადიოდნენ და ასე ეგონათ,
გაქრა სხვაობა სივრცეს და დროში).

სამლოცველოებს რომ ჩაუარეს,
ჟაკუნას კითხვა გამოეხატა,
ავთო მიუხვდა, რაც აოცებდა
და დაწვრილებით ჩიტს განუმარტა:

განმარტება

1. თელიანი - (თელა - მერქნიანი მცენარე, ფოთლოვანი. საქართველოში 5 სახეობისაა. ერთს ქართული თელა ჰქვია). ადგილი, სადაც ბევრი თელაა.

2. რიტმი - (ბერძ.) თანაზომიერი ერთეულების პერიოდული განმეორება (ლექსში, მუსიკაში).

3. ბზა - მარადმწვანე ხე ან ბუჩქი. 70 სახეობას შორის არსებობს ჩვენებური, კოლხური, ბზა.

4. ცისკრის ვარსკვლავი - ყველაზე კაშკაშა პლანეტა, რომელიც დილაობით მოჩანს აღმოსავლეთით, ხოლო საღ-ამოობით - დასავლეთით, იგივე ვენერა.

5. დისკი - მნათობის სიმრგვალე.

6. ბანი - (აქ) შენობის სწორი სახურავი. შედგება მსხვილი მორებისაგან, რომელზეც აწყვია ლარტყები(ანუ ბრტყელი ძელები), ან ალაგია ფიჩხი, ან აყრია მიწა.

7. დუშმანი - (სპარს.) მტერი.

8. აბასთუმანი - დაბა ადიგენის რაიონში, მესხეთის ქედის სამხ. კალთაზე, მდ. ოცხის ხეობაში. იქ მდებარეობს საქ-ართველოს ობსერვატორია (ციურ სხეულებზე დასაკვირვებელი დაწესებულება).

9. შალვა და ივანე ახალციხელები - ძმები. თამარ მეფის კარზე სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები. ერთად სარდლობდნენ მესხთა მეწინავე ლაშქარს ბასიანისა (1203 წ.) და ვარნისის (1225 წ.) ბრძოლებში, დაიღუპნენ ვარნისში.

10. ვარნისი - ციხე და დაბა ერევნის აღმოსავლეთით, მდ. აზატის ნაპირას. ხვარაზმის შაჰმა, ჯალალედინმა, გადაწყვი-ტა მთელი ახლო აღმოსავლეთი დაეპყრო. ქართველები არ დამორჩილდნენ. შაჰმა საქართველოსკენ დაძრა ლაშქარი - 150-200 ათასიანი კაცით. ჩვენ კი მხოლოდ 60-70 000-მდე მეომარი გვყავდა. დავმარცხდით.

დავით აღმაშენებელი

აბასთუმნის ობსერვატორია

უდე

ზარზმა

რაბათი

მართლმადიდებლურ საქართველოში
პატივს მივაგებთ სხვადასხვა რწმენას.
ბაპტისტი[1], კრიშნა[2], ევანგელისტი[3],
იუდეველი[4] თუ კათოლიკე,[5]

მაჰმადიანი[6] თუ იეზიდი[7]
საკუთარ ლოცვებს უძღვნიან ზეარსს.
განსხვავებული ადათ-წესებით
გამოხატავენ ღვთისადმი კდემას.

სათაყვანები მეფე დავითიც[8]
თითოეულის ითხოვდა თმენას,
ხშირად სტუმრობდა იმათ სალოცავს
(და, თანაც, ფლობდა სხვადასხვა ენას).

***

—კარგად მისმინე, ჩემო ჩიტუნავ,
გაიმახვილე გონი ბუსავით:
შოთას სამშობლოდ მოიაზრება
საქართველოში ორი რუსთავი:

ერთ-ერთი გახლავს თბილისთან ახლოს,
ამჟამად ჰქვია რუსთავ-ქალაქი.
მეორეში კი ახლა შევდივართ,
უძველესსა და მტკიცე ალაგში.

ყური დავუგდოთ, თუ რას გვიამბობს
იდუმალება „შოთას ბილიკის“,[9]
ან „შოთას კოშკის“ მიუწვდომლობა,
ან „შოთას წყაროს“ მშვიდი ლიკლიკი...

განმარტება

1. **ბაპტისტი** – ქრისტიანულ-პროტესტანტული მიმდინარეობის წევრი.
2. **კრიშნა** – ღვთაება ინდუიზმში.
3. **ევანგელისტი** – ქრისტიანულ-პროტესტანტული მიმდინარეობის წევრი.
4. **იუდეველი** – იუდაიზმის (ებრაელთა რელიგია) მიმდევარი,
5. **კათოლიკობა** – ქრისტიანთა ერთ-ერთი მიმართულება. ქრისტიანობა ორ მიმართულებად 1054 წელს გაიყო.
6. **მაჰმადიანი** – მაჰმადის (უფლის მოციქულის) მიმდევარი, მუსლიმანი.
7. **იეზიდი** – ქურთი.
8. იგულისხმება დავით აღმაშენებელი.
9. **„შოთას ბილიკი“**
   „შოთას კოშკი“
   „შოთას წყარო“ — სოფელ რუსთავში რუსთაველის სახელთან დაკავშირებული ადგილები.



სინაგოგა

მეჩეთი

კათოლიკური ტაძარი

ბაპტისტური ტაძარი

—და, თვით მგოსანი სად ასვენია?! —
დაინტერესდა ჭკვიანი ჟაკო.
მასწავლებელი მიეალერსა:
–შენც დავაფიქრა ამ ფაქტმა, გატყობ!

გადმოცემებით, ასაფლავია
წმინდა მიწაზე, ჯვრის მონასტერში[1]...
ჟამთა მსვლელობამ კვალი დაფარა
და გადამალა, ვით განძი მტვერში...

ვერ მივაგენით საფლავს თამარის —
ქართველთა დედის, რუსთველის მუზის!...
ვერ მივაღწიეთ დღემდე საწადელს...
ეს ყველა ქართველს გულს დარდად უზის!...

—ცხრაასი წლის წინ, – იწყინა ჟაკმა, –
ბრძენმა დაწერა სამართლის წიგნი
და რა ცუდია, რომ აქამომდე
საფლავი მისი არავინ იცის!...

მიაბიჯებდნენ მესხთა მიწაზე...
მას მუდამ წეწდა ურიცხვი მტერი
(ბოროტთა საქმემ ჟაკს გაახსენა
„ჯეკ ლან კასტერი, მხეცი განგსტერი“)[2]...

სპარსნი და თურქნი და კიდევ – ლეკნი
იტაცებდნენ და ყიდდნენ ქართველებს...
ანგრევდნენ, სპობდნენ, ძირშიგვე თხრიდნენ,
ცეცხლს უკიდებდნენ ნათესს, მთა–ველებს...

განმარტება

1. ჯვრის მონასტერი იერუსალიმში – შუა საუკუნეების ქართული რელიგიური და კულტურულ – საგანმანათლებლო ცენტრი. პალესტინაში (ახლ. ისრაელში). დააარსა ქართველმა მოღვაწემ, გიორგი–პროხორე შაგშელმა, საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით. 1071 წელს დაარბიეს თურქებმა. XII ს. აღმაშენებელმა აღადგინა. კიდევ რამდენჯერმე დაირბა მონასტერი. XVII ს–ში განაახლა ნიკიფორე ირბახმა ანუ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა. 1855 წ. ბერძნებმა ჩაიგდეს ხელში. ჩვენი ფრესკები გადაათეთრეს. 1960 წ. „ვეფხისტყაოსნის“ 800 წლისთავის იუბილესათვის, ქართველმა მეცნიერებმა საღებავის ქვეშ აღმოაჩინეს რუსთველის პორტრეტი. XX და XXI საუკუნეებშიც დაუდგენელმა ბოროტმა პირებმა დააზიანეს რუსთველის პორტრეტი. ახლა აღდგენილია.

2. „ჯეკ ლან კასტერი, მხეცი განგსტერი“ – ციტატა მამუკა სალუქვაძის პოემიდან.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი (შიდა ხედი)

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი (გარე ხედი)

თამარ მეფე

***

პატარა კახით[1] და სააკაძით[2]
შური იძია გმირმა ასპინძამ,—
მასწავლებელმა თხრობა განაგრძო,
მოგონებები მძიგად აკინძა, —
—ასპინძის ომში, გახერხილ ხიდით,
ერეკლემ მტერი წყალში ჩაფარცხა[3],
ათ ათასიან თურქთა ლაშქარი
ორი ათასით მყის დაამარცხა!

***

ლამაზი იყო ახალქალაქი —
სალოცავებით, ციხე-კოშკებით,
ხრამულ-კალმახით[4] მდიდარი ტბებით,
თრთვილით[5] დაფარულ მინდვრის ნოხებით.

მონღოლ-თურქ-სპარსთა, ლეკთა თარეშმა
გაავერანა[6] ტყე, საძოვრები,
თავისუფლება დააკარგვინა,
დააბეჩავა ყველა მცხოვრები.

ოსმალების მძლე ი. პასკევიჩმა[7]
არად ჩააგდო ცრემლების თქეში[8] —
ქართველ მაჰმადთა მკვიდრი კომლები
გადაასახლა, ძალით, თურქეთში.

გააგდებინა ბარი, თოხები,
გაახდევინა ჩვენი ჩოხები...
მათს ადგილზე კი რუსმა „მზრუნველმა“
ჩამოამკვიდრა უმალ სომხები...

განმარტება

1. პატარა კახი – ერეკლე II, თეიმურაზ II-ის ძე. (1720-1798). დედამისი მეფე ვახტანგ VI-ის ასული იყო. ერეკლე II უამრავ ბრძოლაში ხმალამოწვდილი უძღოდა ლაშქარს. ხალხმა სიყვარულით უწოდა პატარა კახი.

2. სააკაძე – გიორგი სიაუშის ძე, დიდი მოურავი. იცოდა სპარსული და თურქული ენები. იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ. იძულებით მოღვაწეობდა სპარსეთის შაჰის კარზე. მძიმე პირადი ცხოვრება ჰქონდა და მაინც ყველაფერს აკეთებდა საქართველოს გასათავისუფლებლად.

3. „ერეკლემ ხიდით წყალში ჩაფარცხა“ – ხიდი გადახერხეს, ერეკლეს ბრძანებით და ოსმალ-ლეკები მდინარეში ჩაცვივდნენ, დაიხრჩვნენ. ქართველებმა გაიმარჯვეს.

4. ხრამული, კალმახი– მდინარის თევზები.

5. თრთვილი – შეყინული ცვარი, ორთქლი ბალახზე, ხესა და მიწაზე. თხელ თეთრ ფენად.

6. გაავერანა – გააპარტახა, გააოხრა, დაანგრია.

7. ი. პასკევიჩი – ივანე თედორეს ძე (1782-1856). რუსი სამხედრო მოღვაწე, მეფისნაცვალი საქართველოში.

8. თქეში – თავსხმა წვიმა.

პატარა კახი – ივიკე მეფე ერეკლე

გიორგი სააკაძე

***

მაღლა გამოჩნდა ციხის ნანგრევი,
მას უწოდებენ დღესაც „ხერთვისსა“,[1]
ორი მდინარის ნადენი წყალი
ერთიმეორეს მის ქვეშ ერთვისა.

***

ხერთვისის შემდეგ უყურადღებოდ
ვერ დატოვებდნენ თმოგვის[2] მძლავრ ციხეს.
გაოცებულნი უვლიდნენ ირგვლივ
მეტრ-ნახევარი კედლების სისქეს.

კლდეში ნაკვეთი წყლის აუზებით,
მიწისქვეშეთის მალული გზებით,
თავით ფეხამდე აღავსებს მნახველს
აღფრთოვანების ძლიერი გზნებით.

ნისკარტი ბრძნულად დააღო ჟაკომ
(საქებარ სიტყვებს კი არ ეძებდა):
-მსგავს სასახლეში ყოფნას, ცხოვრებას
უელსის პრინციც კი ინებებდა!

—ისეთს გაცნობებ,— თქვა ავთანდილმა,—
შენთვის სიახლე იქნება სრული,
ჩვენს წინაპრებში ასეა თქმული
(თუმც დაჯერება კი არის რთული):

თითქოს, ნამდვილად აქ ასვენია
რუსთაველი და სარგის თმოგველი![3]
ეს ვარაუდი თუ გამართლდება,
დღესასწაული მაშინ მოგველის!

—ჰო, სულ არ მიკვირს!— აღელდა ჟაკი,
ყოველ კუთხეს სურს, თვით იყოს ღირსი,
წმინდა საფლავებს რომ უპატრონოს,
მიაგოს სითბო მათ, საკადრისი!

—კი, ასე ფიქრობს ნებისმიერი
მაცხოვრებელი მთისა და ბარის,
დიდი თამარი და რუსთაველი
ხომ საქართველოს კუთვნილი არის!

ავთო თუთიყუშს მოეფერა და
ხელის მტევანით მაღლა ასწია:
—მალე გაგაცნობ საოცარ ადგილს
და ამ სასწაულს ჰქვია ვარძია![4]

***

ვიდრე თმოგვს უკან მოიტოვებდნენ,
მტკვრის ნაპირებზე რაღაც უჩვენა:
—შეხედე, ჩიტო, ა, იმ ნანგრევებს,
ვერ წარმოიდგენ, რა არის შენა!

განმარტება

1. ხერთვისი – შუა საუკუნეების ციხესიმაგრე სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთში, თაფარავნისა და მტკვრის შესართავთან, მაღალ კლდოვან მთაზე.

2. თმოგვი – ისტორიული ციხე-ქალაქი ჯავახეთში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

3. სარგის თმოგველი – მე-13 საუკუნის 30-60-იანი წლების ქართველი პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, სწავლული, მრავალი ენის მცოდნე. მუდამ იბრძოდა საქართველოს მტრების წინააღმდეგ. პოემა „დილარგეთიანის“ ავტორი, „ვის-რამიანის“ (სპარსული რომანი) ქართულად მთარგმნელი.

4. ვარძია – მე-12 საუკუნის ქართული ქალაქი, კლდეში ნაკვეთი. პოლიტიკური, მხატვრული კულტურულ-საგანმანათლებლო ძეგლი, სამონასტრო ანსამბლი. მდებარეობს ისტორიულ მხარეში, ასპინძის რაიონში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. შეიქმნა თამარის მეფობის ხანაში. დაარბიეს და გაძარცვეს სპარსებმა, მონღოლებმა, ოსმალო-რუსეთის ომის შედეგად საბოლოოდ გუკაცრიელდა.

ხერთვისი



თმოგვი

ვარძია

საქართველოზე გადიოდა გზა
ევროპასა და აზიას შორის.
მექარავნენი[1] და სოვდაგრები—
ტიტულ[2]–ქონებით მაღალი დონის,

ინდოეთიდან[3] და ირანიდან
გამგზავრებულნი დიდ ევროპაში,
ამ ხეობაში ათევდნენ ღამეს
კეთილმოწყობილ ვრცელ ქარვასლაში[4].

—ეს რაა, ავთო, რა ბალახია?
—მესხური დოლი, წითელი ფერის.
—როგორ დავუკრა?! – იხუმრა ჟაკომ.
—პურია, ჩიტო, საკვები ერის.

და არა მხოლოდ საკვები, კარგო,
ქრისტიანული სიწმინდე ჩვენი,
დიდი ნაწილი კულტურულ ფლორის,
განმამტკიცები ქართული გენის.

—პური სადღაა, მითხარი ერთი?
—ეს ჯეჯილია, მოისხამს თავთავს,
მომკიან, მერე ვალეწენ ხორბალს,
ამ უკანასკნელს წისქვილი დაფქვავს.

დაფქულს მოზელენ, აქცევენ პურად,
ნამცხვრად ან – ხინკლად, ან – ხაჭაპურად.
—და, მოჰყავთ მხოლოდ მესხთა ფუძეში?
—არა, ჟაკუნა, ყველა კუთხეში.

ჩემს სამშობლოში ხორბალს იწევდნენ
ქრისტეშობამდე მეხუთასე წელს.
ჩვენი ხორბლის ჯიშს განუსხვავებენ
სეზონს, სიდიდეს, ფხიანობას, ფერს.

საქართველოში იზრდება ზოგი,
უნიკალური ჯიშების სახის:
მახა, ზანდური, ჩელტაზანდური,
დიკა და კიდევ კოლხური, ასლიც...

ზღვას წაავავდა მწვანე ჯეჯილი,
ფასდაუდები სიმდიდრე ერის.
ნიავის ქროლვას ისე ჰყვებოდა,
შარიშურობდა, თითქოსო, მღერის.

საინტერესო ამბების თხრობით
ავთო და ჟაკო გზაზე გავიდნენ.
ცოტა კიდევაც დაიღალნენ და
სამარშრუტოში მიტომ ავიდნენ.

განმარტება

1. ქარავანი – ტვირთიანი ცხოველების, უფრო აქლემების, ჯგუფი. გადატანითი მნიშვნელობით, ადამიანების ან ცხოველთა მწკრივი.

2. ტიტული – (ლათ.) წოდებულება, რომელსაც რაიმე საქმეში წარმატებისათვის ანიჭებენ.

3. ინდოეთი – სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, ინდოეთის ოკეანის აუზში, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ მნიშ–ვნელოვან საზღვაო და საჰაერო გზაზე. შედგება 22 შტატი–საგან.

4. ქარვასლა – („ქარვან სრა“–სპარს.) ქარავნის სადგომი, ივივე ფუნდუკი.

ჯეჯილი

პურის ყანა (ხორბალი)

მასწავლებელი მსხდომთ მიესალმა.
ჟაკომ მთელი ხმით შესძახა „ჰიტი“.[1]
ოვაციებით მიიღო ყველამ
რუხფრთებიანი ლამაზი ჩიტი.

– თუთიყუშ ჟაკოს მესხეთს რა უნდა?!
– ნეტავ, გამოჩნდა საიდანაო?!
– შეხედე, ღერძზე როგორ შემოხტა!
– უყურე, თოკზე რაფერ[2] ქანაობს?!

გადაქანცული ავთანდილისთვის
ერთი ადგილიც კი არ აღმოჩნდა.
სამაგიეროდ, თუთის საყრდენად
ბევრი მსურველის მხარი გამოჩნდა.

თუთი ლოყაზე კოცნიდა ყველას
და ექცეოდა თავაზიანად:
ისე ჭკვიანად მეტყველებდა, რომ,
ლამის, ჩათვალეს ადამიანად.

–ჩვენი სამშობლოს გაცნობა გინდა?!
ბედნიერი ვართ შენი სტუმრობით!–
ეფერებოდა ჟაკს ყველა მგზავრი,
უღიტინებდნენ თითებს ხუმრობით.

მგზავრობით დაღლილ ჟაკოს მოშივდა,
ბავშვებიც ჩანდნენ მადაღძრულები,
მძღოლმა მანქანა გადააყენა,
ყველამ „დააძრო“[3] ხაჭაპურები,

ხორცი — შემწვარი და მოხარშული,
დანა–ჩანგალი, ფიალა, სუფთა,
ზოგმა — ღვინო და სხვებმა — არაყი,
მყის[4] გაიშალა საერთო სუფრა.

ბრძნული სიდინჯით მიმოიხილეს
წარსული, აწმყო და მომავალი,
თბილი სიტყვები არ დაიშურეს,
ვზა დაულოცეს ერთურთს, სავალი.

სმის სიყვარულს ვინც აბრალებს ქართველთ,
შეფასებაში ძლიერ ცდებიან–
ჟაკუნამ კიდევ ერთხელ შეიცნო
ქართული სუფრის აკადემია[5].

ვზა გააგრძელეს და ერთ საათში
გამოჩნდა ძველი ციხე–ქალაქი,
კლდეში ნაკვეთი მრავალსართული,
რაღაც ზღაპრული, წმინდა ალაგი!

ყველა გაჩუმდა, ყველა გაოცდა,
სუნთქვა შეწყვიტა ყველამ, თითქოსდა,
სიტყვათ მარაგი შემოელიათ,
აღფრთოვანების ოხვრა ისმოდა.

ერუშეთის მთის ტუფის ფერდობზე
განფენილია ნიჭი ერისა!
სტუმარ–მასპინძელთ დღესაც აკვირვებთ
ხმა საუკუნის, ათორმეტისა.

განმარტება

1. ჰიტ–ი – (ინგლ.): რომელიმე ძალიან ცნობილი მელოდია.

2. რაფერ – როგორ (კუთხური ფორმა).

3. ყველამ დააძრო – ჟარგონული გამოთქმა. აქ: საჭმელი ამოალაგეს.

4. მყის – მაშინვე.

5. აკადემია – სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების, საზოგადოებისა და სასწავლებლების სახელწოდება. წარმოდგება მითიური გმირის აკადემეს სახელიდან. აკადემია ერქვა ადგილს ქ. ათენთან, სადაც (ძვ. წ. IV ს) პლატონი ლექციებს კითხულობდა. ძველ საქართველოში: კოლხეთის უმაღლესი, რიტორიკული, სკოლა, გელათისა (IVს.) და იყალთოსი (XIIს.). ახლა აკადემია სხვადასხვა სახისაა: სამეცნიერო, სამხატვრო, სამუსიკო, სამედიცინო და სხვა.

სახელდახელო ქართული სუფრა

გაუოცებლად ვერვინ შეხედავს
ქალაქს, აზიდულს ცამეტ სართულად!
ცხრა საუკუნის წინათ შექმნილი
ახლაც ითვლება, მართლა, ზღაპრულად!

ზოგი ოთახი კარსტულმღვიმეა,[1]
უმრავლესობა – ხელოსანთ ქმნილი,
სილა და ქვიშა კი არა ყრია,
იატაკია ქვით მოფენილი.

საცხოვრებელად კეთილნაგები,
ორ, სამ და ოთხ–ხუთოთახიანი,
აუზებით და წყალსადენებით,
სუფთა აურით, ნათელმზიანი.

ვრცელი სათავსო, მარანი – ქვევრით,
მეტლახიანი აბანოებით,
ლოგინის, ჭურჭლის, წამლის, წიგნების
შემოსადები ქვის თაროებით.

ათმეტრიანი „ბჭეთა დარბაზი“,[2]
დედა–დედოფლის დიდი ტაძარი,
ფრესკა გიორგის[3], ფრესკა თამარის–
შესრულებული ოსტატ მხატვარის.

განცვიფრებულმა ჟაკო ჟაკუნამ
ხატულა ფრთებით შემოკრა ტაში:
–რა იარაღით აშენებდნენ, ან
რაგვარი ცოდნა გააჩნდათ მაშინ?!

–აი ეს არის ჩვენი ვარძია,
როგორც ამბობდა ვიქტორ კერნბახი.[4]
–„მსოფლიოს მერვე საოცრებაა“![5]
გთხოვ, ნუ ჩამითვლი, ჩიტო, კვეხნაში.

ჟაკმა ფრთა დაჭრა თანხმობის ნიშნად
(არ სჭირდებოდა არვის კარნახი).
მერე შენიშნა ტურისტთა ჯგუფი–
აღტაცებული, განცდით, ნანახით.

– ბეზდოგანნიჰ![6] – ჰერფექთ![7] –იქსაითინგ![8]
– ბელისიმა![9] – ვერი გუდ![10]–
ესმოდა ჟაკოს ყოველი მხრიდან
და მისი გულიც ჰყვებოდა: დუგ! დუგ!...

– აქ რომ მოვდივარ, – თქვა ავთანდილმა,–
დაულეველი ჩანს სანახავი!
ხელახლა ვფურცლავ ქართლის ცხოვრებას,
ფიქრი მეხვევა თავს ჯარასავით![11]

განმარტება

1. კარსტული — კარსტი — (იუგოსლავიაში მდებარე კარსტის პლატოს მიხედვით) ნიშნავს მოვლენას, როცა წყალში ხსნება კირქვა, ცარცი, თაბაშირი, ქვამარილი — მიწისქვეშა წყლის ნაკადების ზემოქმედების შედეგად.

2. „ბჭეთა დარბაზი“ — („ბჭე“ ძველ ქართულში ნიშნავ–და სადავო საქმის გამრჩევს, მოსამართლეს). მოსამართლეთა თავშეყრის დარბაზი.

3. გიორგი III — საქართველოს მეფე, დემეტრე I–ის ძე. თამარ მეფის მამა.

4. ვიქტორ კერნბახი — რუმინელი მწერალი, კრიტიკოსი, მთარგმნელი. 1956 წ. თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ზღაპრები, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, დ. გურამიშვილის, გალაკტიონის შემოქმედება. დაწერა წიგნი „მყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანა“ (1958წ.).

5. მერვე საოცრება — სპეციალისტთა შეთანხმებით, მსოფლიოში არსებულ უნიკალურ ნაგებობებს შორის ამოარ–ჩიეს 7. მე–8 ს უწოდებენ ამათგან განსხვავებულს.

6. ბეზდოგანნიჰ — უკრაინულად.

7. ჰერფექთ — ინგლისურად.

8. იქსაითინგ — ინგლისურად.

9. ბელისიმა — იტალიურად.

10. ვერი გუდ — ინგლისურად.

11. ჯარა — ხელსაწყო, რომლითაც მატყლს (ბამბას) არ–თავდნენ. ძაფს ახვევდნენ მასრაზე.

მეფეთა – თამარისა და გიორგის ფრესკები

– ასე მგონია, მასწავლებელო, –
თქვა, რომ დამშვიდდა ჟაკ ვუნდერჩიტი[1],–
ისაბელაში[2] ხომ დავიბადე,
თქვენს ქვეყანაზე მომაჭრეს ჭიპი[3]!

– ჩვენი ვარძია, – თქვა ავთანდილმა, –
ქართველთა ნიჭის დიდი ვანძია!
იგი თამარის უკვდავება და
მისი ქმნილება, მისი ღვაწლია.

კიდევ ბევრი გვაქვს ციხე, ტაძარი,
რომელმაც ჩვენი გენი არწია,
მამა–პაპათა გმირული სული
ზესთასოფლამდე[4] ციმციმ[5] ასწია.

ბოლნის[6]–დმანისი[7], გრემი[8] და ბოდბე[9],
ხანძთა[10], ქურმუხი[11], თორთომი[12], გიში[13],
იშხან[14]–ოლთისი[15] – მრავლისმთხრობელნი.
ოშკი[16] და ტბეთი[17] – დამცველი ჯიშის,

ოპიზა[18], ანჩა[19], ბანა[20], ხახული[21],
გელათ[22]–ბაგრატი[23], სვეტიცხოველი,
ზარზმა[24], პარხალი[25] და ნიკორწმინდა[26],
ჩვენი ჩუქურთმა, ხატი, ყოველი —

თუ მათი სახე არ გვაქვს ნანახი,
თუ დავივიწყეთ ჩვენი წარსული,
კეთილ მომავალს ვერ ვეღირსებით,
გადაგვარდება გენი, ქართული!

* * *

განმარტება

1. ვუნდერჩიტი — (ვუნდერკინდი (გერმ.) – საოცარი ბავშ–ვი), აქ: არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე ჩიტი.

2. ისაბელა — სანტა–ისაბელას ნავსადგურთან დაიბადა ჟაკი.

3. ჭიპის მიჭრა — ჭიპი არის მუცლის შუაში, ჭიპლარის მიჭრის შემდეგ დარჩენილი ადგილი, მუცელში მყოფი ჩვილი დედის ორგანიზმიდან ჭიპლარით იღებს საკვებს. ძველ საქართ–ველოში შინ ამშობიარებდნენ დედას. ჭიპლარს მოსაჭრელად ადებდნენ წიგნზე, იმ რწმენით, რომ ბავშვი წიგნიერი და ნი–ჭიერი გაიზრდებოდა. აქედან წარმოიშვა გამოთქმა: ჭიპი აქვს მოჭრილით — ე.ი. მიანიშნებენ იმაზე, რაც ძალიან უყვართ, რისკენაც მიისწრაფვიან.

4. ზესთასოფელი — სამოთხე, ღვთის სასუფეველი.

5. ციმციმ — ფრთხილად, სათუთად, თითქმის ხელში აყვანით.

6. ბოლნისი — ბოლნისის სიონი ძველი ქართული ხეროთ–მოძღვრების ძეგლია. სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობა (ბაზილიკა სწორკუთხედის ფორმის უგუმბათო შენობა). მდე–ბარეობს ქვემო ქართლში. მასზე შემორჩენილია უძველესი ქართ. წარწერა (რიგით II. ამაზე ადრინდელი პალესტინაშია).

7. დმანისი — უძველესი კულტურული, სტრატეგიული და ეკონომიური ცენტრი. VI–VII ს–ში იყო საეპისკოპოსო კათ–ედრალი. ვაჭრობის ცენტრი. დმანისის სიონი VI საუკუნისაა.

ბოლნისის სიონი

დმანისი

8. გრემი – ყვარლის რაიონში, მდ. ინწობის მარჯვენა ნაპირას. ციხე-ქალაქი. ერთ დროს კახეთის დედაქალაქი. ამშვენებს მთავარანგელოზის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი.

9. ბოდბე – წმ. ნინოს სახელობის სამონასტრო კომპლექსი და საეპისკოპოსო ცენტრი კახეთში. მდებარეობს სიღნაღიდან 2 კმ-ში.

10. ხანძთა – შუა საუკუნეების მონასტერი. უმნიშვნელოვანესი რელიგიურ-საგანმანათლებლო ცენტრი. მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთში. ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა. დააარსა დიდმა სასულიერო მოღვაწემ, გრიგოლ ხანძთელმა, მე-8 საუკუნეში.

11. ქურმუხი – საქართველოს ისტორიული მხარის, ჰერეთის, კულტურულ-რელიგიური ცენტრი. ახლა აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. შემორჩენილია მე-13-14 საუკუნეების ეკლესია, წმინდა გიორგის სახელობისა. იგი ახლაც წმინდა ადგილად ითვლება არა მხოლოდ ქრისტიანთათვის, არამედ, მუსლიმთათვისაც.

12. თორთომი – იგივე თორთუმი. პროვინცია (პროვინცია-ნიშნავს დედაქალაქიდან მოშორებულ რაიონს) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა). ამ პროვინციაში მდებარეობდა უძლიერესი ქართული ძეგლები: ოშკისა და ხახულის მონასტრები.

13. გიში – მდებარეობს გიშის წყალზე (ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. წინათ ამ მხარეს ჰერეთი ერქვა. გიშის საეპისკოპოსო იხსენიება მე-6 საუკუნის ეპისტოლეთა წიგნში. გიშის გუმბათოვანი ეკლესია მე-10-11 საუკუნეებისაა.

გრემი

ბოდბე

ხანძთა



ქურმუხი

თორთომი

გიში

14. იშხანი – იშხნის საეპისკოპოსო (ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) ოლთისის წყლის (ახლანდელი ოლთუ-ჩაი) მარჯვენა სანაპიროზე. დაარსებულია VII ს. შუა წლებში განახლებული ტაძრის პირველი ეპისკოპოსი იყო საბა იშხნელი, გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწე.

15. ოლთისი – ციხე-ქალაქი ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ტაოს მხარეში. ტაო მდებარეობს მდ. ჭოროხის შუა დინების აუზში. ახლა თურქეთის კუთვნილებაა. იქ იყო მეფე დავით მე-3 კურაპალატის რეზიდენცია.

16. ოშკი – მე-10 ს. 50-60-იანი წლების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა. ოშკი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული კულტურული ცენტრი იყო ტაოში. იქ იწერებოდა და ითარგმნებოდა სასულიერო ლიტერატურა.

17. ტბეთი – კულტურისა და რელიგიის ცენტრი შუა საუკუნეების საქართველოში, ისტორიულ შავშეთში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე. სახელწოდება წარმოდგება ტბებიდან). მასში შედიოდა შავშეთი და აჭარის ნაწილი. ჰქონდა ციხესიმაგრე.

18. ოპიზა – იხ. გვ. 5.

19. ანჩა – საეპისკოპოსო ისტორიულ კლარჯეთში. დაარსებულია მე-9 საუკუნეში. მოიცავდა მთელი არტანუჯის მხარეს, კლარჯეთის უდაბნოებს, მონასტრებითურთ, გონიომდე. ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა. ბექა ოპიზრის მიერ ოქროთი მოჭედილი მაცხოვრის ხატი აქედან გადაასვენეს თბილისში, მტკვრის სანაპიროზე მდებარე ეკლესიაში, რომელსაც ამის გამო ეწოდება ანჩისხატის ეკლესია. ამჟამად ხატი დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო ეროვნულ მუზეუმში.

20. ბანა – VII საუკუნისა. ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობაში, მდ. ბანას მარჯვენა ნაპირას. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. მე-9 საუკუნეში იქ იყო საეპისკოპოსო და მეფეთა სამყოფელი.

იშხანი

ოლთისი



ოშკი

ტბეთი

ანჩა

ოპიზა

21. ხახული – შუა საუკუნეების მონასტერი, ქართული კულტურის კერა ტაოში, მდ. თორთუმის ხეობაში. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. დააარსა დავით მე-3 კურაპალატმა. იქ, თურმე, 100 სოფელი იყო და 30-მდე დამოუკიდებელი აზნაური ცხოვრობდა. მე-16 საუკუნეში ეს მხარე თურქებმა დაიპყრეს.

22. გელათი – ეკლესია, აკადემია, კულტურულ-საგანმანათლებლო და სასულიერო ცენტრი, 1106 წელს დააარსა დავით აღმაშენებელმა. გელათს მოიხსენიებდნენ „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად“ (იერუსალიმი წინა აზიაში, პალესტინაში მდებარეობს. იქ არსებობს საფლავი ქრისტესი, გოლგოთა, სადაც იგი ჯვარზე გააკრეს, იქ არის მისი აღდგომის ადგილი! ამიტომ უწოდებენ იერუსალიმს „წმინდა მიწას!“). გელათის აკადემიას უწოდებდნენ „სხუა ათინას“ (მეორე ათინა), ათინა, ათენი, საბერძნეთის დედაქალაქი, მსოფლიოში ცნობილი კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი იყო.

23. ბაგრატის ტაძარი – აგებულია 1003 წელს ბაგრატ III მეფობისას.

24. ზარზმა – სოფელ ზარზმაში, ადიგენის რაიონში. შემორჩენილია გუმბათოვანი ეკლესია, სამლოცველო, სამონასტრო შენობები. ეს იყო ძველი საქართველოს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრი.

25. პარხალი – აშენებულია 972 წ. ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა.

26. ნიკორწმინდა – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი რაჭაში. გუმბათოვანი ტაძარი. აგებულია ბაგრატ III-ის დროს 1010-1014 წლებში.

ბანა

ხახული

ზარზმა



პარხალი

ნიკორწმინდა

დაემშვიდობნენ იქაურობას...
ეზად კვლავ ნანგრევი შემოეფეთათ,
ეკლესიით და წიგნთსაცავებით —
ნინოწმინდაში,[1] კვალით, მეფეთა.

სოფელში, თითქოს, უკვე ელოდნენ,
გლეხები ჯგუფად იდგნენ შარაზე,
მასლაათობდნენ[2] მიწაზე, ცაზე
და, რა თქმა უნდა, სალოცავ ვაზზე.

გაცნობის შემდეგ შინ დაპატიჟეს,
თქმულა „სტუმარი არის ღვთისაო!“
– თქვენი მოსვლისა უნდა დავლიოთ,
მერეც მოასწრებთ ტკბილად ძილსაო.

ისეთი სუფრა გაშალეს ხელად,
გეგონებოდათ დიდი ქორწილი.
საკუთარ ნებით დაიდო ჟაკომ
სტუმართმოყვრობის „ტკბილი ბორკილი“...

გათენდა, ქვეყნის მანათობელმა
სხივები სტყორცნა გომბორის საგალს.
ეზას დაადგნენ და ძლივს მიათრევდნენ
მასპინძლისაგან ნაბოძებ საგზალს.

* * *

ნაქალაქ დმანისს მიუახლოვდნენ,
წინ მიუძღოდათ ბედის გამრიგე[3].
თავზე წაადგნენ მეცნიერებს და
ოთხკუთხედებად დათხრილ ადგილებს,

ახალგაზრდები, ხანდაზმულები
ასუფთავებდნენ თხრილს, რუდუნებით[4],
წარსულს აწმყოსთვის ამზეურებდნენ
ბარით, ცოცხებით, ნიჩბით, ფუნჯებით.

საქმიანობა უმალ შეწყვიტეს,
როცა შეიტყვეს თუთის სტუმრობა.
თუთიყუშ ჟაკოს უმასპინძლებდნენ,
სიმართლე გახლდათ, განა ხუმრობა?!

მსოფლიომოვლილ თუთის საკვირად.
იქვე, ორიოდ მეტრის მანძილზე,
მუზეუმისკენ გაუძღვა მოსულთ
ბატონი დავით ლორთქიფანიძე.

საკუთარ თვალით იხილა ჟაკომ
დმანისის კვლევის სასწაულები:
კერამიკული ნაკეთობები,
ოქროს და ვერცხლის სამკაულები

(წარსულის ყოფის მაჩვენებელი),
ზეთსახდელი და ბეღელ-მარნები,
ყოფა-ცხოვრების, ბრძოლის ნივთები,
სპილოს, მამონტის და ირმის ძვლები.

მაგრამ თუთიკო ძლიერ გაოცდა,
როცა „გაეცნო ზეზვას და მზიას“,[5]
პირველ ევროპელთ და რომ აუხსნეს:
– გავუსწარითო ეგვიპტეს, მზიანს!

განმარტება

1. ნინოწმინდა – სამონასტრო კომპლექსი-ტაძარი საგარეჯოს რაიონში. ჰქონია ძალიან მდიდარი წიგნსაცავი (ანუ ბიბლიოთეკა).

2. მასლაათი – (არაბ.) თავშესაქცევი, გულის გადასაყოლებელი საუბარი, ბაასი.

3. ბედის გამრიგე – მომავლის განმსაზღვრელი, მომწესრიგებელი, წარმმართველი.

4. რუდუნება – შრომა, გარჯა, ზრუნვა, ღვაწლი.

5. ზეზვა და მზია – დმანისში გათხრების დროს აღმოჩნდა ჩვ. წ.-აღ.-მდე, ათასეული წლების წინ მცხოვრები ადამიანების თავის ქალები, იმაზე ძველი, ვიდრე — აფრიკაში.

ნინოწმინდა

ზეზვა და მზია

ჟაკოს ნანახი აცვიფრებდა და,
ყველაზე მეტად, იმას კვირობდა,
მოხეტიალე ჩიტის გიდობას
პროფესორი[1] რომ არ თაკილობდა!

– აი, ნაწილი ჩვენი წარსულის –
ავთომ ჟაკუნას აჩუქა ფოტო, –
იხილე „ჰომოს გეორგიუსი“[2],
უსმენდი ქართველთ საყვარელ დოქტორს.

ჟაკომ მიწამდე დახარა თავი,
რევერანსებით[3] ყველა აოცა:
ვახო და შაკო, თაკო, კაკოცა,
ხოლო პროფესორს შუბლზე აკოცა.

მერე ყირაზე გადატრიალდა,
სიცილით, ლამის, ყველა დახოცა.
ბუმბული ფრთებით ჩამოიბერტყა
და ავთანდილის მხრებზე აცოცდა.

***

ზედ ქვემო ქართლში, მდინარის წელში,
ქრისტეშობამდე აყვავებული,
ძველ, ოთხი სოფლის ნამყოფ ადგილზე,
იდგა დამპყრობთა რბევის სამიზნე,

ბოლნისი, დღესაც მყარად ნაგები,
ცნობილი წმინდა ტაძრით, სიონით,
ათას ექვსასი წლის წარწერებით,
სულის მწვერვალი, კავკასიონის!

—ყველა ქალაქს და სოფელს ვერ ვნახავთ,
ამისთვის გვინდა მრავალწლეული,
მაგრამ გავიცნოთ გზად მარნეული,
განსხვავებული ერით რეული.

—აბას I-მა[4],— განაგრძო ავთომ, —
ქართველნი, შლილნი ხშირი ომებით,
გადაასახლა, აქ ჩაანაცვლა
ბორჩალუელთა თურქმან ტომებით.

***

მოინახულეს მათ გარდაბანიც,
გადაიარეს ვახტანგის არხზე,[5]
მატარებლითაც იმგზავრეს ერთხანს
თბილისი-ბაქოს რკინიგზის ხაზზე.

ჟაკო ავთანდილს ბრძნულად უსმენდა,
არ ბეზრდებოდა თანაც ქაქანი...
იქ დიდხანს ყოფნის დრო აღარ ჰქონდათ
და გაემართნენ შემხვედრ მანქანით.

***

— აი, ჟაკუნა, რუსთავ-ქალაქი,
მტკვრის ორსავ მხარეს გაშენებული,
ქართლის სამეფოს შექმნის დროისთვის
ძლიერად მდგარი, დამშვენებული.

— ქართლის სამეფო?! რაო? რა, რა თქვი?!
განა მხარენი საქართველოსი
ცალ-ცალკე იყვნენ გათიშულები,
როგორც აფხაზნი და მოძმე ოსნი?!

— ჰო, ჩემო ჩიტო, იყო დრო, როცა,
ხე რომ ნაჭრებად დაკუწ-დათალო,
ჩემი ქვეყანა, ერთ დროს მთლიანი,
გაორგულებულ სამცხის სამთავროდ

და სამ სამეფოდ გადანაწილდა:
ქართლის, კახეთის, იმერეთისა
(ძმათ ორგულობის ცოდვათა გამო
ერთიანობა ჯერც არ გვეღირსა!)...

განმარტება

1. **პროფესორი** – (ლათ.)უმაღლესი სკოლის მასწავლებლის სამეცნიერო წოდებულება.
2. **ჰომოს გეორგიუს** – (ლათ.) ქართველი ადამიანი.
3. **რევერანსი** – (ფრანგ.) საზოგადოებაში ვინმეს წინაშე თავის დაკვრითა და მარჯვენა მუხლის ოდნავ ჩაკეცვით მისალმება; მოწიწების გამოხატვა.
4. **აბას I** – ირანის შაჰი მე-16 საუკუნეში. რამდენჯერმე შემოესია საქართველოს.
5. **ვახტანგის არხი** – პირველი ხიდი აქ ვახტანგ მე-6 აუგია. ახლანდელი საბჭოთა პერიოდში აღუდგენიათ, მაგრამ ძველი სახელით მოიხსენიებენ.

სამცხე-საათაბაგო

–ჰო... რას ვამბობდი?–ქრისტეშობამდე
იყო ქალაქი, ურყევი სახის.
სწორედ იქიდან იღებდა საწყისს
უძველეს დროის სარწყავი არხი.

რუსთავი, ალბათ, მიტომ დაარქვეს.
სპარსთ კი უწოდეს „ვოსტან–ქალაქი“,
ქართულად ნიშნავს „სამეფო ქალაქს“,
მტკიცედ მიაჩნდათ, იყო ალლაჰის.

მათ გარდა კიდევ ვინ არ ებრძოდა:
ოსმალ—არაბნი[1] და მონღოლები.
ერთ დროს ძლიერი ციხესიმაგრე
გააცამტვერეს დიდი ნდომებით.

მომხდურმა მტერმა, თუ რამე იყო,
მთლად ნანგრევებად გადააქცია;
ქალაქის ბაღში, ვარდების ნაცვლად,
მიწას მოედო ეკალ–ქაცვია[2].

მხოლოდ მეოცე საუკუნეში
რუსთავ–ქალაქი ფენიქსებრ[3] აღდგა,
თანამედროვე ქალაქებს შორის
მეტალურგიულ ქარხნებით დადგა.

რვალის[4] მიღების დიდ საიდუმლოს
ჩემს სამშობლოში ძველთაგან ფლობდნენ,
ისეთ მყარ ფოლადს ადნობდნენ, თურმე,
ბევრ სახელმწიფოს აშკარად ჯობდნენ.

ამის დასტური გახლავთ სოფლები:
ფოლადაური და მადნეული,
თუნდ, სარკინეთი, თუნდ, ალავერდი —
მათი წიაღი, ძვირფასეული.

ხომ ხედავ, ჟაკო, დღესაც გრძელდება
რუსთავ–ქალაქის აღორძინება,
შენდება სკოლა, სახლი და სკვერი,
მისდევს ცხოვრების მაჯის დინებას.

თუთიმ ქუჩაზე სკოლა შენიშნა,
ჰოდა, მაშინვე მისკენ გასწია
(ხომ იცით, ჟაკის როგორ უყვარხართ!),
ბავშვებთან გაჩნდა ერთ–ორ წამშია.

ეზო ყვიროდა და ხმაურობდა,
ბიჭებს ერჩიათ ფიცხი ლახტია[5],
ზოგნი დარბოდნენ, სხვა ჭორაობდა,
არ ეტყობოდა არვის დარდია.

განმარტება

1. არაბნი – სახელწოდება დასავლეთ აზიისა და ჩრდილ–ოეთ აფრიკის ქვეყნებში მცხოვრები ხალხებისა.

2. ეკალ–ქაცვი – ეკალშერეული ქაცვი. ეკალი დაბალი მცენარეა, მაგარი წვეტიანი წარმონაქმნებით, უფოთლოა ან ოდნავ ფოთლიანი. ქაცვიც მცენარეა, სხვადასხვა სახეობისა, უფრო ბუჩქია.

3. ფენიქსი – ძველი, სხვადასხვა ერის წმინდა ფრინველი, რომელსაც გამოსახავდნენ წითელ და ოქროსფრთებიანი არწივის სახით. ჰეროდოტეს გადმოცემით, ყოველ 500 წელიწადში სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობდა, თავს იწვავდა და კვლავ აღდგებოდა ფერფლიდან. ამიტომ იგი ნიშნავს მუდმივ განახლებასა და აღორძინებას.

4. რვალი – ძველ ქართულად ბრინჯაო.

5. ლახტი – ლახტაობა. ქართული ხალხური თამაში ბიჭებისა. იყოფიან ორ თანაბარ ჯგუფად. ერთი თავდამსხმელია, მეორე – თავდამცველი. მიწაზე შემოხაზულ წრეში დგებიან, ფეხებშუა ლახტებს (ქამრებს, ღვედებს) იდებენ. თავდამსხმელები ცდილობენ, აართვან. თუ გამოსტაცებენ, წრეში მყოფთ ფეხებში ურტყამენ. წრეში მოქცეულები ერთმანეთს ზურგს უმაგრებენ, ხტებიან, რომ დარტყმა აიცილონ. ვისაც მოარტყამენ, ჩაჭრილად ითვლება და ქულა ეწერება თავდამსხმელს. მერე გუნდები როლებს იცვლიან.

რუსთავის ძველი ციხესიმაგრე



ახალი რუსთავი

ჩიტმა მიიღო ბავშვების სითბო
და სიყვარული ჭარბზე ჭარბია;
მერე ნისკარტით ყველას აკოცა,
არ გაუტეხა არვის ხათრია.

თუთიყუშს ველარ ეთხოვებოდნენ
და მოიგონა ავთომ ფანდია[1]:
—ბავშვებო, ახლა თუ არ გაგვიშვებთ,
დავაგვიანებთ წასვლას, ნაღდია.

შეჩერდნენ, თუმცა, არ ეთმობოდათ,
ვერ შორდებოდნენ ასე ადვილად,
კვლავ სათითაოდ მიეალერსნენ,
დამშვიდობება გაუხანგრძლივდათ.

—გავაგრძელოთ გზა, ჩემო ჟაკუნა,
ჯერ არ გინახავს გარეკახეთი.
საგარეჯოს და გურჯაანს შემდეგ
მხარეს შეიცნობ სრული სახეთი.

***

საგარეჯო მას მიტომ დაერქვა,
რომ იქვე არის „დავითგარეჯი“,
მამა დავითის დაარსებული,
მრავალმთიანი ველის არეში.

ამ გარეჯელზე მინდა გიამბო:
ასურეთიდან[2] ცამეტმა მამამ,
ქრისტიანობის განმტკიცებელმა,
შეუდრეკელმა, ვით კლდემა სალმა,

საქართველოში დაიდო ბინა.
შემოიარეს ფეხით ტყე-ველი
და დააარსეს, ჩვენებთან ერთად,
წმინდა ტაძრები, სანატრებელნი.

ერთი მათგანი გახლდათ დავითი.
თბილისში, მთაზე, დაისადგურა.
მერე კი გარეჯს, გამოქვაბულში.
ლავრის შენება ღმერთმა არგუნა.

იმისი ღვაწლი გააასმაგეს
ლავრის თორმეტი ტაძრის მამებმა,
ყველა ქართველის ხატად აქციეს
ენა, მამული, წმინდა სამება.

გარეჯში შექმნეს ხელოვანებმა
(ფრესკული ხატვის სხვაგვარი სტილით[3])
ფრესკა თამარის, ლაშა გიორგის
(დედა-დედოფლის ღირსეულ შვილის).

განმარტება

1. ფანდი – ხერხი რაიმეს მისაღწევად, შესასრულებლად, გასაკეთებლად.

2. ასურეთი – ძველი სახელმწიფო დღევანდელი ერაყ-ის ტერიტორიაზე. ჩამოყალიბდა ძველი წელთაღრიცხვის **II** ათასწლეულში. იარსება ძვ.წ.-ის **VII** საუკუნის ბოლომდე. მათ ღვთაებას ერქვა ასურ, ასევე ერქვა დედაქალაქსაც.

3. სტილი – ვინმე პიროვნების ან ხელოვნების დარგისათ-ვის დამახასიათებელი ხერხი, თავისებურებათა ერთობლიობა, მანერა, აგრეთვე წელთაღრიცხვა: ძველი სტილი – ქრისტე-შობამდე, ახალი სტილი – ქრისტეს შემდეგ.

სარკინეთი

გარეჯის ლავრა

„დავით გარეჯის“ ლავრის ფრესკები

ააღორძინეს უდაბნოს ველი,
უფრთხილდებოდნენ ქართულ კულტურას,
თარგმნიდნენ სხვისგან და ქმნიდნენ ახალ,
დიდ პატრიოტულ ლიტერატურას.

გარეჯის ლავრამ გამოაბრწყინა
ბევრის სახელი, ნათელმზიანი:
დემეტრე[1], ბრძენი ანტონ პირველი[2]
და სულხან-საბა ორბელიანი.[3]

უნდა შევწყვიტო. მხოლოდ მათს ამბავს
ხომ ვერ ვიამბობ, სხვაც მაქვს სათქმელი.
ათასი რამე გვაქვს სანახავი,
ბევრი მთა-ველი და შარა[4] გველის.

ავთანდილი „მასწ.“ როცა ჰყვებოდა,
ჟაკო არასდროს ხმას არ იღებდა,
ხან ეჯდა მხარზე, ხან კიდევ – თავზე,
ან ხტოდა, ფრენდა, ისე ისმენდა.

—გემორჩილები, როგორც ყოველთვის,
ვერ გამომიჭერ მე შენს ღალატში,—
თქვა და ჰაერში გადატრიალდა,
ვინ აჯობებდა, ნეტავ, მალაყში[5]?!

—ფრთხილად, ჩიტუნა, მაგ ყირამალით
არ მოგივიდეს რამე ზიანი.
თუმც, არ შეშინდე, ხელად გიშველის
აქვე, ახტალა[6], ტალახიანი.

***

მიუახლოვდნენ, თანვე, გურჯაანს,
ამ ხუმრობაში როდესაც იყვნენ.
ბაღ-ვენახებში ჩაფლულ ქალაქის
ქუჩათა მწკრივებს ფეხით გაუყვნენ.

— არ ჩამორჩება დროს გურჯაანი,
მისი ღირსება ძალზე ვრცელია.
თუმც, ვიცი, უფრო მეტად გიტაცებს
ჩვენი წარსული, ის, რაც ძველია.

ამ რაიონის ყველა სოფელში,
დავასახელოთ, რომელიც გინდა,
ხუთას წლიანი ისტორიისას
შეხვდები ტაძარს, სალოცავს, წმინდას.

უფალს სიუხვის კალთა უბერტყავს
ალაზნის ველის ორსავე მხარეს:
ხორბალი, ვაზი, კომში, ატამი,
ნესვი, საზამთრო ამშვენებს არეს.

ამ სიუხვისთვის ამ მთებს, ამ ველებს
ასწლობით ახსოვთ დღეები, მწარე...
მტრებმა ქართული სულის სიმბოლო –
ვენახი, ყველგან ულმობლად თხარეს.

მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას
არ დაუკარგავს სიმხნევის დონე!
ვაზის ნაჟური სისხლს უახლებდა,
უასკეცებდა ძალას და ღონეს.

განმარტება

1. დემეტრე — XVII XVIII საუკუნეების მწიგნობარი, მგალობელი, პედაგოგი, კალიგრაფი.

2. ანტონ I — ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (1720 – 1788). ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, კათალიკოსი, მწერალი, მეცნიერი. ვახტანგ VI-ის ძმისშვილი. იზრდებოდა თელავში თავის ბიძაშვილ ერეკლე II-სთან ერთად. მოღვაწეობდა დავით გარეჯში. 1739 წ. გელათის წინამძღვარი გახლდათ. განაახლა ვახტანგ VI-ის სტამბა. შექმნა სკოლები, თეატრი, სემინარიები, გააძლიერა მართლმადიდებლური ეკლესია; შეიმუშავა პროექტი თბილისის, გორის, თელავის უმაღლესი სასწავლებლებისა; შექმნა სახელმძღვანელოები.

3. სულხან-საბა ორბელიანი — დიდი ქართველი მწერალი მეიგავე, სახელმწიფო მოღვაწე. ავტორი თქვენთვის ნაცნობი წიგნისა „სიბრძნე სიცრუისა“.

4. შარა – სოფლის ფართო გზა.

5. მალაყი – თავდაყირა, ყირამალა.

6. ახტალა – ტალახით სამკურნალო კურორტი ქ. გურჯაანში,

სულხან-საბა ორბელიანი

ქართველს ერთ ხელში თასი ეჭირა,
მეორეში კი— ბასრი მახვილი!
უფლის და მოძმის იმედი ჰქონდა,
ვერ აჩოქებდა მტრების ქადილი.[1]

ორას ათასი მკვიდრი კახელი,
აბას პირველმა, სპარსეთის შაჰმა,
უდრეკი გულის და ძალის გამო,
ფერეიდანში[2] გადაასახლა,

გადასახლებულთ საცხოვრებელად
უკაცურ ველზე დაუდო ბინა.
ისპაჰანელთა გადასარჩენად
ბრძოლა ხარკად და ვალად უჩინა!...

.—პირი გამიშრა! რას აღარ ვისმენ!—
ჟაკომ ფრთა თავზე უცბად მიირტყა.—
რამდენი ტანჯვა გამოგივლიათ!
უღვთოობაა, თუ რა ღვთის რისხვა?!

—ჰო, ჩემო ჟაკო, დღესაც ცხოვრობენ
ფერეიდანში ჩვენებურები...
იქაც, თურქეთშიც მშობლიურ ენას
უფრთხილდებიან კვლავ რუდუნებით.—

უთხრა ავთომ და ერთად შევიდნენ
ორგუმბათოვან „ყველაწმინდაში“[3].
ღვთიურ საკმევლის სურნელი იდგა,
სანთელი ენთო ყველა ხატის წინ....

ჟაკუნას თავი ისე ეჭირა,
თითქოსდა, იყო კახთა ძმობილი,
ცხრა ზღვის და ცხრა მთის გაღმა კი არა,
საქართველოში გახლდათ შობილი.

ყველა ბავშვს სურდა მისი წაყვანა,
აღარ იცოდა, ვინ აერჩია,
მაგრამ ტყუპებმა უფრო მოხიბლეს,
მიტომ ლაშას და ნინოს ეწვია.

თქვენ რა გგონიათ, მარტონი იყვნენ?!
გოგო-ბიჭებიც მიჰყვნენ ხმაურით.
თანდილაანთი გამოეგებნენ,
სახლი აივსო აურზაურით.

მერე, როდესაც ცოტა დაწყნარდნენ,
ჟაკოს ჩამოსვლის მიზანს გაეცნენ,
„ვეფხისტყაოსნის“ „სამართლის წიგნად“
აღიარებით, ლამის, „დაეცნენ“!

ბედელი, თავლა, მარან-საწყობი
და მთელი სახლი შემოატარეს,
თუთის ყოველი აცვიფრებდა და
შეკითხვებისგან ღლიდა პატარებს.

საწყობი საგსე იყო პროდუქტით,
მარანი — ღვინით მთვრალი ქვევრებით,
თავლა — ძროხებით, ვირით, ცხენებით,
ბაღჩა-ბოსტანი — ათას ფერებით.

უცბად შეწყვიტა ყველამ თამაში,
როცა დიდედამ ნიგვზის აცმები
სწრაფად გაავლო უტკბეს ფაფაში-
ქვაბში თუხთუხა ცხელ თათარაში.

მერე ხარიხის ჯოხზე დაჰკიდა.
ბავშვებმა წვეთებს აგებეს პირი.
იმ დღიდან თუთის უყვარს ჩურჩხელა -
სურნელოვანი და თანაც ტკბილი.

განმარტება

1. **ქადილი** - 1. მუქარა 2. თავის ქება, კვეხნა, ტრაბახი.

2. **ფერეიდანი** - ფერეიდუნ შაჰრი, ცენტრალური ირანის პროვინცია, ბახთიარის მთებში. ქ. ისპაჰანიდან 100კმ-ზე. 1614 წელს ჩვენებმა იქ შექმნეს სოფლები ქართული სახელებით: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, ჩუღურეთი, რუისპირი, ვაშლოვანი და სხვა. ფერეიდნელი ქართველები აიძულეს მაჰმადიანობა მიეღოთ.

3. **ყველაწმინდა** - ტაძარი გურჯაანში.

ფერეიდანი

ყველაწმინდა

ბეღელი

მარანი

მარან-საწყობი

თავლა

ბაღი

ბოსტანი

ჩურჩხელების ამოვლება

ჩურჩხელები ხარიხაზე

ამასობაში სუფრა გაშალეს,
„რქაწითელათი“ დადგეს ჭიქები
(ქართული ღვინის გემო იცოდა,
აუკაწკაწდა ჟაკოს კიჭები).

ხაჭაპურები, ქადა, ნაზუქი,
ხაშლამა, მწვადი, შოთიპურები
და წიწილები, დაბრაწულები...
ვერ გაძღებოდა კაცი ყურებით!

ყველანი დასხდნენ მაგიდის ირგვლივ,
ჟაკოც მიუჯდა სუფრას თამამად.
დიდმა, პატარამ შეწყვიტა სიტყვა,
რადგან წამოდგა ფეხზე თამადა:

—უფროს-უმცროსის პატივისცემა
და ზომიერი ჭამა-სმა, მშვიდი,
უნდა იცოდეს ყველა ქართველმა,
იყოს გულწრფელი და არა — ფლიდი.

დე, გაუმარჯოს დედამიწელებს!
დე, ერთმანეთში არ იყოს ჯიბრი!
ჩვენს სამშობლოში ჟაკოს ჩამოსვლით
უფრო განმტკიცდეს დაძმობის ხიდი!

ბავშვები მალე წამოიშალნენ,
თუთისთან ბევრი რამ ითამაშეს;
დაღამებასა და განშორებას
ისე ელოდნენ, როგორც განაჩენს.

ბოლოსდაბოლოს გადაიღალნენ,
ძილი ეწვია ერთად ყველასა...
გამთენიისას გამოიღვიძეს,
ვიდრე ტოროლა იწყებს მღერასა.

კვლავ განშორება... კვლავ გამგზავრება...
ასეთი არის წუთისოფელი...
ქმედება, გარჯა არის სიცოცხლე!
სიზარმაცისგან კარგს ნუ მოელი!...

***

ალაზნისა და ივრის ხეობებს
შორის გაწოლილ გომბორის ცივ ქედს
გაუყოფია სიღნაღი[1] ორად
და თვითნებურად განაგებს მის ბედს.

ვერსად შეხვდებით ერთ რაიონში
ამგვარ ჭირვეულ კლიმატურ ზონას[2]:
ალაზნის პირას ხეები ჰყვავის,
ივრის ნაპირთან კი იწყებს თოვას.

მთიან ქიზიყის[3] გული — სიღნაღი,
უხსოვარ დროის ციხე-ქალაქი,
სასაზღვრო გზების მყარი ალაგი,
ხშირად ნგრეულა მომხდურ ჯალათით.

ციხე-ქალაქის თავისუფლებას
პატარა კახი ედგა დარაჯად.
დღევანდელობა არის თავმდები,
რომ იარსებებს იგი მარადჟამს.

—როგორც მე ვხედავ, საქართველოში
უვლიან წარსულს და რაც ძველდება,
წინაპართ მიერ ნაშრომ-ნაღვაწი,
თანამედროვეთ ხელით შენდება.

ჟაკოს ნათქვამი მოუწონა და
თან დაამატა ავთომ სათქმელი:
—შენდება, თანაც ისე მშვენდება,
რომ განშორება მასთან ძნელდება.

განმარტება

1. სიღნაღი – ქალაქი გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე, თბილისიდან 118 კმ-ზე. მოიხსენიება **XVIII** ს-დან. 1762 წ. ერეკლე **II**-მ ძველი ციხის ნანგრევებზე ააშენა. სიღნაღი სამეფო ქალაქი იყო.

2. კლიმატური ზონა – კლიმატი (ბერძ.) – ჰავა, მეტეოროლოგიური (მეტეოროლოგია არის მოძღვრება ამინდისა და მისი წინასწარი გამოცნობის შესახებ) ელემენტების ერთობლიობა.

3. ქიზიყი – კახეთშია. ტერიტორია მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით, მდინარეების: ივრისა და ალაზნის ქვემო წელის აუზში. ადრინდელი სახელწოდებაა კამბეჩოვანი.

სიღნაღი

თუთი ძველის და ახლის თანშერწყმით
იხიბლებოდა, სტვენდა, ლაღობდა,
მოჩუქურთმებულ აივნებსა და
მაღალ კოშკებზე ფრენა ართობდა.

მიდიოდნენ და გული უძგერდათ
წარსულის კვალის ნახვის ლოდინში...
საკუთარ ფიქრში ჩაძირულები
მალე შევიდნენ კიდეც ბოდინში.

***

—სოფელი, ახლა ბოდბედ ცნობილი,
ჩვენთვის ძვირფასი არის ძალიან:
ყველა ქართველის სათაყვანები
წმინდა ნინო აქ ასაფლავია.

—ნინო ვინ არის? – იკითხა ჟაკმა,—
გადაუხვიეს როცა ტაძრისკენ,
—მოვედით კიდეც,— თქვა ავთანდილმა
(ხელი წაიღო მძიმე კარისკენ).

—ანდრია, სვიმონ მოციქულების
ქადაგის შემდეგ ხანი გავიდა.
იესოს დედა, წმინდა მარიამ,
წილხვედრ მხარეში ვეღარ წავიდა,

მიიხმო მასთან ქალწული ნინო,
საქართველოში წასვლა ავალა.
ვიდოდა ნინო, ჯვრით ხელში, მარტო,
მას არ ხლებია გვერდით ამალა.

—ვინ იყო იგი, საიდანაა?
ან რატომ თვლიდა თქვენს მიწას თვისად?!
—მის მამულს ერქვა კაპადოკია[1],
მდებარეობდა პონტოს ზღვის პირად.

ნინო, ქართველთა განმანათლები,
საქართველოში ასე ამბობენ,
წმინდა გიორგის ბიძაშვილია,
ქართველურ ტომში ერთად სახლობდნენ.

მან ჯვარი შექმნა ვაზის ღერისგან
და საკუთარი ნაწნავით შეკრა.
მცხეთაში[2] როცა ჩავიდა იგი,
იესოს ძალით, წარმართნი[3] შეძრა!

მაშინვე ერყა[4] ურწმუნოთ მიწა,
არმაზის კერპნი[5] ძირს წააქცია!
ჯერ სასახლე და მერე მთლად ქართლი
ქრისტეს რწმენაზე ნინომ აქცია!

განმარტება

1. კაპადოკია – მცირე აზიის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი ოლქი, რომლის საზღვრები იცვლებოდა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში. ეგ. წ. მცირე კაპადოკია მოიცავდა შავი ზღვის სანაპირო ზოლს, ანუ პონტოს ზოლს.

2. მცხეთა – ქალაქი მტკვრისა და არაგვის შესართავთან. თბილისამდე საქართველოს დედაქალაქი.

3. წარმართები – კერპთმსახურები. ამ ტერმინით მოიხსენიებოდნენ ისინი, რომლებიც ებრძოდნენ ქრისტიანობის დამკვიდრებას.

4. ერყა – მიწისძვრით შეერყა.

5. არმაზის კერპი – ძველი ქართლის წარმართული ღმერთი ქრისტიანობის მიღებამდე.

მცხეთა

კაპადოკია

ნინოს ჯვარი

არმაზის კერპი

იდგა მეოთხე საუკუნე და
იმ დღის შემდეგაც ქრისტე გვწამს დღესაც.
მისთვის ქართველნი მუდამ იბრძოდნენ,
იესოს მსგავსად ჯვარს ბევრჯერ ეცვა!...[1]

***

ავთომ იცოდა, თუთის უყვარდა
მწვანედ ჩაბურულ ტყეში წანწალი.
ამიტომ სწრაფად შესთავაზა ჟაკს
ლაგოდეხის პირს დიდი ნაკრძალი.

შევიდნენ... ტევრში თავს მშვიდად გრძნობდნენ:
ირემი, დათვი, შველი და მგელი,
ფოცხვერი, მაჩვი, ზღარბი, კურდღელი,
ღორი და ტურა, კვერნა და მელი.

და სხვა ცხოველნი — სწრაფად მავალნი,
სხვადასხვა ფორმის მწერი. მრავალი,
ორას სამოცი ჯიშის პეპელა,
რვა სახეობის ქვეწარმავალი.

განმარტება

1. იესოს მსგავსად ჯვარს ბევრჯერ ეცვა – ოვულისხმება ის, რომ საქართველო ქრისტიანობის შესანარჩუნებლად იბრძოდა, იტანჯებოდა, მოსახლეობა იღუპებოდა.

ლაგოდეხის ნაკრძალის ბინადარნი

თვრამეტი ათას მიწის ჰექტარზე
ვადაჭიმული და ვანფენილი
წიფელა, მუხა, რცხილა, მურყანი,
წაბლი და ძეწნა — ძირსდაფენილი,

კაკალი, ცაცხვი, იფანი, თხილი,
მწვანე ხასხასა ბალახი, რბილი,
ათას ხუთასი სახელწოდების
ხე და ბუჩქები — ყვავილად შლილი.

სმენას ატკბობდნენ, სულს ამშვიდებდნენ
შაშვი, კაკაბი, ჩხიკვი, ბეღურა,

ოფოფი, როჭო, შურთხი, ნარჩიტა
(ნეტავ, ვვალობდეთ იმათებურად!)...

მწყერი, ჭინჭრაქა, მტრედი, კოდალა,
ჭოტი, ზარნაშო — ღამის მთეველნი,
ასამდე ტიპის და ხმის ფრინველი,
მგალობელნი და შიშის მთესველნი.

ის ღამე ქოხში ვამოიძინეს,
დილით გზა ცხენით გადაიარეს.
ვამოთხოვება კვლავ გაუჭირდათ,
როგორც შეხება ვატკენს იარებს.

ნაკრძალის პეიზაჟები



***

კავკასიონის სამხრეთ შტოებზე
განლაგებული არის ყვარელი,
ყველა ქართველის ტკბილი სავანე[1],
ღირსსახსოვარი და საყვარელი.

ნახეს მაღლობზე ქვაბულ-დარბაზი,
„ღვინის ვარძია“[2] — კლდეში კვეთილი.—
ღვინის საყენად და შესანახად
მიწის ქვეშეთში გამოკვეთილი.

ყველას უხმობდა წყლის ტბა-საცავი,
ალივლივებდა ტალღებს ზღვასავით,
ბუნების შვილთა მაცოცხლებელი,
მოწყურებული მიწის დამცავი.

ორი სახელი ამშვენებს ყვარელს,
თავის მიწაზე გაზრდილი შვილის,
ბრწყინვალე მწერლის, ილიასი და
რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის.

ენის, მამულის, სარწმუნოების
დარაჯ ილიას ვუწოდებთ მამას!
სიტყვით და კალმით, უღელი საქმით
შეედრებოდა ვერავინ სხვა მას!

ილიას აზრი გვიკვებავს გონს და
ის არის დღესაც ჩვენი „სარდალი!“
სწორედ ამიტომ ეკლესიამ და
ხალხმა უწოდეს წმინდა, მართალი!

განმარტება

1. სავანე – მოსასვენებელი ადგილი, ბინა, ოთახი, სოფელი, ბადი. დედათა ან მამათა მონასტერი.

2. „ღვინის ვარძია“ – ღვინის საცავი ყვარელში. კლდეშია ნაკვეთი.

ყვარლის ტბა

ილიას სახლ-მუზეუმი საგურამოში



ილია ჭავჭავაძე

ილიას სახლი ყვარელში



კოტე მარჯანიშვილი

კოტე მარჯანიშვილის სახლი ყვარელში

ასი წლის წინათ მარჯანიშვილის
მიერ დადგმული ყველა სპექტაკლი
დღესაც ამშვენებს სცენას თეატრში,
როგორც ბრწყინვალე მთვარის სპეკალი.[1]

***

ალაზნის ვაკეს, ინწობის[2] პირას,
ამშვენებს ძველი სოფელი გრემი,
ჩვენი წინაპრის ნათელი ველი,
სახე შენების, შედეგი ნგრევის.

კახთა ძლიერი პრიმა ქალაქი[3]
სულს უკვებავდა ყველას: ერს და ბერს.
სასულიერო პირებთან ერთად
იქ მეფეებიც ქმნიდნენ ხელნაწერს.

გმირული გრემის ნაქალაქარი
თუთიმ სულ ფეხით შემოირბინა.
მისმინეთ, რასაც ახლა გიამბობთ,
ჟაკუნამ თვითონ წარმოიდგინა:

„...ის, რაც აბასმა გააპარტახა,
ჟაკოს ბრძანებით, ერთ წელში აღდგა.
სამეფო ტახტი შადრევნებიან
ეზოს პირდაპირ, დარბაზში დადგა.

ფერნანდო პოდან[4] ჩამოიყვანა
„მწიფე ბანანის სადარი ქალი“,
ცქვიტი ჟორჟეტა, კოხტა ჟორჟეტა,
ჟაკოს საცოლე და დედოფალი!

მშვენიერ ბაღში ყვავილებს კრეფდნენ,
ხან სეირნობდნენ რვაკუთხა კოშკში,
აბანო ჰქონდათ ისე ლამაზი,
ჩავარდებოდით მაშინვე შოკში!

მთელ გრემთან ერთად იღებდა ღვთის მადლს,
უხვად გასცემდა უფლის შესაწირს,
მთხოვნელებს მუდამ ეხმარებოდა,
არ ივიწყებდა უპოვარს და მწირს.

სურსათს აწყობდა სათავსოებში,
ღვინოს წურავდა საწნახელებში,
ფოლადს აწრთობდა ცხელ ღუმელებში,
პურის ტომრები ედო ბეღლებში.

ხალხს ვერ იტევდა უხვი ბაზარი,
მყიდველი ჰყავდა მდიდრულ ქულბაქებს,[5]
ქარვასლა გახლდათ ისეთი დიდი,
შეშურდებოდათ უმდიდრეს შაჰებს.

ბაზარი ირგვლივ ფარგლული იყო
კამაროვანი დუქნების რიგით
(ათასი სახის საგნებით სავსე),
ვაჭრებს ეჭირათ სარფიან[6] ქირით.

არ ილეოდა მიმსვლელ-მომსვლელი,
უცხოეთიდანც ბევრი სტუმრობდა.
ჟაკო მოსულებს თავად ხვდებოდა,
ათ ენას ფლობდა, კი არ ხუმრობდა!

ციხე წყლით მუდამ მარაგდებოდა
სასმელისა თუ სარწყავის სახით.
ლოპოტა[7] გახლდათ მიმწოდებელი,
კერამიკული მილების არხით.

ყველა გრემელი იყო ამაყი,
რომ მათ იცავდა ჟაკუნა ქველი,
ის ციხე—ქალაქს ლაღად მართავდა,
ძლიერი გონით და მტკიცე ხელით.

განმარტება

1. **სპეკალი** – ძვირფასი ქვების ნაკრები.
2. **ინწობა** – მდინარე აღმ. საქართველოში,
3. **პრიმა ქალაქი** – პირველი ქალაქი.
4. **ფერნანდო-პო** – მამუკა სალუქვაძის „თუთიყუშ ჟაკოს თავგადასავალში“ ჟაკი დაიბადა ამ კუნძულზე.
5. **ქულბაქი** – ძველებურად – ბაზრის დუქანი.
6. **სარფიანი** – სასარგებლო, მომგებიანი.
7. **ლოპოტა** – მდინარე, ყვარლისა და თელავის რაიონებში. იწყება კახეთის კავკასიონის სამხ. კალთებზე.

ძველი ბაზარი

ძველი ქარვასლა თბილისში

კარგად ცხოვრობდნენ, იყო მშვიდობა.
მათზე თავდასხმას ვერვინ ბედავდა.
ჟაკი მომავალს ნათლად ხედავდა,
იბერ-კოლხეთის შერწყმას გეგმავდა...“

სასახლის ბაღზე იჯდა ჟაკუნა,
მარცხენა წარბი დინჯად აზიდა...
ის იყო, ფიქრი კვლავ გააგრძელა,
ავთანდილის ხმამ გამოაფხიზლა:

— სულ ერთ ადგილზე ვერ გავჩერდებით
(მაპატიე, რომ ვჩიჩინებ მარად.),
გეყოფა, თუთი, მიწას დაეშვი,
მხოლოდ ოცნება ხომ არა კმარა?!

— ჰო, მართალი ხარ, ჩემო ავთანდილ!
თუმცა, ოცნება კარგი რამ არის...
თვალს დახუჭავ და გრემში იცხოვრებ,
ან ეპოქაში — დიდი თამარის!...

***

კახეთში ვერვინ გვერდს ვერ აუვლის
თელავს, უძველეს სატახტო ქალაქს
(ბრინჯაოს ხანის დასახლებულ პუნქტს),
საგაჭრო გზების ცენტრალურ საგალს.

სიმდიდრისა და ადგილის გამო
სულ ესეოდა მტერი, მრავალი,
გზას უღობავდა „ბატონის ციხე,“[1]
ქონგურებიან[2] სქელი გალავნით.

თელავი ხარობს წარსულის სიღრმით,
მაგრამ ამაყობს ბევრი სიახლით,
ისტორია და დღევანდელობა
ერწყმის ერთმანეთს დღეს მის წიაღში.

ერეკლე მეფის რეზიდენცია,
კინოთეატრი და მოდის სახლი,
საავადმყოფო, ბაღი, სკოლები,
სამარხები და ნაშთები მარნის.

კოხტა სახლები, მუზეუმები
და საზარბაზნე ბურჯები, მკვრივი,
მეღვინეობის მეურნეობა,
ხეივნების და ქუჩების მწკრივი.

ყველა თელაველს ეამაყება,
რომ არის შვილი თავის მხარისა.
ომი, სისხლისღვრა წარსულში დარჩა...
მზე აცისკროვნებს ყოველ აისსა!

ჟაკოს თელავი ხომ მოეწონა,
მეტად მოხიბლა მსხვილმა ჭადარმა,
კახეთის გმირთა სულის სიმბოლომ,
გულით — ყმაწვილმა, წლებით — ჭარმაგმა.

ფრთით ჩაეჭიდა ბავშვებს თუთი და
ჭადარს შემორტყმულ წრეში ჩაება,
„მუმლი მუხასა“... — დაიწყო ერთმა
და მათთან ერთად ისიც ამღერდა.

განმარტება

1. ბატონის ციხე – იგულისხმება ერეკლე II-ის მიერ აგებული ციხე.

ბატონის ციხე

ჭადარი

2. ქონგური – (სპარს). ციხესიმაგრის გალავანზე, კოშკებზე დაშენებული დაკბილული სვეტები.

ერეკლე მეორის სასახლე

ერეკლე II სასახლის ეზო

ღამე თელავში გამოიძინეს
და მოიკრიბეს სრულად ძალები.
სამოგზაუროდ მოემზადნენ და
გადაიარეს ტყე-ველ-ჭალები.

***

ვენახს ებმოდა ხილის ბაღები,
ხეთა ტოტები ზღვისებრ ღელავდა:
ნიავს მოჰქონდა ამო სურნელი,
წყლის პირს ფართობი მწვანედ ელავდა.

***

პეიზაჟების ცქერით გართულებს
შემოეგებათ წინ წინანდალი.
– ჟაკო, ვამაყობ აქაურობით,
ანთია, როგორც დიდი შანდალი!

ეს მშვენიერი სასახლე გახლავს
პოეტ ალექსანდრ ჭავჭავაძესი.[1]
მრავალი ბუჩქი, ხე და ყვავილი-
მისი დარგული და დანათესი.

ჟაკო გაოცდა და აღფრთოვანდა –
მსგავს სილამაზეს აქ არ ელოდა
(ეგზოტიკური ბაღის გარემოს
ეგზოტიკური ჩიტი შვენოდა).

მერე შევიდნენ სახლ-მუზეუმში.
რაც იქ ნახა და, რაც გაიგონა,
მაღალ კულტურას ნაზიარებულს
თავი სამოთხის მკვიდრი ეგონა.

—ასეთ მშვენიერ ადამიანებს
რა გენი ჰქმნიდა, რა სისხლი, ნეტავ?!
ქართველებს ვუცქერ ამ ფოტოებზე,
თუ ჰოლივუდის[2] ვარსკვლავებს ვხედავ?!

–ყველას ხიბლავდა ეკატერინე!
ის იყო მუზა ბარათაშვილის.
ეს, ანგელოზის სახით, ნინოა,
ადრევე დაჭკნა, ყვავილად შლილი!...

ჟაკომ ეზო კვლავ შემოიფრინა,
ბზის ლაბირინთში იწყო ბანდალი
და თან ყვიროდა: – აქაურობას
უინძორშიაც[3] არ აქვს ბადალი!

განმარტება

1. ალექსანდრე ჭავჭავაძე – XIX საუკუნის ქართველი პოეტი, რომანტიკოსი. მამამისი, გარსევან ჭავჭავაძე, ერეკლე II-ის ელჩი იყო რუსეთში. ალექსანდრე დაიბადა პეტერ-ბურგში. მისი ნათლია რუსეთის იმპერატორი ეკატერინე გახლ-დათ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ოჯახით ცხოვრობდა თბილისსა და წინანდალში.

2. ჰოლივუდი – 1910 წლამდე დამოუკიდებელი ქალაქი აშშ-ში, კალიფორნიის შტატში. შემდეგ გადაიქცა კინოქა-ლაქად.

3. უინძორი – ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ინგლისის მეფეთა მთავარი საზაფხულო სამყოფი. აგებულია XI ს.-ში.

ეკატერინე ჭავჭავაძე

ნინო ჭავჭავაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილი

წინანდლის სასახლე

წინანდლის ბაღის ლაბირინთი

გამობრუნებულთ მოაცილებდათ
ზურმუხტისფერი ზღვა, ვენახების.
გულის დაწყვეტით იბრუნეს პირი...
ახლა ტკბებოდნენ ალაზნის ხედით.

– საქართველოში ვაზის კულტურა
ცნობილია, რომ უძველესია;
ქართული ღვინის ტექნოლოგია
მთელს მსოფლიოში უმრწემესია.[1]

მისი ღირსება უფრო გაღრმავდა,
როცა მოვიდა ქვეყნად მესია,[2]
რწმენა და ვაზი ერთურთს შეერწყა,
ამიტომ მტერი მუდამ გვესია.

– ხომ ამიხსენი მისი მისია:
ვაზი ღვთისმშობლის შესატყვისია,
ყურძნის მტევანი ყრმა იესოა,
ღვინო – ნაწამებ ქრისტეს სისხლია.

– ძველი მარნებით, უსურვაზით[3] და
კულტურულ ვაზის ხუთასი ჯიშით
მევენახეთა მსოფლიო რუკას
დღესაც ვამშვენებთ საკუთარ ნიშით.

– რით მოიპოვა აღიარება
ქართულმა ღვინომ, ჩვენი ქვევრისამ?!
– ყველა მოხიბლა სურნელით, ფერით,
თან სამკურნალო თვისებებისამ.

ამ აზრისაა უცხოელებიც,
თუკი გასინჯა ერთხელაც, ვინც რომ...
სჯერათ, ქართული სიტყვიდანაა
ყველგან ცნობილი სახელი „ვინო“.

ქართული მარკის სხვადასხვა ღვინომ,
მსოფლიო დონის კონკურსს გასულმა,
ას ორმოცამდე ოქროს, ვერცხლის და
ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა.

ღვინოსთან ერთად გვაქვს კონიაკიც
(გახლავს იმისი ღირსი ძმობილი),
ას ოცდაათი წლის წინ შექმნილი,
სარაჯიშვილის მარკით ცნობილი.

* * *

– ჟაკო, ჩვენ ახლა მოვინახულებთ
იყალთოს ძირძველ აკადემიას,
ათ საუკუნის წინათ არსებულს,
ღვთის მადლით ცხებულს, მირონმფენიანს.

განმარტება

1. **უმრწემესი** –უფროსი. აქ: უძველესი.
2. **მესია** – ქრისტე (ებრაულად – „მაშიახ“ ნიშნავს „ცხებული“.), მხსნელი, რომელმაც საკუთარი სიკვდილით ხალხი დააახლოვა ღმერთთან.
3. **უსურვაზი** – ველური ვაზი, ბაბილო, კრიკინა.

დავით სარაჯიშვილი

სარაჯიშვილის კონიაკი (ერთ-ერთი)

ქართული ღვინის ჯილდოები

ხატი „შენ ხარ ვენახი“

ქართული ყურძნის ჯიშები

ორსართულიან ამ შენობაში
თითქოს მსმენელებს დღესაც ელიან...
ყოფიერების გამოცნობასა
და სულიერად ზრდაში შველიან.

საქართველოში ღვიოდა, მუდამ,
სწავლის სურვილის მაღალი ბუმი.[1]
მოსურნეები ცოდნას იძენდნენ
ციკლით – ტრივიუმ–კვადრივიუმის.[2]

ამასთან ერთად, ისწავლებოდა
ოქრომჭედლობა და კერამიკა,
მეღვინეობაც. ყველაფერი ეს
საჭირო არის, კვერს ხომ დამიკრავ?!

– სხვაგანაც იყო საქართველოში
ასეთი ტიპის აკადემია?!
– აბა, რა, ჟაკო, ფასისს, გელათში.
და საამაყო იყო ჩვენია.

* * *

გადაიარეს ბევრი სოფელი,
ალავერდისკენ აიღეს გეზი.
იქვე გაიცნეს და გაიყოლეს
ბავშვები: თამრო, ქეთევან, რეზი.

– საქართველოში არსებულ ტაძრებს
ეს რაღათია აღმატებული?!
– ორმოცდაათი მეტრის სიმაღლით,
ფორმით კი ჯვარზე დამსგავსებული.

გამორჩეული კედლის მხატვრობით,
თექვსმეტსარკმლიან გუმბათის ყელით,
გადახურული ცისფერი ფილით,
გუმბათში გრძელი და ვიწრო კიბით.

ეროვნულობის ამ დიდ დარაჯში,
დედა–მამათა წმინდა საფარში,[3]
ყველა ქართველის საამაყო და
სულიერების ნათელ ტაძარში,

განმარტება

1. ბუმი – (ინგლ) რაიმეთი მეტისმეტად დაინტერესება, აუ–რზაური, სენსაცია.

2. ტრივიუმ–კვადრივიუმი – ტრივიუმი ლათინურად ნიშნავს სამი გზის გადაკვეთას. ამ სასწავლო პროგრამაში იგუ–ლისხმება სამი საგანი: გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა. კვა–დრივიუმი (ოთხის გადაკვეთა) გულისხმობს მუსიკას, არითმეტი–კას, გეომეტრიას, ასტრონომიას.

3. საფარი – თავშესაფარი, სამყოფი, დამცავი.

გელათის აკადემია



ფასისი (ფაზისი), პტოლომაიოსის რუკა

ალავერდის ტაძარი

იყალთოს აკადემია

ლიტერატურის განვითარების
საქმიანობა იყო გაშლილი.
იქ მოღვაწეთა შორის ბრწყინავდა
ირბახი, იგივ ჩოლოყაშვილი.[1]

ავთომ ჟაკუნას მოუბოდიშა,
მთელ საქართველოს რომ ვერ აჩვენებს,
საშვებულებო თვე იწურება,
დროს ხომ ვერაფრით ვერ შეაჩერებს?!

* * *

მდინარე ილტოს ქვემო დინებას
და ორვილს შორის გაშლილ ვაკეზე
გაშენებული დაბა ახმეტა[2]
ჩვენმა მგზავრებმა მალ გადაკვეთეს.

* * *

ჟაკომ იხილა თუშთა[3] ნაკრძალიც,
თუშური ცხენი, თუშური ცხვარი,
თუშ-ხევსურეთის კავკასიონი
და ალაზანი თუშეთის მხარის.

– ათას რვაასი ოთხმოცი მეტრის
სიმაღლეზეა კოხტა ომალო,[4]
ვერტმფრენით ასე მაღლა აფრენა
ხომ არ გაშინებს, არ დამიმალო.

– ავთო, მეგობარს რაფერ მიმეტებ,
თხასავით გინდა გამყიდო, ძამა?!..
გეხუმრე, მთები აღარ მაშინებს,
პირიქით, მომწონს ეს პანორამა!.

– ჟაკო, ვხედავ, რომ მართლა გაკაჟდი,
სიცივე, უკვე აღარ გადარდებს.
– მე ჟაკ დიდი ვარ! ვიცი, ცხოვრება
სულ რომ არ გვიფენს ია და ვარდებს.

– თუშ-ფშავ-ხევსურეთს ყოველთვის ერქვა
ჩვენი სამშობლოს ზურგი და მკლავი.
მოსეულ მტერთან მათი შეტევა
იყო სადარი მცხუნვარე ლავის.

მთაში გზა უფრო მაღლა იწევდა.
ცხვარი მისდევდა ბალახს ნაწვიმებს...
ხევებში ჩქეფდნენ მდინარეები...
ცის სივრცე ეპყრათ მყეფარ არწივებს.

ფშავ-ხევსურული ციხე-კოშკები
ფარ-ხანჯლებივით აჩნდნენ მიწასა.
ბანზე თავყრილი გოგო-ბიჭები
ფანდურზე მღერდნენ „კაი ყმისასას“.[5]

განმარტება

1. ნიკიფორე ირბახი, იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – XVI ს. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, მეფე თეიმურაზ I-ის დიპლომატი ევროპაში. რომში ყოფნისას, 1629 წელს ჩამოასხმევინა ქართული ანბანის შრიფტი და პირველად გამოსცა ქართული ნაბეჭდი წიგნი – „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“.

2. ახმეტა – მდ. ალაზნის მაჯვენა მხარეზე, პანკისის ხეობის შესასვლელთან.

3. თუშეთი – მხარე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

4. ომალო – სოფელი ახმეტის რაიონში.

5. „კაი ყმა“ – მთის დიალექტური ფორმა – საუკეთესო ვაჟკაცი, რაინდი.


DITTIONARIO
GIORGIANO
E ITALIANO.
COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuto del M.R. P. D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Basilio.
AD VSO DE' MISSIONARII
della Sagra Congregatione de Propaganda Fide.
IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
CIↃ DCXXIX.
CON LICENZA DE' SVPERIORI.

ნიკიფორე ირბახი და ქართულ-იტალიური ლექსიკონი

ომალო

გადაუარეს არჭილოს, მუცოს,[1]
ფხოვის[2] უმაღლეს ადგილებს, მზიანს,
მთიანს და კლდიანს, იანს და ღვიანს,[3]
კლდეზე დაკიდულ ჩანჩქერებიანს.

* * *

შემოეგებნენ შატილელები[4]
(ეჰ, სამწუხაროდ, მცირეღა სახლობს),
ერთად ჩამოსხდნენ ფიცარნაგებზე,
ღამის მეუფე მთვარესთან ახლოს.

იქ სხვაგვარად ჩანს არსობის არსი
და სიახლოვე ღვთიურ ვზისაო,
დალოდინება ვათენებისა,
ამობრწყინება მწველი მზისაო.

–მთაში ცხოვრება ძნელია, ჟაკო,
ხანგრძლივ ზამთარში უფრო რთულდება...
ბევრმა დატოვა თვისი სოფელი,
თუმც, ზოგიერთი უკან ბრუნდება!

ჰოდა, ტურიზმიც, მწამს, ვაღვივდება
(სიმართლეს ვამბობ, სულაც არ ვხუმრობ),
მალე, ტურისტებს ვეღარ აუვალთ.
– მჯერა, ავთანდილ, ახლაც ხომ გსტუმრობთ!

ისე უეცრად ამოცურდა მზე,
თითქოს, არასდროს დაღამებულა...
მთები ნელ–ნელა ახელდნენ თვალებს,
მწვერვალებს ნისლის რიდე ებურათ...

თუშ–ხევსურეთის კავკასიონის
ჩრდილო კალთიდან ცამდე აწვდილი,
ცელქი არღუნის წვრილ ხეობაში
უძველეს დროდან სახლობს შატილი.

ოქროს სხივებში გახვეულია
უნიკალური[5] ძეგლი ქართული—
მიჯრით ნაგები ციხე–სახლებით,
ტერასულ[6] სტილში ქვით მიქარგული.

სახლები, ბრტყელი სახურავებით
და უმტკიცესი ქვის კოშკურები,
ქმნიან ერთიან მიუვალ კედელს,
ვერრას აკლებდნენ მას მომხვდურები.

– იცი, ჟაკუნა, – ღელავდა ავთო, –
მთის წვერი, ანუ ერისიონი,
ესიმბოლება ღვთისმშობლის სამყოფს...
ჩემთვის ეს არის წმინდა სიონი!...[7]

განმარტება

1. არჭილო, მუცო – დუშეთის რაიონის სოფლები. არ–ჭილო ზღვის დონიდან მდებარეობს 1900მ. ხოლო მუცო – 1880მ.–ზე.

2. ფხოვი – ფხოეთი – ფშავისა და ხევსურეთის უძველესი საერთო სახელწოდება.

3. ღვია – მცენარეთა სახეობა.

4. შატილი – სოფელი დუშეთის რაიონში, ხევსურეთის კავკასიონის ქედზე, მდ. არღუნის ხეობაში.

5. უნიკალური – მეტისმეტად იშვიათი, უნიკუმი (ლათ.).

6. ტერასა – საცხოვრებელ სახლს მიშენებული აივანი, რომელსაც აქვს ბოძებზე დაყრდნობილი სახურავი. 2. ფერ–დობზე კიბეებივით მოწყობილი ბაქნები, რომელზედაც შენო–ბები ან ბაღებია გაშენებული.

7. სიონი – ბორცვი იერუსალიმში, რაზეც იდგა ტაძ–არი. იუდაიზმში სიტყვა „სიონი“ ღვთისმოშიშს ნიშნავს. მარ–თლმადიდებლურ ეკლესიაში იგი ჰქვია წმინდა ჭურჭელს, რომელშიც სეფისკვერი ინახება. ქართულ ეკლესიაში მას უწო–დებენ სანაწილეს.

ფარა

კავკასიონი

შატილი

– ზეცის და მიწის საერთო „სვეტზე
ანგელოზები ადი–ჩადიან,“
შუამავლობენ ღმერთს და კაცთ შორის,
ამცნობენ სურვილს და რას სჩადიან...

შატილელებმა სუფრა გაშალეს,
ასეთი გახლავთ მათი თვისება,
ცდილობენ, ფესვებს არ მოსწყვიტოს დრომ,
შეინარჩუნონ ძველი ღირსება.

თუთიმ ხინკალი დააგემოვნა,
ისე შესანსლა, როგორც კალია,
ბიჭების მიერ მიწოდებული
ჟიპიტაურიც უცბად დალია.

* * *

მერე უბელო[1] ცხენებზე შესხდნენ,
გადაიარეს გიორგიწმინდა.[2]
—წარმართთა დროის საკულტო[3] ცენტრის
მონახულება, ჟაკო, ხომ გინდა?

– კი, რა თქმა უნდა, მაგრამ მითხარით,
ქრისტეს თაყვანს სცემთ ამდენი წელი,
ამდენი ხანი ხმლებით ფარავდით...
სალოცავს იცავთ ამაზე ძირძველს?!

– ზოგჯერ წარსული და აწმყო ერწყმის,
ძველს დაადგება ახლის ნათელი,
ასე შეცვლილი წარმართთ საკულტო,
გუდანი, ჯვარით,[4] ქრისტეს მრევლს ელის.

ამ საუბარში მლოცველთა ჯგუფი
ნელა იწევდა მაღლა, მთაზედა,
ათას შვიდას ოც მეტრ სიმაღლეზე,
გუდანში, არწივთ საბუდარზედა.

თუთის ცოტათი სუნთქვა შეეკრა,
თრთვილმაც დაფიფქა წარბ–წამწამზედა,
თანაც, ნანახით აღფრთოვანებულს
არ შორდებოდა ცრემლი თვალზედა.

აღმართულ ჯვართან მუხლის მოდრეკით
ილოცეს ხევსურთ კელაპტარზედა,
წარსულთა სულებს გზა დაულოცეს,
რწმენა გამოთქვეს მომავალზედა.

არაბულების, გოგოჭურების,
ჭინჭარაულთა საფიცარზედა
ჟაკოს ფიც–ვერცხლი[5] გაუმზადეს და
თან დააფიცეს დაძმობაზედა.

– ამიერიდან, – უთხრეს ვაჟებმა, –
ჟაკო, შენა ხარ ჩვენი ძმობილი!
შენი და ჩვენი ბედი ამ დღიდან
ერთმანეთზეა გადაჭდობილი.

ხევსურთ კაბაში გამოკვართულმა
ნუკრის თვალება ლაღმა ქალებმა,
ქურციკებივით[6] ტანმოქნილებმა
და ჯიხვებივით[7] ფეხებმალებმა,

განმარტება

1. **უბელო** – უუნაგირო (უნაგირი – ცხენის ზურგზე მხედრის დასაჯდომი მოწყობილობა) , შეუკაზმავი ცხენი.
2. **გიორგიწმინდა** – სოფელი დუშეთის რაიონში.
3. **კულტი** – (ლათ.) ღვთაებისა და წმინდანებისადმი თაყვანისცემა, მსახურება.
4. **გუდანის ჯვარი** – კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1720მ. წარმართული ღვთაებისადმი მიძღვნილი სამლოცველო ხევსურეთში. ეკუთვნოდა სამ საგვარეულოს, იქ იკრიბებოდნენ საერთო საქმეების გადასაწყვეტად. ახლა ქრისტიანულ სალოცავად ითვლება.
5. **ფიც–ვერცხლი** – მთაში ძმადშეფიცულობის უძველესი წესი: ვაჟები ნაჩხვლეტი თითიდან სასმელში (არაყი, ლუდი) სისხლს ჩააწვეთებდნენ ჯამში, სვამდნენ რიგრიგობით. ეს ნიშნავდა სისხლით დანათესავებას (ბაგშვებმა ეს არ უნდა გაკეთონ, რადგან ჯანმრთელობისთვის საშიშია).
6. **ქურციკი** – ველის ცხოველი, ჯეირანი.
7. **ჯიხვი** – კავკასიის გარეული თხა. ცხოვრობს ციცაბო კლდეებში.

ფშავ–ხევსურეთი

ცეკვა დაიწყეს და გამოიხმეს
ვაჟები, ქვეყნის მცველი ფარიო,
ტოლებმაც წამსვე მხარი აუბეს,
დრო იყო, მართლაც, საოცარიო.

საცაა უკვე მზე ჩავიდოდა,
ნისლებმა იწყეს მთებზე წრიალი...
დაღამებამდე შატილს დაბრუნდნენ,
გადაიარეს გზები, კლდიანი.

იმ ღამეს ტკბილად გამოიძინეს.
წინ კიდევ ბევრი ჰქონდათ საგალი.
გამთენიისას ვერტმფრენში ჩასხდნენ,
ვიდრე უხმობდა დილას მამალი.

* * *

ილუმინატორს არ შორდებოდა
თუთი, სუნთქვასაც კი ვერ ბედავდა.
საუბრისათვის დროს არ კარგავდა,
ისეთ მშვენიერ ხედებს ხედავდა:

ცაზე სრიალით გაფანტულ ღრუბლებს
ბრდღვიალა დისკი სხივებით ჭრიდა,
თეთრქუდიანი მთის მწვერვალები
მზის სიახლოვით ცრემლებსა ღვრიდა;

ბასრ ჭიუხებზე ჯიხვების ჯოგი
კამარას[1] კრავს და ისე ხტებისა,
ჭალას გაისმის ფლოქვების ტკაპი
და შეჯახება მათი რქებისა;

ქვემოთ კი, ღრმა და ბნელ ხევის ფსკერზე,
ტალღათა გრგვინვით მორბის არაგვი,[2]
სიმბოლო სულის მოუსვენრობის,
ქართველის ცხოვრების მოწმე, მარადის...

უფსკრულის პირას არჩვების გროვა
კლდის შვერილებზე მარდად სხლტებისა,
ნაფეხურიდან მოწყვეტილი ქვა
ხევის სიღრმეში ჩაინთქმებისა.

ფრინველთ მეუფე, ლეგა[3] არწივი,
მწვერვალთა თავზე ლაღად დგებისა...
ლალისთვალება ნაზი პირიმზე[4]
ქარის ქროლვაზე შიშით ბნდებისა...[5]

* * *

ცოტაც და, ჩარგლის მინდორს დაეშვნენ.
კარი გააღეს, კიბე დასწიეს.
დღეს ვაჟაობას[6] აღნიშნავდნენ და
ავთომ და ჟაკომ იქით გასწიეს.

ფშაველა უყვარს მთელ საქართველოს!
ამიტომ ბევრი ჩარგალს სტუმრობდა.
ხალხი ერთმანეთს თბილად ხვდებოდა,
ესალმებოდა, ლაღად ხუმრობდა.

მოსულთ გულთბილად ეგებებოდა
ვაჟას პატარა, უბრალო ქოხი.
რა იყო მასში?! –ტახტი, ფარდაგი,
კერია,[7] ლამპა, მაგიდა, თოხი...

განმარტება

1. კამარა – ფრენით ან ხტომით ნახევარი წრის შემოხაზვა ჰაერში.

2. არაგვი – მდ. აღმოსავლეთ საქართველოში. სიგრძე 112კმ. არსებობს ორი: თეთრი (მთიულეთის) და შავი (გუდამაყრის). მცხეთასთან ერთვის მტკვარს.

3. ლეგა – ნაცრისფერი, რუხი.

4. პირიმზე – უფოთლო მცენარე წითელი ყვავილით. გადატანით — ლამაზი ქალი. ქალის სახელიც.

5. ბნდებისა – ცნობიერება, გონება ეკარგება.

6. ვაჟაობა – ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი დღეობა ჩარგალში.

7. კერია – იგივე, რაც კერა. ცეცხლის დასანთები ადგილი. ქოხის შუაში, მიწაზე. დევს ორი თლილი ქვა, რომელთა შორის ანთია ცეცხლი, ზემოდან ჭიდია ქვაბი. გადატანითი მნიშვნელობით, ოჯახი.

ვაჟა-ფშაველა

ვაჟაობა

ჩარგლელთა გვერდით იგი ცხოვრობდა,
როგორც ოჯახის რიგითი წევრი:
ხან ნადირობდა, მკიდა, თიბავდა,
როგორც ჩარგალში მცხოვრები ბევრი.

მათ არ იცოდნენ, რომ ვაჟას „მე“-ში[1]
ქართული გენის ფსიქოლოგიას[2]
ერწყმოდა ცოდნა მითის, ფოლკლორის
და გლობალური[3] ანთოლოგია[4].

ლუკა, იგივე ვაჟა-ფშაველა,
დაბადებულა „ნაწილიანი“.[5]
რუსთველის შემდეგ, ილიას აზრით,
არ გვყავდა მსგავსი სახელიანი.

არასდროს სურდა მგლად ყოფნა, რადგან
ერჩივნა, თავი ვაეღო მსხვერპლად,
იგი სხვებს მუდამ მოუწოდებდა:
„გიყვარდეთ, კაცნო, ერთურთი ქვეყნად!“

ვაჟას სულს გრძნობდა ყველა იქ მყოფი!
არ აშორებდა ის მათ თვალსაო,
„პატრონის“[6] გვერდით იდგა სვიანი,
უფალი წერდა სულმნათს ჯვარსაო!...

ილხენდა ყველა. ლექსს სიტყვა ცვლიდა,
ცეკვას — სიმღერა, ხალისიანი,
ფშაურ ტანსაცმლით თავს იწონებდნენ
გოგო-ბიჭები, სახემზიანნი.

აი, შავჩოხა ფარ-ხმალს იმარჯვებს,
ტოლს შეეჯიბრა ფაფახიანი,
არც ის აღმოჩნდა ჯაბანი[7] ვაჟი
და არც პასუხი ჰქონდა გვიანი.

ერკინებოდნენ კენწლაობაში...[8]
თუმც, არ გაგრძელდა დიდხანს ქადილი:
მაყვალთვალება კოხტა გოგონამ
ჩაუფრიალა ბიჭებს მანდილი.[9]

მეორე ჯგუფმა იწყო მარულა[10]
(წინაპართ ჩვეულებს იცავს თაობა),
ვაჟებს ქალებიც არ კი ჩამორჩნენ,
(ჟაკს თვალი მოსჭრა სანახაობამ).

უბელო ცხენზე ფეხით დგებოდნენ,
გაჭენებულ რაშს გარს ევლებოდნენ,
გადიხრებოდნენ მარდად მიწისკენ
და ხელისგულით ზედ ეხლებოდნენ.

ასპარეზობა როცა დასრულდა,
სუფრა გაშალეს ერთად ველადა:
ყველი გუდისა, მწვადი, ხინკალი,
შოთიპურები — უხვად ელავდა.

მონატრებული იმერ - ამერი
ასე შეჰყარა ვაჟამ ერთადა.
უკვდავ მასპინძლის სადიდებელი
ერთხმად დალიეს ჯამით ხელადა.

განმარტება

1. „მე“ - ადამიანის შინაგანი სამყარო, რომლის დანახვა სხვა პიროვნებისათვის შეუძლებელია.

2. ფსიქოლოგია - (ბერძ.) მოძღვრება სულის შესახებ. მეცნიერება.

3. გლობალური - (ფრანგ.) საერთო, მთლიანი, რაც მსოფლიოს მოიცავს.

4. ანთოლოგია - (ბერძ.) რჩეულ თხზულებათა კრებული.

5. „ნაწილიანი“ - მთიელთა შეხედულებით, სხეულზე რაიმე ღვთიური ნიშნით დაბადებული.

6. „პატრონი“ - ვაჟა ასე მოიხსენიებდა უფალს.

7. ჯაბანი - მშიშარა, ლაჩარი, მხდალი.

8. კენწლაობა - მსუბუქად ხმალაობა, როცა მახვილის წვერით ოდნავ ეხებიან მოწინააღმდეგეს.

9. მანდილი - ქალის თავსახვევი. ძველებურად, ლეჩაქი. მებრძოლებს თუ შუაში ჩაუგდებდა ქალი მანდილს, ვაჟები ბრძოლას წყვეტდნენ.

10. მარულა - ცხენების შეჯიბრება ჭენებაში გრძელ მან-ძილზე.



ვაჟას ქოხში

კენწლაობა

ჟაკომ და ავთომ იქვე გაიცნეს
ექსტრემალური[1] ცურვის მდომელნი,
თან გაყოლაზე თანხმობა უთხრეს —
უარს ეტყოდა, განა, რომელი?!

ჟაკუნას გარდა ყველამ მოირგო
სპეციალური, ცურვის ქურთუკი.
რეზინის ნავში მყარად მოთავსდნენ,
ჩიტმა „გემბანზე“ იწყო ფუნდრუკი.[2]

***

ჯომარდელებმა[3] მზადყოფნა ბრძანეს
და ეკიპაჟმა ცურვა დაიწყო.
ფშავის არაგვი მძლავრად გრგვინავდა,
თუთიკო, ლამის, ჩქერმა წაიღო:

კიდეზე მჯდარი გადაყირავდა
(თავი ეგონა, ალბათ, გუბეში),
კიდევ კარგი, რომ ავთანდილი სწვდა
და ჩაიხუტა უცბად უბეში!

მდინარე მარცხნივ მკვეთრად დაქანდა,
ძლიავს აერიდნენ მოვარდნილ ლანქერს,[4]
ვაჟებმა ნიჩბებს მარდად მოუსვეს,
ყიჟინ-ყიჟინით გაუძვრნენ ჩანჩქერს.

აღტაცებულმა ავთომ შესძახა
ტატოს[5] სტრიქონი, სიტყვამზიანი:
„მორბის არაგვი, არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი“.

დინება გახდა მდორე და წყნარი,
როს მიაღწიეს ჟინვალტბის[6] საცავს,
ძველად აქ იყო ციხესიმაგრე,
მას უწოდებდნენ ერისთავთ დამცავს.

(კიდევ კარგი, რომ წყლის დაგუბებამ
თან ანანურიც[7] არ ჩაიყოლა!
და მომავალში აღარვინ იტყვის:
-იყო ერთ დროს და არა იყო რა!)

—გთხოვ, მაპატიო, ჟაკო, ძნელია
ამდენი რამის აღქმა, გაგება!
მომიტევე, რომ თავბრუ დაგხვია
სინამდვილემ და ძველმა ამბებმა.

—რას ამბობ, ავთო! რასაც კი ვისმენ,
ყველაფერი ის, სად და რაც არის
(თუთიმ ფრთა სწრაფად შუბლზე მიიდო),
დალაგებული აი, აქ არის!

—ვუნდერჩიტი ხარ! — უთხრა ავთომ და
ჟაკოს ნისკარტზე წკიპურტი გაჰკრა,
მერე ორივემ გაშლილი ხელ-ფრთა
მთელი ძალ-ღონით ერთმანეთს დაჰკრა.

***

ნახეს დუშეთის[8] აწმყო, წარსული,
მერე გაფრინდნენ სტეფანწმინდაში
(ახლა მას ყველა ყაზბეგს უწოდებს)
და მყის აღმოჩნდნენ ლამაზ სიზმარში.

განმარტება

1. ექსტრემალური – მიღებული წესებისაგან გადახვეული, უჩვეულო და სახიფათო.

2. ფუნდრუკი – ხტუნვა, კუნტრუში, თამაში.

3. ჯომარდელი – (ძველად „ჯომარდი“ ნიშნავდა გულადს, ყოჩაღს). ჩქარ მდინარეზე გასაბერი ნავით დაშვების სპორტის მიმდევარი.

4. ლანქერი – დამდნარი თოვლისაგან წარმოქმნილი ღვარი.

5. ტატო– საალერსო სახელი XIX ს-ის პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

6. ჟინვალი – ჟინვანი, დაბა დუშეთის რაიონში, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე. გათხრების შედეგების მიხედვით, აქ დასახლება ბრინჯაოს ხანაშიც კი არსებობდა.

7. ანანური – სოფელი დუშეთის რაიონში, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე. XVI–XVII ს. ციხესიმაგრე. იგი ჩრდილოეთიდან მომავალ გზას კეტავდა. შემორჩენილია ხუთსართულიანი კოშკი, პატარა ეკლესია, გუმბათიანი დიდი ტაძარი.

ჯირითი

8. დუშეთი – ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, დუშეთის ქვაბულში. XVIII ს. იქ იყო არაგვის ერისთავის რეზიდენცია, ნუგზარ ერისთავის სასახლე. შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესია, ციხე-დარბაზი.

ჯომარდი

ანანური

***

ქალაქს დარაჯად გადმოდგომია
ყაზიბეგის მთა, ანუ მყინვარი,[1]
ნისლის ფიქრებით შუბლშემობურულს
დასტრიალებენ ორბნი, მყივარნი.

კავკასიონის მთათა მეუფე,
კლდის და ყინულის მყარი ნაერთი,
აღფრთოვანებას იწვევს მნახველში
სიმაღლითა და სიქათქათეთი.

ცისა და მიწის საყარ ტატნობზე[2]
მოჩანს გერგეტის[3] ტაძრის გუმბათი.
ათას რვაასი მეტრის მთის წვერზე
ვინ ააშენა?! ვინ არს სულმნათი?!

თითქოს თეთრ ღრუბლებს აუტაციათ
ანგელოზთ წმინდა ტაძარი, ფრთებით
და, რუდუნებით, ცის კაბადონზე
მიაცურებენ ნელი დინებით.

—ჟაკო, აქ იშვა, აქ აღიზარდა
ყაზბეგთა დიდი შთამომავალი,
ევროპულ ცოდნას ნაზიარები,
მაგრამ ქართული გენით მავალი.

ფეოდალური[4] ოჯახის შვილმა
დათმო სიმდიდრე და მწყემსი გახდა,
მერე სამართლით აღწერა ყველა,
რაც კი იმ წლებში თავზე გადახდა.

— რომანებს წერდა? მერედა, რაზე?
— მთის ამაყ შვილთა ცხოვრების წუთზე,
ვაჟკაცობაზე, კაცურ სიტყვასა
და სიყვარულზე, მეტად სათუთზე.

ყაზბეგის გმირი შექსპირისას[5] ჰგავს
მძაფრი ტრაგიზმით,[6] სულით-ეულით,-[7]
უთხრა ავთომ და არ დაკარგეს დრო,
მოინახულეს ჯერ მუზეუმი.

ექსპონატებით მეტი შეიტყვეს.
ბაღში დასხდნენ და ცოტა მოეშვნენ.
შთაბეჭდილება რომ დაულაგდათ,
მერე თერგისკენ[8] თავქვე დაეშვნენ.

დარიალის ღრმა, ვიწრო ხეობას[9]
თერგი ახლიდა ამღვრეულ ტალღებს,
დევკაცებივით გამდგარი კლდენი
ავუგუნებდნენ ხმამაღლა ბანებს.[10]

განმარტება

1. მყინვარწვერი – მწვერვალი კავკასიონის მთავარი ქედის გვერდით ქედზე, მდ. თერგის მარცხენა მხარეს. თოვლითა და ყინულით დაფარული ჩამქრალი ვულკანი.

2. ტატნობი – ცის კამარა, ცის თაღი, ცის კაბადონი.

3. გერგეტი – ყოფილი სოფელი, იქაა სამების გუმბათოვანი ტაძარი(XIVს.) სამრეკლო(XIVს.), საბჭეო(XVს.) .ამ უკანასკნელში იკრიბებოდნენ უხუცესები, თემის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად.

4. ფეოდალიზმი – საზოგადოებრივი წყობილება, რომლის საფუძველი იყო გაბატონებული კლასის მიერ მიწების მისაკუთრება, გლეხების ჩაგვრა. გაბატონებულ პიროვნებას ერქვა მემამულე, თავადი, ბატონი.

5. შექსპირი – უილიამ (1564-1616) .ინგლისელი დრამატურგი, პოეტი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ ენაზე.

6. ტრაგედია – დრამატული ნაწარმოები, რომელშიც მთავარი პერსონაჟები ხშირად იღუპებიან. გადატანითი მნიშვნელობით, საშინელი ამბავი.

7. ეული – ვისაც არავინ ჰყავს, უპატრონო, მარტოხელა.

8. თერგი – მდ. ჩრდ. კავკასიაში. მიედინება საქართველოს, ჩრდ. ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, დაღესტნის ტერიტორიებზე.

9. დარიალის ხეობა- მდ. თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რაიონში.

10. ბანი – აქ, გამოხმიანება, ექო.

გერგეტის ტაძარი

ალექსანდრე ყაზბეგი

ვიწრო ხეობის ყელის დასასრულს,
სადაც ცას ერთვის კლდეთა სიმაღლე,
დგას საქართველოს საყვარელ მეფის,
დედა — თამარის, ციხესიმაგრე.

* * *

რუსი პუშკინი და ლერმონტოვი
ისე შესტრფოდნენ თერგს და დარიალს,
ამ ენერგიით შეპყრობილები
ლექსებს უძღვნიდნენ, მართლა შარმიანს.[1]

სამწუხაროა, რომ არსებობენ
სხვა ნებისა და გულის რუსებიც...
მათ გაიმეტეს მოყვასი მსხვერპლად...
„ქრისტე გააკრეს ჯვარზე ლურსმნებით.“

ერთმორწმუნე ერს, ვითომ, მეგობარს,
ომის ქარცეცხლი თავს დაგვაქციეს
და სამაჩაბლოს[2] მოსახლეობა
გაალტოლვილეს,[3] გამოაქციეს!

მიწების გარდა მათ მიიტაცეს
უნიტაზები, კოვზი, ტრუსები,
ევროპის ძალას როცა წააწყდნენ,
ისე გაბრუნდნენ, როგორც трус–ები![4]

ჩვენმა მგზავრებმა შემოუფრინეს
ცხინვალს,[5] მშობლიურს, მუდამ ჩვენიანს!...
ჟაკომ ავთანდილს შუბლზე აკოცა:
—პირველად გხედავ თვალზე ცრემლიანს!...

* * *

გულმოკლულები ჩაფრინდნენ ონში,[6]
მშვენიერ რაჭის ლამაზ ქალაქში,
ძველ წელთაღრიცხვის ორასი წლიდან
ოთხივე მხარის კვეთის ალაგში.

როგორც კი მიწას ფეხი დაადგეს,
ბავშვების ჯგუფი შეხვდათ ყიჟინით
(გაეგოთ, თურმე, მათი სტუმრობა),
მღეროდნენ, ხტოდნენ, წრფელი სიცილით.

– ეს ლიკუნაა, ის – დათუნიკა,
მე ვარ მაკუნა, ეგი – თაკუნა,
შენ? შენ ვინა ხარ (არ ჩერდებოდა)?
– მე? თუთიყუში, – უთხრა ჟაკუნამ.

ჟაკოს ჩამოსვლამ, ბავშვებთან ერთად,
დიდებიც მეტად გაახალისა,
ერთმანეთს სიტყვას აღარ აცლიდნენ,
სურდათ მოყოლა ბევრი რამისა.

სადილის შემდეგ გაისეირნეს.
თუთის უნდოდა რიონის ნახვა.
სტუმართმოყვარე რაჭველთა ჯგუფი
ჟაკუნას სურვილს ხალისით აჰყვა.

მბორგავ არაგვის შემდეგ რიონი
აღარ მოჩანდა ისეთი ჩქარი,
მოაგორებდა სქელ ტანს ამაყად,
ტალღებს უწეწდა კოლხეთის ქარი.

განმარტება

1. **შარმიანი** – მომხიბვლელი, მიმზიდველი.

2. **სამაჩაბლო** – ძველი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი სათავადო. წარმოიშვა XV ს. მდ. ლიახვის შუა და ზემო წელზე, ისტორიული აჩაბეთის ხევში. სახელწოდება მომდინარეობს გვარისაგან – მაჩაბელი.

3. **ლტოლვილი** – იძულებით გაქცეული, გადახვეწილი.

4. **трус** – რუსული სიტყვა. ქართულად ნიშნავს „მშიშარას“.

5. **ცხინვალი** – ქალაქი მდ. დიდი ლიახვის ნაპირზე, შიდა ქართლის ვაკისა და კავკასიონის მთისწინეთის ზოლში. სახელწოდება მომდინარეობს მცენარის სახელისაგან „რცხილა“, ძველ ქართულად – „ქრცხილა“. შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესია (VIII–IXს.) , ცხე-გალავანი, ღვთისმშობლის ეკლესია, კვირაცხოვლობისა და ზღუდერის ეკლესიები.

6. **ონი** – დასავლეთ საქართველოში.მდ. რიონის ღრმა ხეობაში. დაუარსებია იბერიის მეფეს (ძვ. წ.-ის IIს.). იქ თავს იყრიდა ჩრდილოეთ კავკასიიდან და ქვემო რაჭიდან მომავალი გზები. აღმოჩენილია ბრინჯაოს ნაკეთობები.

დარიალის ციხე

სამაჩაბლო

– რიონი მოდის მთა ფასისიდან
იმისი პორტი პონტოს ნაპირთან,
ქრისტეს შობამდე წელთაღრიცხვიდან,
გემთა მიმოსვლას ვეღარ ითვლიდა.

– სად არის ახლა ეს ნავსადგური? –
იკითხა ჟაკომ, კვლავ შეეცადა,
საქართველოზე მეტი გაეგო,
მას ხომ ყველაფრის ცოდნა ეწადა.

– იყოო, ფოთს თუ პალიასტომთან.
იმ ადგილს, თუთი, გაჩვენებ სხვა დროს.
ახლა კი რაჭის ხედებით დავტკბეთ, –
დამაჯერებლად აუხსნა ავთომ.

– oh, sorry! – ფრთები ასწია ჩიტმა
და მასწავლებელს თავზე დაახტა,
ქუდი ნისკარტით ძირს გადაუგდო,
მერე დაფრინდა და ისევ დასწვდა.

გოგო–ბიჭებმა ყიჟინა დასცეს,
თუთის ქცევაზე ბევრი იცინეს.
ჟაკუნა ახლა დათოს შეახტა,
მერე – მაკუნას დაწნულ კიკინებს.

თამაშ–თამაშში დაღამდა და მზე
დასავლეთისკენ გადაიხარა,
მეწამულ ფერში გაეხვა არე
და ბოლო სხივიც გადაიპარა.

რაჭის ყოველი სოფლის კუთხეში
„წერეთლის ანდერძს“[1] მღეროდნენ მყარად,
ჟაკომ უსმინა, მაგრამ ვერ მიხვდა,
იმ წერეთელმა რა დაიბარა?!

ულამაზესი დილა გათენდა!
სხივები დასხლტა ზეცას თაღიდან,
დისკი გაბრწყინდა ნათლის გვირგვინით,
მთის მწვერვალებიც წითლად გაღვივდა.

ტურისტთა ერთ ჯგუფს დაუმეგობრდნენ,
კოცონიც ერთად ააბრიალეს.
დრო ცოტა ჰქონდათ და, როგორც შეძლეს,
რაჭის ტყე–ველი გადაიარეს.

მუხის, წაბლის და კაკლის ტევრებში
მთას ზევით აჰყვნენ ვიწრო ბილიკით,
არ ეშინოდათ დათვის თარეშის,
მოჯადოებულთ ფლორის თილისმით.

ზოგან ციცაბო ფერდი ხვდებოდათ,
ჩამორეცხილი მძლავრ ლანქერებით;
თვალს ახარებდა მწვანე ხალიჩა,
ხან – დაკიდული მთის ჩანჩქერები.

მოინახულეს ნიკორწმინდა[2] და
კავკასიონის რაჭის მხრის ქედი,
სახელგანთქმული დაბა ხვანჭკარა,[3]
მთა საწალიკის ბრწყინვალე ხედი.

* * *

განსაკთრებით დაამახსოვრდათ
მაცხოვრებლები მთის სოფელ ღების.
ცეკვა–სიმღერის ამ დიდოსტატებს
ვერ მოუძებნეს სიტყვები, ქების.

ხელი ჩაჰკიდეს გოგო–ბიჭებმა
და წამოიწყეს ერთად „ფერხული“.[4]
ჟაკოსაც ძლიერ მოუნდა ცეკვა,
მაგრამ აღმოჩნდა რთულზე ზერთული.

ამიტომ მათი მხრები არჩია,
რადგან ვერ შეძლო შეწყობა ბიჯის.
გუდასტვირის[5] ხმას ხმა ააყოლა –
იმიტაციის ხომ ჰქონდა ნიჭი!

– ქვე,[6] შემოგევლე, ილეთს ისწავლი! –
ფრთებზე დაკოცნეს ჩვენი ჟაკუნა,
– რაჭული ცეკვა ქვე იოლია:
ქვე აკაკუნა,[7] ქვე ბაკაკუნა!

განმარტება

1. „წერეთლის ანდერძი“ – იგულისხმება რაჭული ხალხური სიმღერა „წერეთელმა დაგვიბარა“. ეს ფრაზა სიმღერაში რამდენჯერმე მეორდება. არ ცხადდება, რა დაიბარა თავადმა.

2. ნიკორწმინდა – სოფელი ამბროლაურის რაიონში. რაჭის ქედის ჩრდ. კალთებზე, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. გუმბათოვანი ტაძარი. აგებულია ბაგრატ III–ის დროს 1010–1014 წლებში. ტაძარი გარედან ჯვრის ფორმისაა. გუმბათი 12 სარკმლიანია. ტაძარი შემკულია მდიდრული ჩუქურთმებით.

3. ხვანჭკარა – სოფელი ამბროლაურის რაიონში. XVII – XVIII საუკუნეებში უკვე მნიშვნელოვანი სოფელი იყო. ღვინო „ხვანჭკარა“ საუკეთესოა ღვინოებს შორის.

4. ფერხული – ქართული ჯგუფური ცეკვა. ხელიხელჩაკიდებული მოცეკვავეები წრეს უვლიან და თან მღერიან. გადატანითი მნიშვნელობა: საერთო საქმეში ჩაბმა.

5. გუდასტვირი – სტვირი (ხალხური ჩასაბერი საკრავი) შეერთებულია გუდასთან (გუდა – ხბოს ან ცხვრის ტყავისაგან შეკრული პარკი). მესტვირე ჩაბერავს, გუდა გაიბერება, როცა იგუმშება, სტვირიდან ისმის მელოდიური ხმა.

6. ქვე – რაჭული, კუთხური გამოთქმა – კი, ჰო, დიახ, კიდევაც, აბა!

7. აკაკუნა – ხმამიბაძვითი ბგერების ჯგუფი, ბაკუნ–კაკუნით სიარულის აღმნიშვნელი.

გუდასტვირი

ეჰ, რა სწრაფია წუთისოფელი,
ვერ შეაჩერებს ვინმეს ფარიო,
ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ წამს –
მოყვასის გვერდით დავყოთ ხანიო.[1]

ჩვენების წასვლის დრო როცა დადგა,
გამოაცილა ყველამ გულდურად.
ჟაკო აღელდა: – არ დამივიწყოთ! –
ცრემლმორეულმა წაიდუდუნა.

ჟაკომ რაც ნახა და მოისმინა,
სულყველაფერი კარგად გაიგო.
მხოლოდ ერთი რამ დარჩა სურვილად:
წერეთლის ნატვრა, ნეტავ, რა იყო?!...

* * *

რაჭიდან ღამით გამოემართნენ
და საჩხერეში გადაინაცვლეს...
ყვირილას მხრიდან მოჰქროდა ქარი,
ყვავილის სურნელს აცლიდა ცაცხვებს...

მეოთხასე წელს ითვლის საჩხერე,
წარსულის კვალი ახლაც ატყვია,
მოდინახეთი[2] და ჯრუჭის[3] ტაძრით,
სხვა ნანგრევებით, გარს რომ არტყია.

საჩხერელები მით გულდიდობენ,
რასაც არა აქვს დრო და ასაკი:
ამ მადლიანმა მხარემ გვაჩუქა.
„მეფე–პოეტი,“ ბრძენი აკაკი.[4]

მგოსნის სახელით დიდად ამაყობს
სხვიტორი – მწერლის შობის ალაგი,
სავანე – მზრდელი ძიძის ოჯახით,
ბავშვობის წლების ტკბილი ბადაგი.

– აკაკის აზრით, ღმერთს რომ დავშორდით,
რაც უკუნია ჩვენი სულისა,
ზეციურ სხვა ნიჭს გამოვეთხოვეთ,
შემოგვრჩა ნიჭი სიყვარულისა.

ამქვეყნად ეს თუ დაგვიხსნის მხოლოდ!...
საკუთარ თავს თუ ვერ ვარგებთ რამეს,
„სხვისი ლხენით ხომ ვიხარებთ“[5] მაინც!
ამით შევიტკბობთ სიცოცხლის წამებს!

– რუსთველი ყველა ქართველში ცოცხლობს!
მიტომ ფიქრობდა აკაკიც ასე! –
დაასკვნა ჟაკომ, მართლა კაციკით
და ღრმად ჩაფიქრდა ცხოვრების არსზე.

განმარტება

1. ხანი – დროის მონაკვეთი.

2. მოდინახე – მოდინახეს ციხე აუშენებია პაპუნა წერეთელს XVIII ს–ში.

3. ჯრუჭი – XI ს–ის მონასტერი. გუმბათოვანი ეკლესია.

4. აკაკი წერეთელი – (1840–1915). ქართველი მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე. დედის მხრიდან სოლომონ მეფის (I) ბადიში (შვილიშვილის შვილი) გახლდათ. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქუთაისსა და თბილისში. აკაკის ლექსები არა მხოლოდ ზეპირად ისწავლა ყველა ქართველმა, სიმღერებადაც აქცია. მისი „სულიკო“ სხვა ქვეყნებშიაც იციან. აკაკი სიტყვით და საქმით ემსახურებოდა სამშობლოს. მას „საქართველოს უგვირგვინო მეფე“, „ტკბილი მგოსანი“ უწოდეს.

5. „სხვისი ლხენით ხომ ვიხარებ“– აკაკის ერთ–ერთი ლექსის ფრაზა.

მოდინახე

აკაკის სახლი სხვიტორში



აკაკი წერეთელი

– ასეა, ჟაკო, ახლაც არ ცდები!
სიყვარული ხომ ფართო მცნებაა[1] –
მამულის, მშობლის, და–ძმის, მეგობრის,
სატრფოსი – სხვისთვის თავდადებაა!

ცხოვრება უქმად არ უნდა განვვლოთ
ლაჩრულ–ქაჯურად,[2] ან დიაცურად[3]
„და ცოცხალმკვდრობას განა არა სჯობს,
ცოტა იცოცხლო, მაგრამ კაცურად?!“[4]

– ავთო, მსოფლიო შემოვიარე,
რომ ჭეშმარიტი სიბრძნე მეხილა!
ამჟამად კიდევ ერთხელ დავრწმუნდი,
გონების თვალი აქ ამეხილა!

– შეხედე, ჟაკო!... რა ხეობაა!
რა ბობოქარად მოჩქეფს ყვირილა,
კრამიტიანი[5] ოდა–სახლები
მწვანეში მოჩანს, როგორც გვირილა.

* * *

აქ, ვიწრო ქვაბულს არის ქალაქი,
სახელად ჰქვია მას ჭიათურა.
რთულ, ძნელ პირობებს იქაურები
დღესაც ებრძვიან, მართლა, კაცურად.

კვლავ ცის ლაჟვარდში აჭრილი მთები,
კლდიდან შვეული თმა – ჩანჩქერების...
ია–იები, დედაფუტკარა,
ღვალო, სამყურა, დიკა, შქერები...

ნამგალა მთვარე – გვერდზე დახრილი...
ზეები – ველიდან ფერდზე აჭრილი...
გორიდან გორზე ზეცად აწვდილი
„იმეს“[6], „ჭირიმეს“, „ბეჩას“[7] ძახილი...

სოფლის შარაზე – ზანტი ნახირი...
სტუმრებისათვის – ქვევრი, ახდილი...
დედა – კერასთან მუხლებჩახრილი...
ეს იმერეთი გახლავს ნამდვილი!...

ჟაკოს ქართული სტუმართმოყვრობა
დიდი ხანია, არ აოცებდა,
მაგრამ იმერთა თავშეტიჟობას
წარმოიდგენდა ვერც კი ოცნებად.

* * *

ავთომ აჩვენა სკანდეში[8] ციხე,
ერთ დროს დამცველი იმერთა კარის,
ათას შვიდასი წლის წინ ნაგები
ქართველთა ფარი, მტრისთვის თავზარი.

– ხომ ხედავ, ახლა ნანგრევებია,
შვიდი ათასი მეტრი ფართობის,
გადარჩენილა ნაწილი ცენტრის
და ეკლესიის – სულის მნათობის...

ძველად კი სკანდის ციხე–სიმაგრე
აკავშირებდა იმერ–ამიერს.
ვაჭართა, მგზავრთა ამ გზით მიმოსვლა
არ ჩერდებოდა არც ერთ წამიერ.

სტრატეგიული[9] ადგილის გამო
მტრები ესხმოდნენ მრავალ ჟამიერ.
სკანდის დამცველნი კი მყარად იდგნენ,
თავდამსხმელთათვის ქმნიდნენ ბარიერს.

ჟაკო ჟაკუნა, როგორც ყოველთვის,
აღფრთოვანებას ვეღარ მალავდა;
რაღაცას გაბმით სულ ქაქანებდა...
უცბად, მდუმარე ავთო დალანდა.

განმარტება

1. მცნება – რელიგიური გამონათქვამი (ათი მცნება). რაიმე სახელმძღვანელო დებულება.

2. ქაჯი – (სპარ). ავი სული, ეშმაკი. თავზე ხელაღებული, დამთხვეული.

3. დიაცი – დედაკაცი, ქალი. გადატანით: მხდალი, ლა–ჩარი, ჯაბანი.

4. „და ცოცხალ–მკვდრობას განა არა სჯობს“... – აკაკის ლექსის ფრაზა.

5. კრამიტი – სილანარევი თიხის გამომწვარი ფირფიტა, გამოიყენება შენობის გადასახურავად.

6. იმე – იმერული, კუთხური შორისდებული, გამოხატავს გაკვირვებას.

7. ბეჩა – იმერული, კუთხური, გამოხატავს სიბრალულს, თანაგრძნობას, გაკვირვებას, აღტაცებას.

8. სკანდე – სოფელი თერჯოლის რაიონში, მდ. ჩხარის მარცხენა მხარეს,

9. სტრატეგია – (ბერძნ.) ომის მომზადებისა და ჩატ–არების ხელოვნება; თამაშის სისტემა.

სკანდის ციხე

– ჩემო ჟაკუნა, ჰო, არ გისმენდი...
დიდი ხანია, ერთ რამეს ვნატრობ:
ჩვენი კულტურის ყოველი ძეგლი
აღდგენილი და მოქმედი ვნახო!

ჟაკო ავთანდილს მხარზე შეახტა,
ნისკარტი ლოყას მიუცაცუნა:
– ვიცი, ასეთი დროც მალე მოვა!
მე ამის მჯერა, მჯერა, კაცურად!

* * *

გზა გააგრძელეს. ქალაქ ტყიბულში
შემოიარეს საბადოები,
მერე ცხენისწლის მარჯვენა ნაპირს,
ცაგერს ეწვივნენ, მხოლოდ დროებით.

* * *

ცხენისწყალს აჰყვნენ ლენტეხისაკენ.
ყინულოვანი იყო წყლის ჩქერი,
მაინც ყვაოდნენ იელი, შქერი,[1]
თვალი ტკბებოდა იმათი ცქერით.

ქვემოთ – ფოთლნარი, ზემოთ – ფიჭვნარი,
იმის იქით კი — ალპური მდელო
და უფრო მაღლა, ლაჟვარდ სივრცეში,
ზეატყორცნილი მწვერვალთა წვერო.

მარცხნივ – ორთავა, მეფური უშბა,[2]
მარჯვნივ – ენგურის სათავის მშობი,
კავკასიონის ქედის მშვენება,
თეთნულდი[3] – თეთრი ალმასის ფოჩით.

ზეცის ტატნობზე ქულა ღრუბლები
დინჯად ცურავდნენ, ხან კი გარბოდნენ.
მთათა მწვერვალებს გაჯიბრებულნი
ორბნი, არწივნი დანავარდობდნენ.

ცხელი ქვეყნების შვილი ჟაკუნა,
ფშავ–ხევსურეთის, რაჭის მცნობელი,
სვანეთის[4] მერე ვეღარ ირჩევდა,
უპირატესი იყო რომელი!

* * *

მთათა სილუეტს იმეორებდნენ
ციხესიმაგრედ ქმნილი კოშკები.
ცის ლაჟვარდ ფონზე ისე მოჩანდნენ,
ცაზე ეკიდნენ, თითქოს, თოკებით.

– კოშკებმა იხსნეს სვანთა სიცოცხლე
და უამრავი განძი, ქართული.
დღეს გვაამაყებს მათი სიმრავლე
(ის კანონითაც არის დაცული).

განმარტება

1. **იელი, შქერი** – ყვავილოვანი მცენარეები.

2. **უშბა** – სვანეთის კავკასიონის სამხრეთის უმაღლესი მწვერვალია. ზღვის დონიდან 4700 მეტრზე.

3. **თეთნულდი** – მწვერვალი,

4. **სვანეთი** – საქ. ერთ–ერთი მხარე. მოიცავს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებს და მდინარეების – ენგურის, ცხენისწყლის ზემოწელს (ისტორიულად მასში შედიოდა, აგრეთვე, მდ. კოდორის ზემოწელის ხეობები ე.წ. აფხაზეთის სვანეთი, სამეგრელოს ჩრდ. ნაწილი, ლეჩხუმისა და ზემო რაჭის მისაზღვრე რეგიონი). ადრე სვანეთი კოლხეთის სამეფოს ნაწილი იყო, შემდეგ – ეგრისის. ახლა საქართველოს ორ რაიონს – მესტიასა და ლენტეხს მოიცავს.

სვანეთი, კოშკები

უშბა

თეთნულდი

– ის, რა თქმა უნდა, რელიქვიაა!—[1]
დაასკვნა თუთიმ ბრძნული იერით.
ამასობაში კოშკთან მდგარ სახლთან
შემოეგებათ ქალი, ხნიერი.

მას თან გამოჰყვა მთელი ოჯახი,
სტუმრები გულით შეიპატიჟეს.
შენობის პირველ სართულზე „შეხვდათ“
დედა–თამარის წმინდა ხატის მზე.

ჟაკს ვარაუდი არ გაუმართლდა:
სახლ–კოშკში ავეჯს სულ არ ელოდა –
ინტერიერში ძველ ნივთთა გვერდით
თანამედროვე დგამიც შვენოდა.

მთელმა ადიშმა[2] შეიტყო უცბად,
რომ ონიანებს თუთი სტუმრობდა! –
ეგზოტიკური ჩიტი სვანეთში
(ამბის მომტანი ხომ არ ხუმრობდა?!)?!

სანამ ხელებით არ შეეხნენ და
ავთოსაც სანამ არ ამბობინეს,
ღრმად მოხუცნი და ცელქი ბავშვებიც
ვერაფრით ვეღარ დააშოშმინეს.

როცა შეიტყვეს, ჟაკის სტუმრობა
რომ ეძღვნებოდა „ვეფხისტყაოსანს“,
რომ „სამართლის წიგნს“ ყველგან ეძებდა,
მადლობა უძღვნეს ყველა სალოცავს.

ბავშვები ხელად სახლში გაიქცნენ,
მოარბენინეს წიგნი, სათუთი,
სხვადასხვა წლების, სხვადასხვა ზომის,
ზოგს ორი ეპყრა და ზოგს კი – ხუთი.

გაოცებული თუთი დარწმუნდა,
როგორ უვლიან „ვეფხისტყაოსანს“,
როგორ აფასებს და როგორ უყვარს
ყველა კუთხეში ყველა თაობას!

ჟაკუნა მთელმა სვანეთმა იძმო,
ბავშვები წუთით არ შორდებოდნენ,
კოშკის კიბეზე ზევით ძვრებოდნენ
და სიმაღლიდან ერთად ხტებოდნენ.

ეთნოგრაფიის და ისტორიის
მუზეუმს ჟაკი როცა აწვიეს,
არქაულ ნივთთა და ხელნაწერთა
ნახვის სურვილი რომ შეამჩნიეს,

გააცნეს ნუსხას – „ადიშის ოთხთავს.“[3],
უძველესია, ხელნაწერთ შორის
გამორჩეული ზუსტი თარგმანით,
მსოფლიო დონის შედევრთა სწორი.

მაცხოვრისა და წმინდა გიორგის
ეკლესიები შემოიარეს,
აღიგსნენ რწმენით – მოწყალე ღმერთი
რომ მოუშუშებს ყველას იარებს!..

განმარტება

1. რელიქვია – საგანი, ნივთი, რომელსაც ინახავენ, როგორც ძვირფას სახსოვარს.

2. ადიში – სოფელი ზღვის დონიდან 2040 მ–ის სიმაღლეზე.

3. **„ადიშის ოთხთავი“** – ძველი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი. გადაწერილია შატბერდის ლავრაში, შესრულებულია მრგლოვანით. ოთხთავი იგივეა, რაც ახალი აღთქმის ოთხი სახარება (ავტორები: მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე).

ადიში

„ადიშის ოთხთავი“

* * *

თუთი ასტუმრეს უმაღლეს უშგულს,[1]
ზეცა აფრქვევდა სხივებს, მთვარისას,
ოცდაჩვიდმეტ დიდ სვანურ კოშკსა და
ციხესიმაგრეს, მზე თამარისას.

ვერცხლის სირმებში[2] ჩამოეძინა
სახლს, ერისთავთა[3] დიდსახელდებულს,
საგვარეულო სკიპტრას,[4] მახვშის[5] სკამს,
მთელ უშგულს, ნაკრძალს და მირონცხებულს.

ზღაპრული იყო ღამე სვანეთში
და სასწაული – დღის გათენება!
ღვთიური მადლით გაბრწყინებული,
რაღაც მაღალი, უცხო მშვენება!

ხევსურეთივით სვანეთშიც მოხდა
ქრისტიანობით წარმართთა ძლევა,
ჭეშმარიტებას, შეცნობის შემდეგ,
აქაც ახალი ძალა ეძლევა:

წარსული დროის ღმერთ ლამარიას
სრულად შეერწყა დედა მარიამ;
ძველ, ტრადიციულ მურყვამდღეობას[6]
და „თოვლის კოშკსაც“ ადგას ჯვარია.

ამ მრავლისმტევი მშვენების გამო
ტურისტს იზიდავს ჩვენი მესტია[7]
(სახელად ძველად ერქვა სეტია).
იგი კურორტზე უფრო მეტია.

დაარსებული უხსოვარ დროში,
ხუროთმოძღვრების დიდი ძეგლია.
ვერ დაივიწყებს ვერასდროს ვერა,
ვინც კი ერთხელაც იმას ეწვია.

შთაბეჭდილებით ჟაკოც აივსო,
ისე დაიბნა, როგორც ფეტვია...
იმ ღამით კარგად გამოიძინა,
დილით წამოხტა, როგორც მზეწვია.

გუშინ გაცნობილ ბავშვებთან ერთად
სათხილამურო კორტებს მიმართა.
ქურთუკიანი თუთის დანახვით
მხიარულებამ უფრო იმატა.

ზოგიერთი რომ ქუდს უსწორებდა,
მეორე ყელზე ღილებს უკრავდა,
ერთი პატარა ბუთქუნა ბიჭი
აღტაცებული თოვლში ბუქნავდა.

განმარტება

1. უშგული – ზღვის დონიდან 2200 მ სიმაღლეზე. უშგულში შემორჩენილია უდიდესი ციხესიმაგრე (XII–XIII ს.) უშგული ნაკრძალადაა გამოცხადებული.

2. სირმა – ოქროს ან ვერცხლის ძაფი.

3. ერისთავი – („ერი“–ხალხი, ჯარი პლუს „თავი“–ანუ უფროსი). პირველად ჯარის უფროსს აღნიშნავდა. შემდეგ საერთო გამგებლობაც შეერწყა. შემდეგში, სიტყვა გვარად იქცა.

4. სკიპტრა – (ბერძნ.) ა) სამეფო კვერთხი – ძალაუფლების ერთ–ერთი ნიშანი. ბ) საგვარეულო ჯოხი, რომელიც ხელთ ეპყრა დიდი თანამდებობის პირს.

5. მახვში – გვარის უფროსი სვანეთში

6. მურყვამობა – ღვთაება კვირიასადმი მიძღვნილი ადრესაგაზაფხულო დღესასწაული დიდმარხვის პირველ დღეს. აგებდნენ თოვლის კოშკს, ყველა ეწეოდა თავის მხარეს. ვისკენაც წაიქცეოდა, სჯეროდათ, იმათ მხარეს საჭირო ნალექი მოვიდოდა და მთელი წელი უხვი მოსავალი ექნებოდათ. ვინც ამ კოშკს საფუძველს გაუდგამდა, ან თავზე ჯვარს დაადგამდა, ვაჟი შეეძინებოდა. თუ თოვლი არ იყო, ნაძვს დგამდნენ.

7. მესტია – ზღვის დონიდან 1500 მ სიმაღლეზე. კარგადაა შემონახული შუა საუკუნეების საერო, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობანი: მაცხოვრის ქვის ორსართულიანი ეკლესია კედლები მოხატულია ფრესკებით – ლამარიასი (ღვთისმშობლის) (IX–X ს)., მთავარანგელოზისა და სხვ.

უშგული

მახვშის სკამი

სვანური სახლის ძველი ინტერიერი

დიდხანს ეძებეს თხილამურები,
ჟაკუნას სარგო არსად აღმოჩნდა.
დაღონდა თუთი, ვერ აისრულა
დიდი ხნის ნატვრა, თუმც, არ ჩამორჩა:

ერთ ყმაწვილს მხარზე შემოასკუპდა
და საბავირო კალათში ჩასხდნენ.
სასურველ ბაქანს რომ მიაღწიეს,
სიცილ-ხარხარით მოქნილად დახტნენ.

ჟაკოს უეცრად ფეხი დაუცდა
(წაღის ტარების ჩვევა არ ჰქონდა),
ხელის წავლება ვერ მოასწრეს და
ბზრიალ-სრიალით თავქვე დაგორდა.

– არიქა! ჟაკოს მივეშველოთო! –
ყვიროდნენ ჩიტის დობილ-ძმობილნი–
იპოვეს, ერთად ამოათრიეს
გაყინულ თოვლში ცხვირჩარჭობილი.

საბრალო თუთი გონს ძლივს მოვიდა,
როს დაუზილეს ფეხი, გვერდები:
– არ უთხრათ ავთოს, რაც შემემთხვაო, –
კისერს უწევდა ყველას ვედრებით.

– სად მე და თოვლი! – ბუზღუნებდა ის, –
რად არ ვუსმინე ავთოს აქამდე!
აღარ ვიქნები ასე ჯიუტი,
თუ მივაღწიე ახლა სახლამდე!

ბავშვებმა ჟაკო დააშოშმინეს,
გულში ჩაიკრეს და ჩაათბუნეს.
თავად სრიალით გული იჯერეს
და უვნებელი შინ დააბრუნეს.

ეთხოვებოდა მზე მთის მწვერვალებს,
ყინულის თეთრი ფილებით თლილებს...
სვანებმა დაისს უსწორეს თვალი,
ახალი დღისთვის შესძახეს „ლილე“![1]

მერე ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს,
ფერხულში ჩამდგარ ქედებს ემსგავსნენ,
თავისუფლების სახეს, ამირანს,
მომავლის რწმენის ჰიმნი შესძახეს:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთაგმირი!...
სიხარულად შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი!“[2]

— ეს ამირანი ვინღაა, ავთო?
— ძველი ეპოსის[3] დევგმირად ქმნილი.
ქრისტეშობამდე სამი ათას წელს
ქალღმერთ დალის[4] და უცნობის შვილი.

ოქროს კბილით და საცრის თვალებით
და ოცდაოთხი კამეჩის ღონით,
მგლის მტკიცე მუხლით, ზვავის სისწრაფით,
გველეშაპებთან, დევებთან მბრძოლი.

ესარჩლებოდა ადამიანებს—
დაბეჩავებულთ, დაჩაგრულთ ტანჯვით,
წარმართთა ღმერთმა მიტომ დასაჯა—
კავკასიის ქედს მიაბა ჯაჭვით.

ბერძნებმაც შექმნეს მსგავსი ლეგენდა
(თუ ჩვენი მითი ცხადად წაგვართვეს?!),
აღიარებდნენ მის ქართულ წყაროს,
მაგრამ სახელი გმირს სხვა დაარქვეს.

განმარტება

1. „ლილე“ – სვანური სიმღერა, მზის სამადლობელ-სა-დიდებელი.

2. სტროფის ავტორი აკაკი წერეთელია.

3. ეპოსი – (ბერძნ.) 1) ლიტერატურის თხრობითი ჟანრი: რომანი, მოთხრობა, პოემა და სხვა. 2) ხალხური საგმირო სიმ-ღერები, თქმულებები.

4. ქალღმერთი დალი – სვანეთში, ნადირობის ქალ-ღმერთი, ქრისტიანობამდე.

საბავირო

მითოლოგიის მათს რჩეულ რაინდს
პრომეთე ერქვა, იყო ტიტანი.
კავკასიონზე მიტომ მიაკრეს,
ხალხისთვის გახლდათ ცეცხლის მიმტანი.

—კავკასიონზე? ნეტავი, რატომ?!
საბერძნეთში, რა, მთები არ იყო?!
—ჭკვიანად მსჯელობ, ამიტომ არის,
გმირის შესახებ აზრი გაიყო...

დაუვიწყარი ჯადოსნური დღე
ჟაკოს დილამდე ესიზმრებოდა:
ამირანივით ხოცავდა დევებს
და გველეშაპებს ერკინებოდა...

***

მზე ამობრწყინდა თუ არა მთებში,
სამეგრელოსკენ იბრუნეს პირი.
ოდიშის[1] ველზე, ენგურაუზში,
მშვენიერ ზუგდიდს გაუდგამს ძირი.

ოთხასზე მეტ წელს მოითვლის იგი,
საამაყო და დიდი წარსულით.
(მარტო ის რად ღირს, ღვთისმშობლის კვართი[2]
და სარტყელი რომ მანდ არს დაცული,)

იგი მოიცავს რიონს, ცხენისწყალს,
ენგურისა და შავი ზღვის შორისს.
ხმალჩაუხრელი იცავდა მამულს
და უხდებოდა ტარება თორის.[3]

—შეხედე, თუთი, ენგურის მიდმა
(სვანეთიდან რომ აცურებს მორებს),
წალკოტისებრი აფხაზეთი ჩანს —
ჩახუტებული ვაკეს და გორებს...

ჩაის, თამბაქოს და ციტრუსების
სურნელოვანი პლანტაციებით,
ხილის ბაღებით, ტბებით, პლაჟებით,
ვარდებითა და ია-იებით...

უხეშმა ძალამ წაგვგლიჯა ისიც!..
დღეს ათასობით ლტოლვილს სწყურია
სოხუმი, გაგრა, სოჭი, ბიჭვინთა
და ჩაძირული დიოსკურია...[4]

თუთი ავთანდილს უსმენდა და თან
დურბინდით თვალი რასაც სწვდებოდა,
აკვირდებოდა... დუმდა... ხვნეშოდა...
აშკარა იყო, გული სწყდებოდა...

განმარტება

1. **ოდიში** – ისტორიული მხარე. სამეგრელოში (სახელი ოდიში წარმართული ღვთაება ოდის სახელისაგან მოდის).
2. **კვართი** – (ძვ.) პერანგი.
3. **თორი** – მეომრის რკინის ტანსაცმელი (თორნი).
4. **დიოსკურია** – ანტიკური ქალაქი კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე (ახლანდელი ქ. სოხუმის ადგილზე). ძვ. წ. VI ს-ში. დიოსკურია მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობდა მარილით, პირუტყვით, ცვილით, პურით, მონებით. ახ. წელთაღრიცხვის I საუკუნეში რომის ხელისუფლებას ემორჩილებოდა. აშენდა ციხესიმაგრე, რომელშიც რომაელთა მუდმივი გარნიზონი იდგა. ზღვის შემოჭრის შედეგად ჩაიძირა. დიოსკურიის ნანგრევები სოხუმის ყურის ფსკერზე აღმოჩნდა.

ა ფ ხ ა ზ ე თ ი



და ამ დროს, ლაღი სიცილ-კისკისით,
თითქოს ჩამოჰკრეს ვერცხლის ზარებმა,
ბავშვების გუნდი შემოეხვიათ,
დარდი გაუქრეს მყის პატარებმა.

ავთოს ნებართვა გამოთხოვეს და
მთელი ზუგდიდი შემოატარეს.
ჩიტიც ხალისით აჰყვა თამაშში,
სხვა რა უნდოდათ მეტი პატარებს?!

ჟაკს ყველა უცბად დაუმეგობრდა:
ცირა, მაია, დუტუ და ჯონი,
ჟუჟუნა, ანა, თამაზი, ბონდო —
ყველა ასაკის, სისქის და წონის.

მხოლოდ თამაშით კი არ გაართეს,
ღირსსახსოვარიც ბევრი ანახეს,
აღტაცებული ვეღარ ტოვებდა
დადიანების ლამაზ სასახლეს.

მერე ბონდოსთან შინ დაპატიჟეს
(სტუმარი ყველგან არის ღვთისაო).
მთელი ოჯახი შემოეგებათ —
თითქოს შევიდა შუქი მზისაო.

ქართველთა სუფრას ჟაკო იცნობდა,
მაგრამ ელარჯი, სულგუნი, ღომი
ხარბად მიირთვა, ძლიერ დამძიმდა,
თავი არ ჰქონდა ადგილზე ჯდომის...

ჰოდა, სკამიდან ძირს ჩამოვარდა!
ანა მივარდა და იწყო მოთქმა:
—ვავა, ჩქიმ ნანა, ვავა, ჩქიმ ცოდვა!
ვუშველოთ ჩქარა, რაიმე რომ თქვას!

—ნუ გეშინიათ!— წამოდგა ავთო,
თუთის წკიპურტი ცხვირში წამოჰკრა,
ჟაკუნამ ერთი დააცემინა
და მაშინათვე ფეხზე წამოხტა.

—ვაშა!— შეძახეს, ერთად მიცვივდნენ,
თუთიმ ალერსი გულით იფერა
და მონდომებით ააყოლა ხმა
ნაზ, მელოდიურ მეგრულ სიმღერას.

***

ზუგდიდის შემდეგ მარტვილის[1] გავლით,
(ადრე ჭყონდიდი ერქვა სახელად)
იმერეთის გზას დაადგნენ ისევ
და ღვთისმშობელი გაჰყვათ მფარველად.

***

ვერტმფრენი ცაში აიჭრა ხელად
და წყალტუბოში[2] დასვა ჩვენები.
გზაში გაეცნენ მგზავრ მანდილოსნებს,
რომ აწუხებდათ ფეხზე ვენები.

მეტად ლამაზი გახლდათ კურორტი —
ფიჭვებით, პალმით, კვიპაროსებით,
გედებით სავსე შადრევნიან ტბით
და სამკურნალო წყლების ღირსებით.

—სიტყვა „წყალტუბო“ რას ნიშნავს, ავთო?!
—რომ ბუნებრივი წყალია, ტფილი,
თან უებარი მკურნალი ნერვის,
სახსრების, კუნთის და ზურგის ტვინის.

ხომ კარგად იცით ჟაკოს თვისება —
მუდამ ყველაფრით ინტერესდება.
ჰოდა, მიიდო ორივ ფრთა წელზე:
— ჭვალი დამადგა, მთლად მიშეშდება!

განმარტება

1. მარტვილი – 1. სოფელი. 2. (ძვ.) ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული, ტანჯული, მოწამე.

მარტვილის ტაძარი



წყალტუბო

2. წყალტუბო – ქალაქი დას. საქართველოში. მდებარეობს მდ. წყალტუბოს ნაპირებზე. კურორტი ბუნებრივ სამკურნალო წყლებზე.

ქუთაისი



ქუთაისი

მიშველე, ავთო, რაღაც ცუდად ვარ! —
წამოიძახა ჩიტუნამ სხარტად
და ფირუზისფრად მოპირკეთებულ
წყლიან აუზში ფეხებით ჩახტა.

სულ დააგიწყდა, რომ წყლის ფრინველი
არ იყო, ჰოდა, შიგ ჩაყირავდა!
კიდევ კარგი, რომ ავთო იქ იდგა,
არ დაიბნა და წამსვე მიეგარდა:

– დაუფიქრებლად რატომ იქცევი?!
რაც მოგივიდა, შენზე ახია! –
გაწუწულ ტანზე ხელი დაუსვა
და პირსახოცი შემოახვია.

– გთხოვ, კიდევ ერთხელ, რომ მაპატიო,
მოუთმენლობით რაც დამემართა! –
ჟაკო სირცხვილით სულ გადაწითლდა,
ეტყობოდა, რომ ნანობდა, მართლა.

ავთომ ულვაშში ჩაიცინა და
ხელის მტევანი ფრთას შეაგება,
მერე სუფრასთან დასვა მზრუნველად,
ნაირნაირი ხილი აგემა.

– ახლა ვეწვევით ძველ ქუთაიას,
ამ ძვირფას კურორტს რომ უმშვენებს მხარს.
ჟაკ, წყალტუბოდან ქუთაისისკენ
ყოველდღე მიაქვს მოსაკითხი ქარს.

– ვერ მივხვდი, ავთო, რისი თქმა გინდა?
– შინაარსია ლექსის სიტყვების.
მისი ავტორი, გალაკტიონი,
ქუთათურების გახლავს ფილტვები!

და არა მხოლოდ ქუთათურების!
გალაკტიონი, თითქოს ღმერთია!...
საქართველოა მისი აკვანი,
ყველა ქართველის სულს ის შერწყმია.

ხალხის გული რომ მოინადირო,
სულაც არაა ასე იოლი!
„როგორც ერთია ქვეყნად რიონი,
ისე ერთია გალაკტიონი!“ –

საქართველოში ასე სწამს ყველას!
ხუთივ წმინდაა, როგორც სიონი:
დიდი შოთა და ბრძენი ილია,
აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი!

– მსოფლიო ფრენით შემომივლია
და ანალოგი[1] არსად მინახავს:
ყველა ეპოქის მწერალთა სახელს
ქართველი ხალხი როგორ ინახავს!

– აი, ჟაკუნა, ქუთაისი ჩანს!
ვრცელი რიონის ორივე მხარეს.
მთასა და ველზე განფენილია,
ღირსებას მატებს კოლხეთის არეს.

სუბტროპიკული[2] და ტროპიკული[3]
ხითა და ბუჩქით მოფარდაგული
სკვერი, ბულვარი, ქუჩა, ბაღები –
ვარდებითაა შემოფარგლული.

მის ღირსებებს და მშვენიერებას
ადიდებს ლექსი, მითი, არაკი.
ვარდ–სამაისო ქალაქად ხმობენ –
ასე შეამკო გულით აკაკიმ.

– მოსახლეობა როდის ცხოვრობდა?
– პალეოლითის[4] ქვედა ხანაში.
გათხრებმა ნათლად დაადასტურეს,
ეჭვი არ შეაქვს არვის ამაში.

და რა მდიდარი ისტორია აქვს
ძველ ქუთაიას, კარგად მიხვდები,
ყურს თუ დაუგდებ, რას გვიამბობენ,
სამაროვნებში მყოფი ნივთები.

განმარტება

1. **ანალოგი** – (ბერძ.) მსგავსი, შესაბამისი, შესატყვისი.

2. **სუბტროპიკული** – (ლათ.) დედამიწის ზონა, რომელიც ახლავს ჩრდილოეთ და სამხრეთ ტროპიკებს.

3. **ტროპიკული** – (ბერძ.) დედამიწის ცხელი ზონა, ეკვატორისა (ეკვატორი – წარმოსახვითი ხაზი, რომელიც დედამიწას ჰყოფს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებად).

4. **პალეოლითი** – ქვის ხანის უძველესი პერიოდი.

გალაკტიონ ტაბიძე

გალაკტიონ ტაბიძის სახლი ჭყვიშში

– ძველ მსოფლიოში ვინმემ იცოდა,
რომ არსებობდა ქუთაიელი?
– ამ ქალაქს ხშირად იხსენიებდნენ...
თუნდაც, პროკოპი კესარიელი.[1]

– როგორც სხვა მხარეს საქართველოში,
ქუთაისს ჰყავდა მტერი, ძლიერი?
– თურქი, არაბი, სპარსი, მონღოლი,
ათასი ჯურის[2] გადამთიელი.

– სასწაულია! როგორ ვადარჩით?!
არ დაიღუპეთ ძალმომრეობით!
– ღვთის მფარველობით და იმითი, რომ
გამოვირჩევით სხვა გამძლეობით.

–და, რა ღირსება ჰქონდა ქუთაისს?
– ის იყო კოლხთა მეფის ალაგი.
ხოლო ბაგრატის[3] მეფობის დროში –
ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი.

ძველ ქუთაისში მოღვაწეობდნენ
მწიგნობრები და მთქმელ–პოეტები.
მეფეები და ბატონიშვილნი,
გამორჩეულად ენამეტყველნი.

უქიმერიონს,[4] ბაგრატის ტაძარს
„აამბობინა“ ავთომ წარსული;
ცხადად იხილეს, როგორ განახლდა
დაუვიწყარი დრო, გარდასული.

ხუროთმოძღვრების ეს ბრწყინვალება
თურქ–ოსმალებმა უღვთოდ გადაწვეს.
მისი დიდება კვლავ აღვადგინეთ,
მსოფლიოს ძეგლთა რიგში რომ ჩადგეს.

ქვევით დაეშვნენ, ბაღის კიბესთან
ყმაწვილთა ჯგუფი წინ შეეფეთა:
– შეხედე, სიმონ,[5] რაია აი?![6]
აქანე[7] ამ ჩიტს პირველად ვხედავ!

განმარტება

1. **პროკოპი კესარიელი** – ბიზანტიელი ისტორიკოსი.
2. **ჯურის** – ეროვნების, რელიგიის.
3. **ბაგრატ მეფე** – იგულისხმება ბაგრატ III (975–1014) ქუთაისში, უქიმერიონის გორაზე, ტაძრის ამგები, 1003 წელს.
4. **უქიმერიონი** – ისტ. ციხესიმაგრე, ეგრისის სამეფოს თავდაცვის საშუალება. უქიმერიონისა და ქუთაისის ციხეების მფლობელი აკონტროლებდა ლეჩხუმს, სვანეთსა და ეგრისის აღმ. ნაწილს.
5. **სიმონ** – დიალექტური ფორმა, ქუთაისური მიმართვა.
6. **რაია აი?** – დიალექტური: რა არის ეს?
7. **აქანე** – დიალექტური – აქ.

უქიმერიონი

ბაგრატის ტაძარი

გეგუთის სასახლე

– დედა! მართლა და, რა ლამაზია!
ჩემო ბატონო, ხომ ვერ გვათხოვებთ?!
– თავად მას ჰკითხეთ, თუ უნდა თქვენთან,
ვაწბილებულებს მე არ დაგტოვებთ.

– მე მკითხეთ (თუთი ვითომ გაბრაზდა)! –
მოლაპარაკე ჩიტი ვინახავთ?!
მოდი, გავიცნოთ ერთიმეორე.
მე ჟაკი მქვია, თქვენ კი ვინა ხართ?

ბიჭები ამან მთლად ვადარია:
ფრთებზე ალერსით დაუსვეს ხელი.
ამასობაში სხვებიც მოგროვდნენ
და რიგი დადგა. საკმაოდ გრძელი.

ჟაკო მოხიბლეს ქუთათურებმა
და ლაპარაკის მათებრმა სტილმა.
მასპინძლები ხომ ძლიერ ხარობდნენ,
გაუცისკროვნათ სახე ღიმილმა.

ქუთაისლებმა როცა გაიგეს,
ჟაკოს ამ კუთხის ვაცნობა სურდა,
მეეზურად, მთხრობლად თან გაყოლება
და დახმარება ყველას მოუნდა.

სათაფლიისკენ აიღეს გეზი.
მალე გამოჩნდა ვრცელი ნაკრძალი...
იფანი, მუხა, რცხილა, წიფელა,
ბარდ–ეკალღიჭი, ძნელად სავალი,

წაბლი და თელა, წყავი და შქერი,
ცაცხვი და ვერხვი, ხმელ ტოტზე – სურო,
უფრო მაღლობზე – ბზა და ფიჭვნარი,
ტყეა ისეთი, ყოფნა ისურვო!

– ვა!.. სათაფლია რატომ დაარქვეს?!
გამაგებინეთ, ერთი, მითხარით.
– იმიტომ, ჟაკო, რომ ეს მიდამო
ველური თაფლით[1] გახლავს მდიდარი.

– თაფლი არ მიყვარს, რა საჭიროა?
– სიცოცხლის უნარს ის გვიხანგრძლივებს,
ადამიანის სულს ამხნევებს და
ტვინის ფუნქციას მეტად ამდიდრებს.

„ანაბასისში“[2] მოთხრობილია,
საქართველოში მეფუტკრეობა
ვით მსახურობდა ადამიანის
დღეგრძელობას და კეთილდღეობას.

მსოფლიოშია სახელგანთქმული
ჩვენი, ქართული რუხი ფუტკარი.
სხვა ქვეყნებიდან ხშირად ჩამოდის
მის შესაძენად ბევრი სტუმარი, –

თქვა ავთანდილმა და გააგრძელა:
– დასტურად იმის, რომ არ ჰყავს ცალი,
ერფურტს,[3] ბუქარესტს,[4] კიდევ მოსკოვში
მიღებული აქვს ოქროს მედალი.

კირქვებზე, ასე, ყოველ ათ მეტრში,
ჩანს დინოზავრთა ნაკვალევები,
ცხრაასი მეტრის სიგრძის მღვიმეში[5] –
წყლის ნაკადები, ნაღვარეები.

დინოზავრების ტერფის ნაბეჭდი
მოჩანდა, როგორც დროის გამყოფი.
გაოცებული ჩიტი დაფრინდა
და ჩაეტია ფრჩხილის ნამყოფში.

კარსტულ მღვიმეში კიბეს დაუყვნენ
(რა შეუშლიდა თუთის ჩასვლაში?!),
ფერადი სხივი ისეთ ფონს ქმნიდა,
გეგონებოდათ თავი ზღაპარში.

სიჩუმეს კვეთდა სტალაქტიტიდან[6]
ჩამონადენი წვეთების რიტმი,
ზევით მსრბოლავი სტალაგმიტები[7]
თვალს ისე ჭრიდნენ, ენით ვერ იტყვი!

განმარტება

1. **ველური თაფლი** – გარეული ფუტკრის თაფლი. ეს ფუტკრები ადამიანის მოვლის გარეშე არსებობენ და აგროვებენ თაფლს.
2. **„ანაბასისი“** – (ბერძ.) ამ სახელწოდების 2 თხზულება არსებობს. მათში სამხედრო ლაშქრობებია აღწერილი.
3. **ერფურტი** – ქალაქი გერმანიაში.
4. **ბუქარესტი** – რუმინეთის დედაქალაქი.
5. **მღვიმე** – ბუნებრივი გამოქვაბული.
6. **სტალაქტიტი** – (ბერძ.) კარსტული მღვიმის ჭერიდან ჩამოღვენთილი წვეთებით ჩამოზრდილი ლოლუები, მილების, ფოჩების სახით.
7. **სტალაგმიტი** – (ბერძ.) მღვიმეში ფსკერიდან ამოზრდილი სვეტისებრი, კონუსური წარმონაქმნი ზემოდან ნაღვენთნაწვეთისაგან.

ქართული ფუტკარი

დინოზავრის ნაკვალევი

სათაფლიის მღვიმე

ნავით გაცურეს მიწისქვეშეთში,
„ბრომეთეს მღვიმის“ წყლის ნაკადულში,
რომელიც გაკვეთს სამგურალის[1] სერს
და ოღასკურის[2] ქვეშ აქვს სადგური.

ერთი წუთითაც დაღლას არ გრძნობდნენ
წალკოტისებურ შემოგარენში.
მერე გულღიად მიიპატიჟეს
იქვე, ნაკრძალში მოქმედ კაფეში.

იმერულ ყველის და ხაჭაპურის
კრაჭა-კრუჭუნი თუთის ართობდა,
სულგუნისა და ღომის მირთმევას
რომ გადაურჩა, აღარ ახსოვდა...

დღის ბრწყინვალება ჩაკეტა ღამემ,
მზემ დილას სტყორცნა სხივი ქუნქულა
და ნაირგვარი ფრინველის გუნდმა
ცისკრის ორკესტრი ააჟღურტულა...

ქვენა ნიავმა ნისლი გაჰყარა,
წმინდა გუმბათი გამოაჩინა,
სხივი თანდათან ქვევით ჩაცურდა,
მთელი ტაძარი გამოაბრწყინა.

—რა ლამაზია!— აღმოხდა ჟაკოს,
გელათი როცა წინ აღიმართა,
სრულად მოხიბლა არქიტექტურამ
და შეკითხვებით ავთოს მიმართა:

—ნეტავ, რით არის იგი რჩეული?!
—ღვთისმშობლისა და ანგელოზების
(ოქროცურვილით[3] ფერადკენჭიან)
მოზაიკებით[4] გამორჩეული,

აღმაშენებლის დიდი სურვილით
და უფლის მადლით აშენებული,
თამარის დროში ოპიზარების
ოქრომჭედლობით დამშვენებული.

აქ ინახება ქართველთ მფარველთა,
ქრისტიანთათვის საყრდენი ძალის,
წმინდა გიორგის და ნიკოლოზის
სათნო სხეულის წმინდა მხრის ძვალი.

ეს კი გელათის აკადემია-
პეტრიწისა[5] და იყალთოელის,[6]
ციკლით — ტრივიუმ-კვადრივიუმის,
მაღალი დონის ცოდნის მთოველი...

როცა ქუთაისს უკან დაბრუნდნენ,
ღამის ფარდაში იჯდა ქალაქი,
სტუმართმოყვარე, თბილი, გამგები
და მომხიბვლელი, აწ და მარადის.

თავაზიანად აძლევდნენ სალამს
გზაზე შემხვედრი ქუთათურები.
შენობებს, ქუჩებს, სკვერებს და ბაღებს
აფერადებდნენ დღის ნათურები.

განმარტება

1. **სამგურალი** – სერი (საშუალო სიმაღლის, მოგრძოდ წამოზიდული რელიეფის სახელწოდება).

2. **ოღასკური** – მღვიმე სათაფლიასთან.

3. **ოქროცურვილი** – ოქროთი დაფერილი, მოოქრული.

4. **მოზაიკა** – (ფრანგ.) მხატვრული გამოსახულება ან ორნამენტი, შესრულებული სხვადასხვა მოყვანილობის ფერადი კენჭებით, მინის, მინანქრის (მინის მსგავსი არაგამჭვირვალე მასა) ნატეხებით.

5. **იოანე პეტრიწი** – იოანე ჭიმჭიმელი. XI-XII ს. ქართველი ფილოსოფოსი. სწავლობდა კონსტანტინეპოლში, მანგანის აკადემიაში. დასახლდა ბაჩკოვოს (ახლანდელი ბულგარეთი) ქართულ მონასტერში (რომელიც დააარსა ქართველმა ვრიგოლ ბაკურიანისძემ. მაშინ ის ტერიტორია ბიზანტიას ეკუთვნოდა). საქართველოში ჩამოიყვანა დავით აღმაშენებელმა და გელათის აკადემიის წინამძღვრობა მიანდო.

6. **არსენ იყალთოელი** – XI-XII ს. ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი (ეხსენიებენ ვაჩისძედ). განათლება მიუღია მანგანის აკადემიაში.

გელათის ტაძარი

ბექა და ბეშქენ ოპიზრების ჭედურობა

გვიანობამდე ისხდნენ ბულვარში,
არავინ იყო „პონტის“[1] „ჟმოტები“,[2]
სტუმრებს ართობდნენ ჟორიას[3] ამბით
და ჭიჭიკიას[4] ანეკდოტებით.

***

მეორე დილით ვანში[5] წავიდნენ,
უნდა ენახათ აღმოჩენები,
შეხებოდნენ და თვალით ეხილათ,
რაშიც კარგად ჩანს ჩვენი გენები.

ისტორიკოსის ენით ღაღადებს
ახვლედიანთა გორის გათხრებით
მოპოვებული ქანდაკებები
და ჩუქურთმიან სვეტთა თაღები.

კერამიკის და შუშის ნივთები,
სამკაულები, ოქროს თასები...
კუთვნილებაა ძველ წელთაღრიცხვის
ათ ასეული წლის წინ მასების.

დაემშვიდობნენ მშვენიერ კუთხეს
(იძულებითა და არა — ნებით),
გულის ნაწილი დატოვეს მასთან,
რადგან სჯეროდათ კვლავ დაბრუნების.

***

უმშვენიერეს კოლხეთის დაბლობს,
მასზე დაქსაქსულ სავალ გზა-შარას
მივყავართ მრავალ დაბა-ქალაქთან,
ვერც ერთს აუვლი გვერდს ჰაიჰარად.

ხმაურიანი ყვირილას პირას,
გორაკ-ბორცვები სადაც ცვლის დაბლობს,
თავაზიანი, შრომისმოყვარე
ზესტაფონელი იმერნი სახლობს.

ჟაკო და ავთო ქალაქს გაეცნენ.
იქაურებიც მოინახულეს.
მხარის წარსული აამბობინეს
ყოველდღიური საქმით გართულებს.

შემოიარეს მთელი ქალაქი,
ქარხანა, ფეროსადნობ მასალის,
ირინეს ბაღი, ძველი ქუჩები,
საშამპანურე ღვინის საცავი.

მერე სოფლებში გაისეირნეს,
მზერა მოსწყვიტა ჟაკოს ერთმა რამ:
თეთრ ლაქასავით ფერდს შეფენილმა
ზანტად მოძრავმა მშვიდი ცხვრის ფარამ.

განმარტება

1. „პონტი“ – ჟარგონი (ჟარგონი ნიშნავს სიტყვას, რომელიც არაა ლიტერატურული და რომელიმე წრეში, ჯგუფში არის მიღებული). დაახლოებით ნიშნავს: რა ხდება?! რა ამბავია?! ზედმეტია! მიუღებელია და სხვ.

2. „ჟმოტი“ – ბარბარიზმი, (ანუ სხვა ენიდან საჭიროების გარეშე შემოტანილი სიტყვა). ნიშნავს წუწკს, გაუმეტებელს.

3. ჟორია – ქუთაისელი კოლორიტული პიროვნება, რომელიც ძალიან ხუმარა და ენამოსწრებული ყოფილა.

4. ჭიჭიკია და ბიჭიკია – ქუთაისელი კოლორიტული პიროვნებები, უამრავი ანეკდოტის პერსონაჟები.

5. ვანი – ქალაქი დასავლეთ საქართველოში..ძველი კოლხეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქი.

ვანის მუზეუმი

ვანის ექსპონატი

ვანის ექსპონატი

პირუტყვი ძოვდა, წინ მიიწევდა...
ნიავი ეჟვნის ენას[1] არხევდა...
ბატკნები იქვე დაკუნტრუშებდნენ,
მწყემსი სალამურს არაკრაკებდა...

მოგზაურები ბიჭს მიესალმნენ.
მეცხვარემ ქართულ ნაგაზს[2] მოუხმო.
თან დაუსტვინა, ცხვრის ფარა შედგა
და, როგორც ერთი, გაჩერდა უხმოდ.

მრავალი ფერის მინდვრის ყვავილი
სურნელს მატებდა ლორთქო ბალახებს,
ჟაკომ, ავთომ და მეცხვარე ვაჟმა
მინდორში, მოლზე,[3] მოიკალათეს.

ყმაწვილმა კაცმა, მგზავრებთან ერთად,
წაიხემსა[4] და თან დაისვენა.
ჟაკომ ცხვრებზე რომ დაუსვა კითხვა,
რაც რამ იცოდა, ის გაიხსენა:

—კაცმა ცხოველის მოშინაურება
ათი ათასი წლის წინ დაიწყო
(თან ჩვენს ერამდე, არ დაგავიწყდეთ),
რითაც ცხოვრება უკეთ აიწყო.

—ცხვარი კი,— მარდად იკითხა ჟაკმა,—
შემოიჩვიეს, ნეტავ, როდიდან?!
—ქრისტეშობამდე რვა ათას წლის წინ
და არც გასულა ჩვენი ქოხიდან.

—მინახავს ცხვარი ამერიკაში,
მაგრამ ეს, თითქოს, რომ განსხვავდება.
—ვუნდერჩიტი ხარ! როგორც ამბობენ,
„იმერულ“ ჯიშად იგი ფასდება.

დიდი ვახუშტი ბაგრატიონი[5]
მას სხვებისაგან გამოირჩევდა:
გემრიელია, ბევრ ბატკანსა ზრდის,
ამტანია და უხვ რძეს იძლევა.

—მოკლედ, უფალმა იგი გვაჩუქა.
—სხვა კუთხეებშიც ხომ გაგაჩნიათ
საუკეთესო ჯიშების ცხვრები?
—ჰო, რა თქმა უნდა, მთაშიც, ბარშიაც:

გამძლე, ხალიჩის მატყლის მომცემი
„თუშური“ ჯიშის (მთა იმით ხარობს),
„უდაბნოს“ ჯიშის — საგარეჯოში,
„ელდარისა“ კი — დედოფლისწყაროს.

განმარტება

1. ეჟვნის ენა – ეჟვანი ლითონის პატარა ჟღარუნაა (ზარი). ცხოველებს ჰკიდებენ კისერზე.

2. ქართული ნაგაზი – ასე ჰქვია სინამდვილეში ძაღლის იმ ჯიშს, რომელსაც რუსებმა „კავკასიური“ უწოდეს. ძლიერი და უშიშარი ძაღლია.

3. მოლი – მწვანე ხშირი ბალახი.

4. წაიხემსა – უცბად, ნაჩქარევად, შესაძლებელია, ფეხზე მდგომმა შეჭამა.

5. ვახუშტი ბაგრატიონი – XVIII ს. ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი, კარტოგრაფი (რუკების შემდგენი), მეფე ვახტანგ VI-ის შვილი. იცოდა ბერძნული, ლათინური, თურქული, რუსული ენები.

ქართული ნაგაზი

იმერული ცხვარი

ელდარის ცხვარი

თუშური ცხვარი

დიდხანს და ტკბილად მუსაიფობდნენ,[1]
მათი გაშვება მწყემსს აღარ სურდა.
იმ ღამით სახლში მიიპატიჟა
და იმერულად გაუწყო სუფრა.

მასპინძლის მამამ მეორე დილით
გამოიყვანა ზღვისფერი „ჰონდა“—
უღელტეხილზე გადაგიყვანთო,
იცოდა, წასვლა მიზნად რომ ჰქონდათ.

***

გავიდნენ რიკოთს, უღელტეხილზე[2]
(ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი მეტრის
სიმაღლეს ითვლის შავი ზღვის დონით),
რომლითაც ამერს იმერი[3] ერთვის.

მიდიოდნენ და თვალს ვეღარ წყვეტდნენ
გარემოს, ლამაზს, მაღალმთებიანს,
მთის ფერდობებზე — ტყე—ბუჩქებიანს,
მარჯვნივ თუ მარცხნივ – უფსკრულებიანს,

მწვერვალები ცას ებჯინებიან,
სხივები ღრუბლებს ეფერებიან,
ორბნი, არწივნი ზესკნელს სწვდებიან,
ტყის მგალობლები ტკბილად მღერიან,

ნადირნი უღრან ტყეში ძვრებიან,
კურდღლები შიშით იმალებიან,
მთის ყვავილები იღიმებიან,
პეპლები მათი კოცნით თვრებიან...

მერე გზა წიფის გვირაბში შეძვრა.
ლამპიონები მისდევდნენ მავალთ,
თვალისმომჭრელი შუქის ციმციმი
იდუმალებას მატებდა სავალს.

***

ლიხის ქედის ძირს, აღმოსავლეთით,
ერისთავების მკვიდრი ალაგის
(ერთ დროს ძლიერი ციხესიმაგრის),
ნაცვლად ახლაა სურამქალაქი.

მტერმა აღგავა მისი დიდება,
ვერ შეუმცირა ღირსთა მარაგი —
მისი ჰავის და წყლისაკენ ილტვის
ახალგაზრდა თუ მოხუც—ჭარმაგი.

გადაიარეს უღელტეხილი,
იმერ—ამერის კოხტა საზღვარი.
ხსოვნაში დარჩა სურამის ციხე
და ნაღვლიანი მისი ზღაპარი...

***

რკინიგზისა და ავტომანქანის
გასაყარზეა ქალაქ ხაშური.
მასპინძელს იქვე დაემშვიდობნენ,
რადგან გზა ჰქონდათ მეტად საშური.

***

მესხეთის[4] მთების და თრიალეთის[5]
ქედის კალთებზე შეფენილია
ხეობა – მუდამ რომ ხიბლავს ყველას,
გარემო მშვიდი, ამოდ გრილია.

განმარტება

1. **მუსაიფი** – მშვიდი წყნარი საუბარი.
2. **უღელტეხილი** – ქედზე ან მთაზე გადასასვლელი.
3. **ამერ – იმერი** – იგულისხმება აღმოსავლეთ–დასავლეთ საქართველო.
4. **მესხეთი** – ისტორიული სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ზოგადი სახელწოდება,
5. **თრიალეთი** – ქვემო ქართლის მხარე.

რიკოთის უღელტეხილი

სურამის ციხე

დაწყვილებული შარა, რკინიგზა
მიუყვებიან მტკვრის სანაპიროს.
ამბებს გვიყვება დედა მდინარე...
ხან კი ჩუმდება, რაღაცას ფიქრობს...

ეამაყება ეს სილამაზე,
ტყიანი ქედის კალთები რომ ქმნის,
მთები ხანდახან დერეფნებს ხსნიან,
ნაძვნარ-ფიჭვნართა სურნელი მოქრის...

თვალწარმტაცია მთელი ხეობა!
ფანტასტიკური! საარაკები!
ბუნების ნიჭით და კაცის ხელით
ქმნილი ბაღებით, ავარაკებით.

—დედამიწაზე სილამაზეს და
მშვენიერებას არ აქვს საზღვარი!
ბორჯომი, ჟაკო, ჩვენი რომაა,
გვგონია, მსგავსი არსად არ არის!

ტყეების გარდა, დაიმახსოვრე,
აქ უნიკუმი[1] წყაროს წყლებია!
კურნავს უამრავ დაავადებას,
ჩამოთვლა მათი ახლა ძნელია.

„ბორჯომის“ წყალი მინერალების
შემადგენლობით არის მდიდარი,
არ ჩამორჩება სამკურნალო წყლებს
ვიშის[2] და ცნობილ კარლოვი ვარის[3].

—ვაუ! რა მესმის?! ნუთუ სხვაგანაც
იციან გემო ბორჯომის წყალის?!
—ყოფილ საბჭოთა ქვეყნების გარდა,
თხუთმეტი ქვეყნის ექსპორტი არის.

წავიდეთ, ვნახოთ, სიცოცხლის წყარო,
დამამშვენები ამ გრილი პარკის.
როგორც გითხარი, ეს არის წყალი,
სასიამოვნო, მაღალი მარკის.

წრიულ ონკანთან ხალხი დგას რიგში,
ასაკის, სქესის განურჩეველად
და ასეული წლებია უკვე,
ასე გრძელდება განუწყვეტელად.

ზურმუხტის ფერად მოქარგულ დიდ პარკს
მზე ოქროს სხივებს აფრქვევდა თავზე.
ქანდაკება[4] და ბიუსტი?![5] არა,
ბუნება გვიქმნის ამ სილამაზეს!

განმარტება

1. **უნიკუმი** – იშვიათი, უნიკალური, შეუდარებელი.
2. **ვიში** – სამკურნალო წყლების კურორტი საფრანგეთში.
3. **კარლოვი ვარი** – სამკურნალო წყლების კურორტი ჩეხეთში.
4. **ქანდაკება** – თიხისა ან სხვა მასალისაგან გამოძერწილი, ხისაგან გამოთლილი, ან ლითონისაგან ჩამოსხმული მთლიანი სხეული.
5. **ბიუსტი** – ადამიანის წელს ზევითა სხეული.

წაღვერი

ბორჯომის პარკი

ბორჯომის ხეობა

ბორჯომის წყალი

—ამ ხეობაში, ბორჯომის გარდა.
არის ლიკანი, ცემი, წაღვერი,
კიდევ მრავალი სოფელი, დაბა –
სასარგებლო და ამოდ საცქერი.

ესეც, იცოდე, „ბორჯომთან“ ერთად.
ექვსასი სახის ჯანსაღი წყალი
მოიპოვება ჩემს სამშობლოში
და ისე კურნავს, როგორც წამალი.

***

ბორჯომის ზემოთ, ერისიონში,
გახლავს კურორტი ბაკურიანი,
საუკუნოვან ფიჭვის ტყეებით.
ზამთარ–ზაფხულში მუდამ მზიანი.

ბორჯომიდან გზის ორმოც კილომეტრს
გადის პატარა მატარებელი,
სათამაშოა, თითქოს, ვაგონი
და ხელისგულზე სატარებელი.

განსაკუთრებით საოცარია
მისით მგზავრობა ფაფუკ ზამთარში!...
ეხები ქულა, წიწვოვან ხეებს...
ასე გგონია, მიჰქრი ზღაპარში!...

თვალი ხედების მშვენებით ტკბება,
ენით აღწერა. მართლა, რთულია!
ადამიანი ვერ შეძლებს ამას,
ღვთიური ფუნჯით დახატულია!

ათას შვიდასი მეტრის სიმაღლის
სათხილამურო გრძელი ტრასები
ნოემბრის თვიდან ღრმა აპრილამდე
მომსახურეა ოსტატ–ასების.

ბაკურიანი იზიდავს ყველას
(ჯანმრთელია, თუ რამით სნეული),
წყლებით და ტყეთა სუფთა ჰაერით,
რასაც შეიგრძნობ მთელი სხეულით.

***

დაემშვიდობნენ იქაურობას,
უკან დაბრუნდნენ მტკვრისპირა გზებით.
ქარელის გავლით გორში ჩავიდნენ
(ორ ათას წელს რომ ატარებს მხრებით).

ლიახვისა და მტკვრის შესართავთან
დგას იგი ქართლის შუა ნაწილში,
ათასი ჯურის მომხდურის გამო
ვზავამოვლილი მრავალ სახმილში.

ბაკურიანი

ლიკანი



ბორჯომ–ბაკურიანის რკინიგზის ძველი „კუკუშკა“

გორს დღესაც ახსოვს მონღოლთა[1] ფლოქვი,
სპარს-ოსმალოთა ხმალი წყეული...
ის ძველად, ფრანგი შარდენის ცნობით,
სავაჭრო ცენტრად იყო ჩნეული.

ხან დაიბრუნა თავისუფლება,
კვლავ და კვლავ ისევ წაართვა მტერმა...
მერე, იმათგან თავდაღწეული,
მიწისძვრამ, თითქმის, გააცამტვერა.

გორს ნანგრევები ცოტა შემორჩა...
მაგრამ წარსული არ ივიწყება,
„ქართლის ცხოვრების“ ყველა ფურცელი
იკითხება და არ ინისლება.

გორაკზე მდგარი ციხესიმაგრე,
ძველი დროიდან ძლიერ ვნებული
(როგორც ამბობენ, აღმაშენებლის,
დავითის, მიერ აშენებული),

წარბშეუხრელად დაჰყურებს ქალაქს,
უძლებდა ტკივილს, ახლაც გვაოცებს.
ისე სიცხადით გვიყვება წარსულს,
ისტორიკოსიც რომ ვერ გადმოგვცემს.

გორი ინახავს სტალინის სახელს,
მით ამაყობს და არ ერიდება-
მუზეუმში აქვს გამოფენილი
მისი ნაკლიც და მისი ღირსებაც.

***

ჟაკო, ვარძია რომ მოგეწონა,
კლდეში ქალაქი აქაც არსებობს,
გორიდან, ასე, ათ კილომეტრში,
ქალაქთა შორის ბრწყინავდა ერთ დროს.

უფლისციხესაც[2] მალე მიადგნენ,
ხუთასი წლის წინ ძლიერ ციტადელს,
ცენტრად მიღებულს კავკასიაში
(ჟაკო უსმენდა ამბავს დილამდე)...

კლდეში გაყვანილ მთავარ მაგისტრალს
გზადაგზა კვეთდა მწკრივი ქუჩების,
ცალ-ცალკე იდგა ზოგი ოთახი
და ზოგი — ერთად შენაქუჩები.

საცხოვრებლები და ყველა ქუჩა
კავშირდებოდა ერთ დიდ დარბაზთან,
ეკლესიასთან, ღია ეზოსთან,
მტკვარზე ჩასასვლელ ქვიან გზაკართან.

შიდა ქალაქის ჩრდილოეთ მხარეს
გოლიათივით დამდგარ კლდეკართან,[3]
იმერ—ამერი კავკასიისთვის
სავაჭრო გზების მტკიცე ბექთართან.[4]

პყრობას ცდილობდა ბევრი მომხდური...
სომეხთა ქვეყნის მეფეებიც კი!...
წუთისოფელი ბოროტს არ ინდობს,
ყველამ მიიღო თვისი ვერდიქტი.[5]

განმარტება

1. **მონღოლები** – მონღოლეთი ჩამოყალიბდა მომთაბარე ტომებისაგან. მდებარეობს ცენტრალურ აზიაში. ესაზღვრება რუსეთი, ჩინეთი. დედაქალაქი – ულანბატორი.

2. **უფლისციხე** – კლდეში ნაკვეთი ქალაქი ქ. გორის აღ-მოსავლეთით 10 კმ.-ზე, მოიხსენიება VII ს.-ში. ის იყო სავაჭრო, სამრეწველო, კულტურული ცენტრი.

3. **კლდეკარი** – ვიწრო შესასვლელი კლდეში.

4. **ბექთარი** – (სპ.) ჯაჭვის ბერანგი.

5. **ვერდიქტი** – (ინგლ.-ფრანგ.) განაჩენი, მსაჯულთა გადაწყვეტილება.

გორის ციხე

უფლისციხე

სიხარბე შთანთქავს ადამიანებს,
უფლისციხეა ამის მნახველი:
მოძალადეთა ხსენება გაქრა
და არ გამქრალა ციხის სახელი.

დასავლეთ მხარეს, იქვე, კლდის პირას,
ნაშთად შთენილ არს სალოცავები
(წარმართულიც და ქრისტიანულიც),
ნამინდვრალი და ნასახლარები.

ასე აქცია აქაურობა
ბოლოს მომხდურმა მონღოლთა ურდომ...[1]
თუმც, უფლისციხე არ წარხოცილა,
ჩვენი წარსული მასში კვლავ ბუდობს.

***

მონღოლთ ფლოქვების თქორმა, ასევე,
მოსრა პირისგან ქალაქი კასპი.
როგორც გვიამბობს „ქართლის მოქცევა“,[2]
ადრე ღვიოდა ცხოვრება მასშიც.

მტრის უნდო ხელმა, როგორც სხვას, კასპსაც,
ბევრჯერ უკუღმა უბრუნა ჩარხი,
და ახლა იგი იხსენიება
ერთი რიგითი ქალაქის სახით.

—ავთო, შენ ხომ თქვი, მტკვრით გავცურავთო!
—ჰო, რა თქმა უნდა, დროა, დავიძრათ!
ქვევით, მცხეთისკენ, დინებას გავყვეთ,
ქართლი ამჯერად ვნახოთ ნავიდან.

***

მილიონ სამას სამოცდაოთხი
ათასი მეტრის სიგრძის იქნება
მტკვარი, სათავეს თურქეთში იღებს,
კასპიის ზღვაში[3] ჩაედინება...

საქართველოში ერუშეთის მთის,
ვარძიის მხრიდან, მოედინება,
თმოგვის ციხესთან მოარღვევს ტალებს,
ხოლო ხერთვისთან უფრო მშვიდდება.

—იმ ადგილებს ხომ მე უკვე ვიცნობ!
—ჰო, თუთი, უკვე ბევრი რამ იცი!
—კიდევ და კიდევ გავიმეორებ,
რომ ქართველი ვარ! არ უნდა მტკიცი!

ავთომ მეგობარს გაუღიმა და
ხელ-ფრთის შეხებით შეჰფიცეს ძმობა!
მერე ჩიტუნა მუხლზე დაისვა
და დაწყებული განაგრძო თხრობა:

—ასპინძის შემდეგ მას „მინაძემდე“[4]
ხან ვიწრო ხევში უწევს დინება,
ახალციხესთან ქვაბულს გაივლის,
მესხეთ-თრიალეთს გაედინება.

სწორედ იქ აჩენს ბორჯომხეობას.
ტაშისკარიდან[5] გასული მტკვარი,
წარმოქმნის კუნძულს და მდორე ჩქერებს,
განივრად მოდის, არ არის ჩქარი.—

ჰყვებოდა ავთო და, ამავე დროს,
ტკბებოდნენ ორივ ნაპირის ხედით:
ხან მინდორ-ველით იყო გაშლილი,
ხან — ჩაკეტილი ტყიანი ქედით.

***

მალე ნაპირზე გადმოინაცვლეს,
რადგან მდინარე ძეგვთან[6] გორდება,
მცხეთის დამრეც და ღრმა კალაპოტში
ციცაბო მთისგან კვლავ ვიწროვდება.

არაგვისა და მტკვრის შესაყართან
გაშენებული ქალაქი მცხეთა,
ბრინჯაოს დროშიც კი არსებულა
(სახელი მოდის სიტყვიდან „მესხთა“).

ის გახლდათ იბერთ დედაქალაქი,
ქართული სულის ღირსი და მშვენი!
ძველი ნაწილი წარსულზე ჰყვება,
ხოლო აწმყოზე – ახალნაშენი.

იყოფებოდა მცხეთა უბნებად:

განმარტება

1. ურდო – (თურქ.) თურქულ-მონღოლური ტომების ბანაკი. მმართველობის ადგილსამყოფელი. გადატანითი მნიშვნელობით, დამპყრობელი ჯარი.

2. „ქართლის მოქცევა“ – „მოქცევაი ქართლისაი“, ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ისტორიული მოთხრობა.

3. კასპიის ზღვა – მსოფლიოს უდიდესი გაუდინარი წყალსატევი რუსეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის, ირანის საზღვრებთან.

4. მინაძე – სოფლის სახელწოდება.

5. ტაშისკარი – სოფელი ხაშურის რაიონში, ქვიშხეთთან. ორივე არაჩვეულებრივი კურორტია. მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს.

6. ძეგვი – სოფ. მცხეთის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. შემონახულია შუა საუკუნეების ქართული ხუროთ-მოძღვრების ძეგლები, ეკლესიები, კოშკები.

წიწამურს მცხოვრებ მომკალ-მთესველთა,
არმაზად,[1] კარსნში[2] — მეთუნეთა[3] და
სარკინეთში[2] კი - ლითონმკვეთელთა.

არმაზი გახლდათ არისტოკრატთა
რეზიდენცია-საცხოვრებელი.
მცხეთას იცავდა ბებრის ციხე[4] და
ქვის გოდოლები - მყარი და სქელი.

ყოველ ამ უბანს ჰქონდა საკუთრად
ზზა, მოედანი, მყარი კლდეკარი,
სავაჭრო სახლი, წყალი, აბანო
და სამლოცველო — სულის მკვებავი.

ტაძრები ედგათ ზედ გორაკებზე,
საცხოვრებლები — მთათა კალთებზე,
ბაღ - ვენახები, სახელოსნონი,
საგოდებელი[5] — დაბლა, ვაკეზე.

მთელი სამეფო იყო წარმართი
ოქროს და ვერცხლის კერპზე[6] მლოცველი,
სანამ ქართლში არ მოვიდა ნინო -
ქრისტიანული რწმენის მცოდნელი.

ხომ გახსოვს, თუთი, მისი საფლავი
ბოდბეში ვნახეთ. მან დაამსხვრია
წარმართ კერპები (უფლის შეწევნით!),
მართლმადიდებლად მან მოგვაქცია.

ძველი უბნების შემოვლის შემდეგ
მოინახულეს სვეტიცხოველი.
კარიბჭეს როგორც გადააბიჯეს,
უმალ შეიგრძნეს ღვთიური ველი!

-რა ლამაზია! - გაოცდა ჟაკი, -
გაქვთ კიდევ სადმე ამის ბადალი?!
-ბევრი მათგანი, - მიუგო ავთომ, -
აღარ შემოგვრჩა, გითხრა მართალი.

აი, ამ ადგილს, თავდაპირველად,
ნინომ ააგო ხის ეკლესია.
ის რომ დაძველდა, მეფე ვახტანგმა
სწრაფად აუგო სახლი მესიას.

ათასი წლის წინ მეფე გიორგიმ,
რადგანაც ძველი ვერ იტევდა მრევლს,
ააგებინა ეს არსუკიძეს...
ნაშენი ახლაც ხიბლავს მის მნახველს.

ინტერიერი ჯვრის ფორმისაა...
დავანებული წმინდანთა სულით,
ქართლის მოქცევის ეპიზოდებით,
ყოველ კედელზე მიმოხატულით...

თუთი ავთანდილს მხარზე მიეკრო -
თითქოს, სუნთქვისაც ერიდებოდა...
მლოცველთა ბუტბუტს ყურს უგდებდა და
გრძნობდა, სული რომ უმშვიდდებოდა...

ავთომ ჟაკ ჟაკოს იქვე აჩვენა
უფალ იესოს კვართის ადგილი,
წვრილად უამბო ჯვარცმის ამბავი
და სიდონიას[7] გულის წადილი.

ტაძრის კუთხეში ბავშვი ატირდა,
როცა მოძღვარმა ემბაზში ჩასვა,
ჯვარი დაჭიდა, ღმერთს შეავედრა,
ამ პაწაწუნას ეშმასგან დაცვა..

ბავშვმა ტირილი უცბად შეწყვიტა,
ყველას შესცინა და აჭყლოპინდა,
ჟაკო მიფრინდა, ბიჭი წამოჯდა,
ჩიტს ორივ ხელით წაეპოტინა.

იმ წუთს ნათელი გახდა ყველასთვის,
რაც ბრძენთა ხელით დაწერილია,
რომ სულიერი, ყველა, ამქვეყნად,
მაღალი ღმერთის გაჩენილია.

განმარტება

1. არმაზი - ქართლის წარმართული ღვთაება. აღამართ-ვინა მეფე ფარნავაზმა, ტანი ჰქონდა სპილენძის, ეცვა ოქროს ჯაჭვი, თავზე ეხურა ჩაბალახი; თვალები ჰქონდა ზურმუხტის, ხელში ეჭირა ელვის მფრქვეველი ხმალი.

2. კარსანი; სარკინე - ძველი მცხეთის ერთ-ერთი უბანი... აღმოჩენილია სახელოსნოები, სადნობი ქურები, რკინის ნივთები.

3. მეთუნე - ხელოსანი, რომელიც თიხისაგან ამზადებს ჭურ-ჭელს.

4. ბებრის ციხე - შუასაუკუნეების ციხესიმაგრე ქართლში,

5. საგოდებელი - სასაფლაო.

6. კერპი - 1. წარმართული ღვთაების ქანდაკება. 2. სათაყ-ვანო პიროვნება. 3. ჯიუტი.

7. სიდონია - გოლგოთაზე ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ იერუსალიმიდან მცხეთელმა ებრაელებმა იესოს კვართი ჩამოი-ტანეს. ელიოზის დამ, სიდონიამ, პერანგი გულში ჩაიკრა და გარდაიცვალა. კვართჩახუტებული დაკრძალეს. იმ ადგილას კვიპაროსი ამოიზარდა. სწორედ იქ ააგეს, სვეტიცხოვლის ტაძ-არი, რომლის მთავარი სვეტი ეს კვიპაროსი გახდა,

სვეტიცხოველი

ბავშვი თუთიყუშს დიდხანს ეფერა,
ერთად თამაშით გული იჯერეს.
ეზოშიც ყველა მათ უყურებდა,
ჰოდა, იმათაც ეს შეიფერეს.

გალავანს, ტაძარს ირგვლივ რომ ერტყა,
ორთავემ სკუპით შემოუარეს,
ფოტოსურათიც კი გადაიღეს,
ბოლოს მიადგნენ გასასვლელ კარებს.

– წასვლის დროაო, – ბრძანა დედიკომ,
– მართალიაო, – ნათლიაც აჰყვა.
დამჯერე ბიჭი იყო პატარა,
ჰოდა, დედიკოს მაშინვე გაჰყვა.

დიდხანს უქნევდა ხელს ჩიტს ბიჭუნა,
თუთიმ კი ფრთები ზევით ასწია
და გულის ფორმა ნაზად მოხატა,
მერე ავთოსთან ერთად გასწია.

სვეტისცხოველის მოპირდაპირედ,
მტკვრის სანაპიროს მარცხენა მხარეს,
მთის მაღალ წვერზე, მკვიდრობს ტაძარი,
ჯვრით რომ მფარველობს ქართველთა არეს. .

ქრისტეს მიღების პირველ წელშივე
უპირველესმა ქართველთ მთავართა,
მირიან მეფემ,[1] ნანასთან ერთად,
იქ თვალსაჩინოდ ჯვარი აღმართა.

ათას ოთხასი წლის წინ პატარა
ქვის ეკლესიას ზედ დააშენეს
და მომლოცველთა მატების გამო,
ამ სახის ტაძრად გადააკეთეს.

მცხეთაში კიდევ დიდხანს იარეს,
ზოგს მოეფერნენ, ზოგს გაეხუმრნენ,
საღამოს დაღლილ-დაქანცულები
ძველ ჩუქურთმიან „ჰოტელ“-ს ესტუმრნენ.

იქაც თბილად და ტკბილად მიიღეს.
მათაც აავსეს დამხვდურნი ქებით.
დასაძინებლად დაწვნენ, რომ დილით
კვლავ დამტკბარიყვნენ დღის გათენებით.

ლოგინი იყო ისეთი რბილი,
შეშურდებოდა სპარსეთის შაჰსაც.
დაღლილმა ჟაკომ დაიძინა და
გასაოცარი სიზმარი ნახა:

„არმაზისხევში მაცნე[2] მოვარდა:
– რომის სარდალი გვიახლოვდება!
პომპეუსია[3] მისი სახელი!
ლაშქარი უკვე ბჭესთან გროვდება!

ყმაწვილი ჟაკი და მეგობრები
მტრის სათვალთვალო კოშკის ძირს ისხდნენ.
წამოხტნენ, თორი გადაიცვეს და
იარაღები სწრაფად აისხეს.

ერთმა სარკინეთს გაქუსლა ცხენით
და სხვებმა კარსნისხეველთ აცნობეს,
წიწამურსა და ბაგინეთიდან[4]
დამხმარე ძალა მალ შეაგროვეს.

სარკინეთლებმა ყველას გადასცეს
შუბი, მახვილი, ფარი, ხანჯალი;
წიწამურლებმა გასცეს საგზალი,
კარსნისხევლებმა დაფლეს მარცვალი.

არტაგმა,[5] რაზმით, ციხე დატოვა,
თავს მტკვრის მეორე მხარეს უშველა,
მცხეთა და მისი შემოგარენი —
მტერმა ჩაიგდო ხელში სუყველა!...

ვაჟებთან ერთად ქალიშვილებიც
თავს ესხმოდნენ მტერს ფრონტის ზურგიდან...
პომპეუსმა ტყე გააჩეხინა
და ნარჩენებს კი ცეცხლი უკიდა...

განმარტება

1. **მირიან მეფე** – IV საუკუნეში ქართლის მეფე, რომელ-მაც ქრისტიანობა შემოიღო საქართველოში. ნანა დედოფალი.
2. **მაცნე** – ამბის მომტანი, შიკრიკი.
3. **პომპეუსი** – გნეუს მაგნუს. დაიპყრო პონტო და სომხეთი, დალაშქრა იბერია, კოლხეთი, ალბანეთი, სირია, პალესტინა.
4. **ბაგინეთი** – იგივე არმაზციხე.
5. **არტაგი** – ქართლის VI მეფე.

პომპეუსის ხიდი მცხეთაში

დამარცხდა ქართლი!... ბრძოლა დამთავრდა...
იბერთა მხარე მოიცვა დარდმა:
თავი გასწირა სრულ ცხრა ათასმა...
ათი ათასი კი ტყვედ ჩავარდა...

მათ შორის ჟაკი და მის ჟორჟეტა
გნეუსმა დავლად თან გაიყოლა...
ტყვედქცეულებმა ფასისში იგრძნეს
მამულის ფესვთან მოწყვეტის ძრწოლა.

ჟაკომ გაქცევის გეგმა დასახა
და გულის სატრფოც გადმოაფრინა,
ის იყო, უკვე გამოიპარნენ“...
რომ ავთომ ფრთხილად გამოაფხიზლა...

თუთი კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა,
ავთომ თვალი ძლივს გაახელინა,
როდის–როდის ძლივს შეაგნებინა,
რომ წასასვლელი გზა ედოთ წინა.

– შენ რაც მიამბე, წუხელ მესიზმრა,
ავთო, არ მინდა, ის კიდევ ვნახო!
– არ დავივიწყოთ წარსული, ჟაკო,
გმირების ღვაწლი უნდა შევაქოთ.

ყოველთვის კი არ გვიპყრობდა რომი!
ჯვაროსნებს[1] ჩვენაც გვერდით ვედექით,
ბიზანტია[2] რომ ვერ მოსრა ბარდამ,[3]
გახლავთ ქართველთა ბრძოლის შედეგი.

კიდევ, ქართველთა მეფე–სარდალი,
ფარსმან მეორე,[4] ანტონ პიუსმა
ქრისტიანობის დამცველად ცნო და
რომაელ გმირებს გვერდით „მიუსვა“.

– ეს რა მითხარი, ყოველ კუთხეში
რაღაც ახალს და საოცარს ვიგებ!
როგორც ზოგიერთ ქართველს ჰგონია,
მსოფლიოს ჭიპი[5] მართლა ხართ, იქნებ?!

– ვინ იცის?!... ახლა წავისაუზმოთ,
თბილისისაკენ გაგწიოთ ხვალე.
და იმდენ რამეს ნახავ, მოისმენ,
არ დაუჯერებ ყურსა და თვალებს.

* * *

მანქანით პირველ ჰესს ჩაუარეს
(ავთომ უამბო ჟაკუნას მასზე),
მერე დავითის ძეგლი შემოხვდათ
მცხეთიდან თბილისს შემავალ გზაზე.

განმარტება

1. ჯვაროსნები – მეომრები. მათი ომის მიზანი იყო პალეს–ტინის წმინდა ადგილების მუსლიმანებისაგან გათავისუფლება. სიმბოლურად ტანსაცმელზე მიკერებული ჰქონდათ ჯვარი.

2. ბიზანტია – სახელმწიფო რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში. შეიქმნა რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ, IV ს.–ში. არსებობდა XV ს.–მდე. დედაქალაქი კონ–სტანტინეპოლი.

3. ბარდა სკლიაროსი – სპარსი. სამეფო ტახტისათვის იბრძოდა. თორნიკე ერისთავის სარდლობით დამარცხდა.

4. ფარსმან II – იბერიის მეფე. მრავალი ბრძოლით გაა–ძლიერა იბერია და ვაჟკაცობით მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. რომის მმართველმა იგი ოჯახითა და დიდებულებით მიიწვია რომში. ქართველი მეფის ცხენზე ამხედრებული ქა–ნდაკება რომში დადგეს. საშობლოში, საქართველოში, მას „ფარსმან ქველს“ უწოდებდნენ.

ჯვაროსნები

5. მსოფლიოს ჭიპი – გადატანითი მნიშვნელობით, მსოფლიოს ცენტრი, მსოფლიოს ცხოვრების საწყისი.

რომის კოლიზეუმი

რომი, ვატიკანი

ქუჩის მტვერსა და ორომტრიალში,
ასეთ ხმაურში, აქ, ძეგლს რა უნდა?!...
ღირსეულ ადგილს რომ იმსახურებს,
შეხსენება და ვანა თქმა უნდა?!...

მსურს, რომ მივიდე, არ ვიცი როგორ!
იები ვუძღვნა მინდა, ძალიან!...
უცხო ქვეყნების ექსპრეზიდენტებს
ბაღებში „სვამენ“... სამართალია?!...

შენც კარგად იცი, მეფე დავითი
სათაყვანები არის მარადის!...
– ჰო... თბილისს სანამ გააშენებდნენ,
მოსახლეობა იყო მანამდის?!

– მოსახლეები ადრეც ყოფილან
მდინარე მტკვართან, ჭალა-ხევშია,
გოგირდოვანი ცხელი წყლის გამო
ტფილისი (თბილი) დაურქმევიათ.

მეფეს ხოხბებზე ნადირობისას,
შემოუვლია ტყე, ჭალა, მთები.
მიმინო ტბაში რომ ჩაიხარშა,
მაშინ შენიშნა ეს ცხელი წყლები.

ხელმწიფეს მხარე მოსწონებია,
ქალაქის შექმნა უნებებია,
სამეფო ტახტის გადმოტანა კი,
მცხეთიდან, მის ვაჟს უბრძანებია.

(ამიტომაა, მეტეხის კლდეზე,
სადაც ღვთისმშობლის მადლი იფრქვევა,
ამხედრებული გორგასლის ძეგლი
თბილისის უცვლელ სახედ ითვლება.).

მას შემდეგ ყველა რუკაზე ხვდება.
აქ გადიოდა სავაჭრო გზები
და ხელსაყრელი ადგილის გამო
მისი დაპყრობა ყველას უნდება.

მას უამრავი მომხდური ჰყავდა.
რაც თავი ახსოვს, გაჩენის დღიდან.
ათასი ჯურის მტერი, მრავალგზის,
ანგრევდა, წვავდა, წეწდა და თხრიდა!...

სპარსელები და ბიზანტიელნი,
არაბ-ხაზარნი, თურქ-სელჩუკები,
მონღოლები და ოსმალოელნი
(არ გამოტოვეს წელი უკლებლივ).

გვსპობდნენ იმათი მხეცი სარდლები:
მურვან-ყრუ[1] იყო, თუ ბუღა თურქი.[2]
ჯალალ-ედ-დინი,[3] თუ ალფ-არსლანი[4]
(ყველგან დატოვეს ნანგრევთა ბუქი).

ჯაჰან-შაჰი[5] თუ თამაზ პირველი[6]
(ნუ მოასვენოს ღმერთმა ნურც ერთი),
აღა-მაჰმადი,[7] თუ ნადირ-შაჰი[8]
და უფრო გვიან – მეფის რუსეთი!...

– თავს თავისუფლად როდისმე გრძნობდა?!
– მშვიდი ცხოვრება ხშირად არ ჰქონდა,
მაგრამ ჭკვიანი მეფეების დროს
აშენებდა და თავი გაჰქონდა.

რვა ასეულზე მეტი წლის წინათ
მეფე დავითმა[9] იხსნა ქალაქი,
გამოაცხადა მთლად საქართველოს
დედაქალაქად, აწ და მარადის!

თბილის-ქალაქი მოხერხებულად
და კომფორტულად ზის აქ, ქვაბულში,
მისი მშვენება ვინაც იხილა,
ხატად ატარებს სულსა და გულში.

საკმაოდ რთული რელიეფი აქვს:
ზოგი უბანი – დაბლობიანი,
ზოგან – ცხელ გოგირდწყაროიანი,
ხან – კლდე-მთიანი, გორაკიანი.

განმარტება

1. **მურვან-ყრუ** – არაბი სარდალი. შეუბრალებლობისა გამო შეარქვეს „ყრუ.“
2. **ბუღა თურქი** – არაბი სარდალი.
3. **ჯალალ-ედ-დინი** – ხვარაზმის შაჰი.
4. **არფ-არსლანი** – სელჩუკთა სახელმწიფოს სულთანი.
5. **ჯაჰან-შაჰი** – სპარსეთის შაჰი.
6. **თამაზ I** – ირანის შაჰი, სეფიანთა დინასტიისა.
7. **აღა-მაჰმად-ხანი** – ირანის გამგებელი,
8. **მუჰამედ ნადირ-შაჰი** – ავღანეთის მეფე.
9. **აღმაშენებელი**.

მეფე დავით აღმაშენებელი

მეფე ვახტანგ გორგასალი

სანახავი რომ უკეთ აღექვა,
მახათას[1] მთიდან გადმოახედა,
ჟაკოს ჟღურტულიც კი დაავიწყდა,
შთაბეჭდილებით ისე გახევდა...

დიდხანს ავლებდა თვალს არემარეს:
ჩანდა ახალი, ძველი უბნებიც,
საცხოვრებლებით, სხვა შენობებით,
ტაძრებით – ქართულ მოჩუქურთმებით...

ბრწყინავდა მტკვარი, ვით ვერცხლის მძივი,
ზღაპარს ჰყვებოდნენ ჭადრები მწკრივში,
იწვა ბაღების, პარკების ჩრდილი,
ქალაქს ეფრქვია მზის უხვი სხივი...

შორს, მაღალ მთაზე, ჩნდა ნარიყალა,
მოწმე ქალაქზე თავდასხმებისა,
მამაც დამცველთა თავგანწირვის და
მტრის მომცელავი ხმლების ხმებისა...

მთელ თბილისს თავზე ადგას მფარველად
ქვეყნის სიმბოლო – ქართველი დედა,
თასით–მოყვრისთვის, ხმლით კი–მტრისათვის,
რომ ვერვინ შეძლოს ქალაქის ვნება.

შემოიარეს მთაწმინდის პარკი,
ავთომ უამბო მთის ისტორია.
თუთიმ გაიგო, რომ იგი, თურმე,
უფლის საკანის თანასწორია.

აქ იყო მამა დავითის ქოხი,
აქ აღაგლინა ლოცვა, პირველი;
გარეკხს, უდაბნოს, მერე წავიდა
და შექმნა ლავრა, გასაკვირველი.

მამა დავითის ეკლესიასთან
წმინდა საკანე – პანთეონია,[2]
განისვენებენ იქ ის ქართველნი,
ვინც ერისკაცი და ღვთის ტოლია!

– ჟაკო, ვფიქრობ, რომ უკვე დაგღალე.
ახლა გაგაცნობ შენს თანატოლებს,
ყველაზე ლამაზ და ხალისიან,
ჭკვიან „ბატონებს“ და „ქალბატონებს“.

ჟაკო სიხარულს ვეღარ მალავდა,
სულ ხტუნვა – ფრენით მიჰყვა ავთანდილს.
მალე გავიდნენ ბომბორას[3] პარკში,
ზღაპარში მოხვდნენ, არ ჰგავდა ნამდვილს!

მოშორებითაც კარგად ისმოდა
სასიამოვნო ხმათა ხმაური:
ფეხის ბაკუნი, ყვირილი, ტაში,
მოკლედ, ბავშვების აურზაური.

მრავალფერადი შენობები და
სხვადასხვაგვარი ატრაქციონი,[4]
კარუსელები, აუზები და
კაფე–ბარები – სასაცილონი,

დახუნძლულიყო გოგო–ბიჭებით.
ზოგი „მთის წვერზე“ ასვლას ცდილობდა,
ზოგი – „მძღოლობას“, ზოგი – „მხედრობას“,
სხვა კი „რაკეტით ფრენას“ ფიქრობდა.

ჟაკი მათ შორის რომ გაერია,
ბავშვებმა მორთეს ერთი გნიასი,
ყველას უნდოდა მასთან თამაში,
ეწერებოდნენ რიგზე სიაში.

განმარტება

1. მახათას მთა – იგივე მთაწმინდა.

2. პანთეონი – (ბერძ.) 1. ყველა ღმერთის სახელზე აგებული ტაძარი. 2. სასაფლაო, აკლდამა, სადაც გამოჩენილი დამიანები ასაფლავია.

3. ბომბორა – ქართული ანიმაციური ფილმის პერსონაჟი. ასე ეწოდება მთაწმინდაზე ბავშვთა გასართობ ცენტრს.

4. ატრაქციონი – (ფრ.) სახალხო სასეირნო ადგილებში მოწყობილი გასართობები.

მთაწმინდის პანთეონი

ბომბორა მთაწმინდის პარკში

მთაწმინდის პარკი

თუთი ხან ერთის მხარზე ხტებოდა,
მერე მეორის თმაში ძვრებოდა,
დაეძებდნენ და სადღაც ქრებოდა –
ყველა სიცილით იგუდებოდა.

ჟაკო და ავთო ვზას რომ ჩაუყვნენ,
დიდხანს უქნევდნენ ბუნჩულა ხელებს,
მერე ქალაქის ქუჩებს გაუყვნენ,
ესალმებოდნენ ვზად თბილისელებს.

ჟაკო მოხიბლა ძველმა უბნებმა
(ვიწრო ქუჩებსა და ეზოებში
სხვადასხვა ერის ხალხი სახლობდა,
მეზობლობდა და არვინ დაობდა!),

„ფერისცვალებით“, და „ანჩისხატით“,
სანაპიროთი, რიყით, „შარდენით“,
„იტალიური ეზოებით“ და
კონკით... ვერ გეტყვით, კიდევ რამდენით...

ბრწყინავდა უფლის სახლი სიონი,
ისეთი წმინდა, როგორც გრაალი,[1]
მართლმადიდებელთ დედა ტაძარი,
ღვთის რწმენასავით მტკიცე და მყარი.

აქ ინახება სულმნათი ნინოს
თმით გაკვანძული ვენახის ჯვარი,
მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატი,
წმინდა გიორგის მუხლიდან – ძვალი.

წინაპართ სულის მოსახსენებლად
ავთომ აანთო თაფლის სანთელი...
ვალობდა გუნდი... ხარობდა სული...
ღვთისმშობელს ედგა წმინდა კანდელი...

სამების ტაძარს როს მიეახლნენ,
სამლოცველოს წინ სივრცე ჩნდა ვრცელი,
სამება იდგა შემაღლებულზე,
მას თაყვანს სცემდა მორწმუნე ერი!...

ზართა რეკვის ხმა სულს ამაღლებდა
და მოწიწებას გვრიდა სურათი:
მზის ოქროს ჯიღა[2] ადგა ზედ ტაძარს,
თვალისმომჭრელ სხივს ფენდა გუმბათი...

წმინდა ხატებთან თრთოდნენ სანთლები...
ზეცას წვდებოდა „შენ ხარ ვენახი“...
აღსავლის კარი ფართოდ გაიღო,
მოხუცი დადგა ნათელი სახის...

ამბიონს იდგა მამა ილია,
პირჯვარს სახავდა სათაყვანო მრევლს,
ლოცავდა ქვეყნის ყველა ბინადარს,
ღმერთს ავედრებდა საქართველოს ერს...

ყურადღება რომ არვის მიეპყრო,
ჟაკუნა ავთოს უბეში შეძვრა.
ნაზმა ჰანგებმა ააღელვა და
ხელი დარია მსუბუქმა სევდამ...

განმარტება

1. გრაალი – ბარძიმი (თასი), რომელშიც ქრისტეს სისხლის წვეთები შეაგროვეს.

2. ჯიღა -- მდიდრული, ძვირფასი თვლებით მოჭედილი თავსაბურავი, თმის სამაგრი.

სიონის ტაძარი

ილია მეორე

სამების საკათედრო ტაძარი

ტაძრიდან როცა გამოდიოდნენ,
მზე დედამიწას ეთხოვებოდა,
მრავალფერადი ნათურის შუქში
დედაქალაქი ისევ მზეობდა.

რუსთველის გამზირს ნელა გაუყვნენ.
ახალგაზრდობა ქუჩას ავსებდა;
ასეთი კოხტა, ცელქი, ლამაზი
თუთის შეხვედრა ყველას ალხენდა,

ზოგი ბანანებს უნაწილებდა,
ზოგი ფორთოხალს, ვაშლს სთავაზობდა;
ეფერებოდნენ ფრთებზე, კისერზე,
ჩიტუნია კი ოინბაზობდა.

რესტორნები და კაფე-ბარები,
სტადიონებიც შემოიარეს
ნაშუადამევს ძლივს ჩაეძინათ,
მოყვასთა სითბოს თანაზიარებთ.

ხუთვარსკვლავიან სასტუმროს სტუმარ
ჟაკოს რიჟრაჟის სხივი დაეცა.
როგორაც იჯდა, ისე წამოხტა,
აბა, კაცივით ხომ არ ჩაეცვა?!

სასწრაფოდ თავი მოიწესრიგეს,
პირველ სართულზე ბარში ჩავიდნენ,
გემრიელად რომ წაისაუზმეს,
სამოგზაუროდ გარეთ გავიდნენ.

—ჟაკო, ადრეც მაქვს შენთვის ნათქვამი,
ყველაფრის ნახვა არ მოხერხდება.
—დრო არ გვიბრალებს, არა, ავთანდილ?!
მალე ღამდება, მალე თენდება.

—ჰო, ვუნდერჩიტო, ფილოსოფოსობ?!
თბილისს ბევრი აქვს ღირსსახსოვარი:
გალერეები, კინო, თეატრი,
თბილისელები – სახელოვანნი.

შემოიარეს მრავალი ბაღი,
ძველი, ახალი სასახლეები
(დაწვრილებით რომ მათ გაცნობოდნენ,
დასჭირდებოდათ მისთვის თვეები),

კინოს, თეატრის, პედაგოგიკის,
ეთნოგრაფიის მუზეუმები,
სპორტის სასახლე, მეტრო და ცირკი,
კუს, ლისისა და თბილისის ტბები.

მეტროსადგური „რუსთაველი“

რუსთაველის ძეგლი

რუსთაველის გამზირი

კონკა

ქუჩაში, სახლში, ეზოში, ბაღში
დღისით თუ ღამით სიცოცხლე დუღდა.
მეტი დრო დათმეს ზოოპარკისთვის,
რადგან ჟაკუნას იქ ყოფნა სურდა.

პარკის წინ დადგნენ. რიგს შეუერთდნენ
ავთანდილი და მისი თანმხლები.
ჭიშკარში შესულთ შემოეგებათ
ვოლიერები[1], თეთრი დათვების.

ვეფხვები ღრენით აფრთხობდნენ მხილველთ,
ფაფარდაყრილ ლომს მშვიდად ეძინა,
შვლები დედასთან დაკუნტრუშებდნენ,
სპილოებს თავი დინჯად ეჭირათ.

მაიმუნები რკინის გისოსებს[2]
ზედ ახტებოდნენ და ეხლეებოდნენ,
ბავშვების მიერ მიწოდებული
ბანანებისთვის სად არ ძვრებოდნენ.

მაღალი მთების ამაყი შვილი,
ჯიხვი, „მწვერვალზე“ იდგა, ჭკვიანი,
უფრო ქვევით კი, გრილი „ტყის პირას“,
ირემი ქშენდა, რქატოტიანი.

გრძელკისრიანი თეთრი გედები
ტბაში ღირსებით დასრიალებდნენ,
ქორნი, სვავნი და ორბნი, არწივნი
სისხლისფერ თვალებს აბრიალებდნენ.

სმენას, უეცრად, ჟივჟივი მისწვდა:
ვრცელ ვალიაში ჩიტები ისხდნენ!
მარდად დახტოდნენ, სტვენდნენ, ვალობდნენ...
ჟაკო მაშინვე გაფრინდა მისკენ.

ავთოც თან მიჰყვა. ჟაკი გისოსზე
შეფრთხიალდა და... უცებ გაოცდა!..
თუთიყუშებში ჟორჟეტა იცნო!
ძალწართმეული ყირა ჩაცოცდა!..

განმარტება

1. ვოლიერი – ცხოველის ან ფრინველის სამყოფი, სპეციალურად შემოღობილი ვალია.

2. გისოსი – ხის ან ლითონის (და მისთანა) ღერები, ბადისებრ დახლართული ან რიგულივით შეკრული.

ზოოპარკის ბინადარნი





„სამოთხის ჩიტი გეგონებოდათ
ჟაკოს ჟორჟეტა, ბანანზე მჯდარი.
თვალწარმტაცი და შესანიშნავი,
დამწიფებული ბანანის დარი“.[1]

ჟაკი ღელვისგან ისე დასუსტდა,
თითქოს ლახვარი[2] გულში ჩაეცა!..
—ჟორჟეტა, შენ ხარ?! — ჟორჟეტამც იცნო
და გულწასული მიწას დაეცა...

ჟაკი იმწამსვე იმასთან გაჩნდა,
ნისკარტით მისწვდა, ფრთაზე ემთხვია!
ატყდა ტკრციალი, ტაში, ყიჟინა —
ყველა გალიას შემოეხვია...

—ავთო, ვიპოვე! — ყვიროდა ჟაკი,
სიხარულისგან თავგზა აებნა!
ამ სასწაულის არც კი სჯეროდა,
აღარც იცოდა, ახლა რა ექნა?!...

სამაგიეროდ, იცოდა ავთომ
და დირექციას თხოვნით მიმართა:
იმან კი, ამბავს რომ მოუსმინა,
თუთის წაყვანის ნება მიართვა.

იქვე, კაფეში, გარეთ, ჩამოსხდნენ,
ცივი „ესკიმო“ ტკბილად იგემეს.
ჟორჟეტა მოჰყვა თავგადასავალს
და საუბრითაც გული იჯერეს.

ჟაკის „დაღუპვა“ რომ ამცნეს, თურმე,
„ცხრამეტი წელი ელოდა“ საქმროს!...
მერე მშობელთა ნებით გათხოვდა!
(არ ჩაიდენდა ამას ის სხვა დროს)!...

ბოროტმოქმედი ჯეკ ლანკასტერი
არ ისვენებდა, თურმე, შიშს გვრიდა!
შური იძია – ქმარი მოუკლა,
მერე ჟორჟეტა ტურისტს მიჰყიდა...

მოკლედ გიამბეთ, თორემ ჟორჟეტამ,
რაც თავს გადახდა, სულ გაიხსენა.
ახლა კი, ბედით კვლავ კმაყოფილმა,
გულს შვება იგრძნო და დაისვენა.

გაისეირნეს პარკში, „მზიურში“,
კონცერტს მართავდა ბავშვების ბენდი
(ნოდარ დუმბაძის[3] ოცნება იყო,
აქ ყოფილიყო „დისნეი ლენდი“[4])...

ბაღნართა შორის ბოტანიკური
აღმოჩნდა, მართლა, რამ სანუკვარი.
ისე გაუტკბათ იქაურობა,
თითქოს მიართვეს რაღაც ნუგბარი.

თავი ეგონათ არა თბილისში,
არა შუაგულ იბერიაში,
ასეთი ფლორა უნახავთ მხოლოდ
გვინეასა და ნიგერიაში.

განმარტება

1. სტროფი მ. სალუქვაძის წიგნიდან.

2. ლახვარი – გრძელტარიანი ბასრწვერიანი საომარი იარაღი.

3. XX ს.-ის ქართველი მწერალი.

4. დისნეი ლენდი – დისნეის ქვეყანა – უოლტ დისნეის მიერ დაარსებული სრულყოფილი პარკი ანაჰეიმში, ამერიკაში.

პარკი „მზიური“

თბილისის ბოტანიკური ბაღი

თბილისის ბოტანიკური ბაღი



თბილისის ბოტანიკური ბაღი

თბილისისა და შავი ზღვის პირას,
ბოტანიკური ბაღის სივრცეში,
ქართული სახის მხარდახარ ხარობს
ეგზოტიკური ფლორის ჯიშები,

ცაცხვის, მუხის და ნეკერჩხლის გვერდით
თავს იწონებენ პაულოვნები,
პიონები და მაზუსები,
სურნელოვანი მაგნოლიები,

ავათისი და დაკრიდიუმი,
ფიჭვი ისეთი, რომ ვაოცდები,
დაფნა და პალმა, წაბლისებურნი,
ხისებრი გვიმრა და პარკოსნები.

ჩამოივაკეს. ფოლკლორის სახლში[1]
კონცერტს მართავდნენ „ჩვენებურები“ —
თურქეთიდან და საბერძნეთიდან
და ევროპიდან ჩამოსულები,

მტრის ძალადობით გადასახლებულ
მამა-პაპათა შვილთაშვილები,
ან ოჯახების შემოსავლისთვის
მოსაპოვებლად ვზააშლილები...

ცრემლიან თვალით და მღელვარე ხმით
მამულს უძღვნიდნენ სიმღერებს, ლექსებს
(ალბათ, ამანაც გადაგვარჩინა,
ოდითგანვე რომ არ გკარგავთ ფესვებს!).

ჩვენებურებს რომ დაემშვიდობნენ,
კინო-თეატრის ანონსს გაეცნენ,
ფილარმონიის დიდ ვრცელ დარბაზში
„ერისიონის“[2] კონცერტს დაესწრნენ.

ჟაკი იცნობდა ზოგ ქართულ ცეკვას,
თვითონაც ბევრჯერ გაუსვამს ფეხი,
მაგრამ სცენაზე ნანახი ჰვავდა,
მოწმენდილ ცაზე გავარდნას მეხის!...

გახურდა დოლი, აჰყვა ფანდური,
სულს ჩაწვდა ნაზი ხმა, სალამურის
(რაღას მოისმენს უკეთესს ყური,
ან რას დააკლებს რაიმე შური!),

წვრილი წელით და განიერ ბეჭით,
წითელ ჩოხაში გამოჩარხული[3]
ვაჟი სრიალით მიდის ასულთან,
ისიც მიჰყვება წელგამართული.

განმარტება

1. ფოლკლორის სახლი – სახლი, სადაც იკრიბებიან ფოლკლორის, ანუ ხალხური შემოქმედების მოყვარულები, იმართება კონცერტები.

2. „ერისიონი“ –ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი.

3. გამოჩარხული – აქ: კოხტად მოყვანილი, გამოქან-დაკებული.

ფილარმონია

ცეკვა „სამაია“

ანსამბლი „ერისიონი“

პატარა მედოლეები

ტანკენარი[1] და თვალებვარსკვლავა,
მარმარილოსებრ გამონაკვთული
გოგონა ნაზად მიცურავს მისკენ...
სული თრთოლდება ცეკვა ქართულით!..

ესაა ნიჭი, უფლის ხელქმნილი,
ქართული ფესვის თანახვედრილი,
უცხო ტომთაგან მუდამ დევნილი,
„ქართული გენი, როკვით განფენილი!...“[2]

შავჩოხიანთა გუნდმა „მხედრულით“
„აგელვა ცხენი“, მზით დარახტული[3]
ცრემლს გვგვრის ფიცხელი სცენა „ხანჯლურის“...
და „სამაია“ — ფრესკად ხატული...

ულამაზესი როკვა „ოსური“
და სახალისო ცეკვა „რაჭული“...
იალბუზივით ბრძენი „სვანური“...
ალაზანივით დინჯი „კახური“...

„ვანდავანა“ და ნაზი „ნარნარი“...
„ქალაქური“ და ძმური „ფერხული“...
მუშტად შეკრული გუნდის „ხორუმი“...
ვარდნა მუხლებზე, დგომა ცერულით...

ცეკვავდნენ ლაღად, იბერ-კოლხურად,
სხვადასხვა კუთხის კაბით მორთულნი...
არა, არ იყო ეს წარმოდგენა,
ეს გახლდათ გენის ზეიმი, სრული!

დასრულდა ცეკვა. ხალხი კი დიდხანს
არ იშლებოდა და ქუხდა ტაში!...
ბოლოს მთელ ანსამბლს დაემშვიდობნენ
და კმაყოფილნი დაბრუნდნენ სახლში.

—თქვენ არ გეგონოთ, ჩემო ჩიტებო,
რომ ფოლკლორში ვართ მხოლოდ მაგარი.
ჩვენი, ქართველი, პრიმადონები,[4]
ხელოვანები სადღა არ არი?!..

—მერაგბეები? — იკითხა ჟაკმა
და ჟორჟეტს ფრთხილად ფრთა გაჭრა ფრთაზე.
—ჰო, რა თქმა უნდა, მერაგბეებიც...
ავთომ ორივე შეისვა მხარზე.

თუთიყუშებმა ერთხმად შესძახეს:
– ახლა საითკენ მივდივართ, ავთო?
– ბავშვთა სასახლის ბატონ-პატრონი
გოგო-ბიჭები მინდა, რომ ვნახოთ.

განმარტება

1. **ტანკენარი** – ტანწერწეტა, თხელი, ლამაზი ტანის.

2. **„ქართული გენი, როკვით განფენილი“** – გრიგოლ რობაქიძემ, წერილი დაწერა ამ ფრაზით, როცა გასტროლებზე მყოფი სუხიშვილების ანსამბლის მიერ შესრულებული ქართული ცეკვები იხილა.

3. **დარახტული** – ოქრო-ვერცხლით მორთული.

4. **პრიმა** – (ლათ.) პრიმა-ბალერინა; პრიმა მომღერალი – პირველი, საუკეთესო, მთავარი როლის შემსრულებელი.

ცეკვა „ქართული“

პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი

ცეკვა „ოსური“

ცეკვა „ნარნარი“

მთელი სასახლე სიცოცხლით დუღდა,
ბავშვებიც მისით, ჩანდა, ხარობდნენ,
მათთვის სასურველ ოთახებისკენ
გაღიმებულნი მიიჩქაროდნენ:

ზოგი — მხატვრული კითხვის სასწავლად,
ზოგი — სიმღერის, ცეკვის, ჭადრაკის,
ქარგვის, ხატვის და კინოსაქმისა,
კონსტრუქტორისა... და სხვა ათასის.

ჩიტებს და ბავშვებს, ხომ კარგად იცით,
ერთმანეთისთვის რომ უცემთ გული,
ჭყივილით შეხვდნენ ერთიმეორეს
და სიხარული შეიგრძნეს სრული.

ეფერებოდნენ, გულში იკრავდნენ
და მათთან ერთად კლასში გარბოდნენ.
თუთიყუშებიც სიამოვნებით
ყველგან სტუმრობდნენ და არ ჩქარობდნენ.

ავთანდილსა და იმის მეგობრებს
ბავშვებთან ყოფნა ხალისს მატებდა,
გადაღლილობას ავიწყებდა და
სიცოცხლის ახალ ძალას აძლევდა.

გაცელქებული თუთუყუშები
მათს თანამგზავრთან მივიდნენ მაშინ,
როცა მიიხმო პლაკატთან[1] მდგომმა,
თან სიამაყეც ჩაწნოდა ხმაში.

ავთომ ორივეს ასე აუხსნა.
– ეს არის ჩვენი სრული ანბანი:
ეს არის „ანი“, ეს არის „ბანი“...
ჩვენი მიწა და ჩვენი ცარგვალი!...

ხუთ ათასამდე ენათა შორის
მხოლოდ თოთხმეტს აქვს თვისი ანბანი.
ერთი მათგანი ქართული გახლავთ,
ბევრი არაა ჩვენი ბადალი!

ქრისტეშობამდე მეოთხასე წელს
ფარნავაზ მეფემ[2] შექმნა ანბანი.
რასაც ვკითხულობთ, იმასავე ვწერთ,
ვერაფერს აკლებს მას დრო და ხანი...

განვითარების სამი შრე განვლო:
მრგლოვანი ანუ ასომთავრული,[3]
ნუსხური,[4] ივივ, ნუსხა–ხუცური,
მხედრული,[5] ჩვენი ენის ფარღული[6].

— აქ სამივეთი წერია, ავთო?
— კი! ეკლესია იმ ორს იყენებს.
რა ლამაზია ყოველი ასო!
მოდით, შეხედეთ, ახლოს გიჩვენებთ.

ჟაკოებს კიდევ თქმა არც დასჭირდათ
(ვერ იპოვიდით უფრო თანამგრძნობთ,
ყურად და თვალად იყვნენ ქცეულნი),
აღტაცებულმა ავთომ განაგრძო:

—ეს ჩვენი ენა, ზოსიმეს[7] აზრით,
„მეორედ მოსვლის“ დღემდე მარხული,
როგორც ლაზარე,[8] აღდგება, მიტომ,
სხვა რომ ამხილოს ღმერთმა ქართულით.

—ახლა, —თქვა ავთომ, —შევიდეთ დარბაზს
(აღსავსეს ჰანგთა ამო ბგერებით),
პირველად ნაბეჭდ „ვეფხისტყაოსნის“
გამოჩენის დღეს მივეფერებით.

სამასზე მეტი წლის წინ ხელმწიფემ
თბილისში სტამბა გაახსნევინა,
ქრისტიანული, საღვთო წიგნები,
ქართულ ენაზე დააბეჭდვინა.

—მანამდე ქართველთ სტამბა არ ჰქონდათ?
—ჰო, წიგნი ხელით იწერებოდა
ცხვრის ან ხბოს ტყავზე, მერე — ქაღალდზე,
კალმით და ყალმით იხატებოდა.

განმარტება

1. **პლაკატი(გერ.)** – სარეკლამო ნახატი.
2. **ფარნავაზ მეფე** – I მეფე იბერიაში, სახელმწიფო ენად დაამკვიდრა ქართული, მან შექმნა ქართული ანბანი.
3. **ასომთავრული** – ძირითადად გამოიყენებოდა X ს–მდე. ახლა – იშვიათად.
4. **ნუსხური** – IX ს–დან დღემდე (ეკლესიაში).
5. **მხედრული** – X ს–დან დღეის ჩათვლით. საყოველთაო.
6. **ფარღული** – მარგალიტის ყელსაბამი.
7. **იოანე ზოსიმე** – X ს–ის ქართველი სასულიერო მწერალი, ჰიმნოგრაფი (ანუ საგალობლების ავტორი), მთარგმნელი. საყურადღებოა მისი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.
8. **ლაზარე** – მეგობარი, რომელიც ქრისტემ გააცოცხლა, მკვდრეთით აღადგინა.

ეტრატი, ცხვრის ან ხბოს დამუშავებული ტყავისა, რომელზეც ხელით წერდნენ

სწორედ იმ პირველ ქართულ სტამბაში[1]
სრულ ათას შვიდას მეთორმეტე წელს
დაბეჭდეს შოთა რუსთველის წიგნი
(არ ჩამორჩება დონით დღევანდელს).

ვახტანგ მეექვსის რედაქციით და
ასევე მისი კომენტარებით,
ლამაზი შრიფტით,[2] მოხატულობით,
გრავიურებით,[3] შეუდარებლით.

ასე, საუბრით, შევიდნენ დარბაზს,
(ჩანდა, მსურველი ვერ ეტეოდა),
შოთას გენიას ეტრფოდა ყველა,
„ვეფხისტყაოსნის“ სული ზეობდა.

ჰყვებოდნენ, როგორ გვასწავლის შოთა
უკეთურების გასაქრობ წამალს,
რომ სიყვარული დაგვაძლევინებს
სასუფევლისკენ მიმავალ სავალს.

ავთომ, ნომერში როცა დაბრუნდნენ,
სათქმელს ხუმრობა გამოურია:
– დეგემშვიდობოთ ახლა ჩვენს თბილისს,
თვარა, გაგვხიშტავს, ძამა, გურია!

თუთიყუშებმა წაიღიღინეს:
–თბილისო, ჩვენო დედაქალაქო...
ცრემლი მოაწვა თვალებში ჟაკს და
დასევდიანდა ჟორჟეტა, ჟაკოც.

–ასე, თქვენსავით, აქებდნენ თბილისს:
პოლო,[4] დიუმა,[5] ლამბერტი,[6] მაჯო[7]...
ყველას ჩამოთვლას ვერაფრით შევძლებ,
თან ბაქიობით არვინ განმსაჯოს.

– არა, რას ამბობ?! – ახტა ჟორჟეტა,
– მეც მაგას ვიტყვი! – იჭყივლა ჟაკმა, –
შენ ხომ არ მალავ სამშობლოს ნაკლსაც,
საქებარი კი თვითონ თქვა ფაქტმა.

გათენდა. სევდით ტოვებდნენ ქალაქს,
ყოველ ქუჩაზე, თითქოს, გულს დებდნენ,
მაგრამ სჯეროდათ, რომ მომავალში
თბილისს მრავალჯერ ესტუმრებოდნენ...

აეროპორტის ვრცელი დარბაზი
ჭიანჭველების სახლს წაგავდა:
ვინ შედიოდა, გამოდიოდა,
ნაცნობს ხვდებოდა, გეგმებს სახავდა...

განმარტება

1. სტამბა თბილისში – გახსნა მეფე ვახტანგ VI-მ.

2. შრიფტი – (გერმ.) ასოების გრაფიკული ფორმა.

3. გრავიურა – (ფრ.) ლითონზე, ხეზე, ქვაზე, მინაზე ამოკვეთილი ან ამოჭრილი ნახატი. ასეთი ნახატის ანაბეჭდი ქაღალდზე.

4. პოლო – მარკო (1254–1324) იტალიელი მოგზაური და მწერალი.

5. დიუმა – ალექსანდრე (მამა), მწერალი. საქ-ში იმოგზაურა 1852–54 წ.

6. ლამბერტი – არქანჯელო; იტალიელი მისიონერი. კათოლიკობის საქადაგებლად იმოგზაურა საქართველოში.

7. მაჯო – ფრანცისკო მარია (1612–1686) საქართველოში 8 წელი გაატარა. ლათინურად დაწერა ქართული დიალექტების კრებული და ლექსიკონი.

ქართული ანბანი და ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები

* * *

ვერტმფრენი ნელა აიჭრა ცაში
და დათქმულ დროზე ჩავიდნენ ფოთში,
ზღვის სიახლოვე მძაფრად შეიგრძნეს
და კოლხიდელებს გაეცნენ პორტში.

მერე ცოტა ხნით სკვერში ჩამოსხდნენ.
– ჟაკ! – ავთომ ჩანთა გვერდით დაიდო.–
გახსოვს, რაჭაში რასაც შეგპირდი,
ახლა დრო არის თხრობა დავიწყო:

—იქ, სადაც შავ ზღვას ერთვის რიონი,
ქრისტეშობამდე იყო ფასისი –
მნიშვნელოვანი ნავსადგური და
ერთა კავშირის მტკიცე ბაზისი.

ფასისში იყო, ყველგან განთქმული,
კოლხელ რიტორთა აკადემია,
იმავე დონის, როგორც იყალთო,
გელათი, გრემი – ცოდნის მფენია.

ფასისში ხშირად შემოდიოდნენ
რომაელები, სპარსნი, არაბნი,
ბიზანტიელნი, თურქნი და სკვითნი,
მოისწრაფოდნენ კოლხეთს, მარადის.

მათ იზიდავდათ მდიდარი მიწა,
ძვირფასი ხე–ტყე, ფრინველ–ნადირი,
სელი,[1] ფისი[2] და ვერცხლეული,
ოქრო – ნიაღვრით ჩამოტანილი.

იცოდნენ, ოქროს აქ აგროვებდნენ
საცერითა და ბეწვის ტყავებით.
ამ სიმდიდრისათვის გვეპარებოდნენ,
როგორც ნადავლზე ხარბი სვავები.

იაზონი და მისი მხლებლები
იყვნენ მსურველნი სწორედ ამისა,
რომ გაეტაცათ ოქროს საწმისი,[3]
სიმბოლო კოლხთა მიწის ძალისა!

– ავთო, ვინ არის ამის მთხრობელი?
– როდოსელი[4] და ბრძენი სტრაბონი[5]
(და ვერ ჩამოვთვლი, კიდევ რამდენი),
ისტორიული ცოდნით სანდონი.

– ეს იაზონი ვინ იყო, ავთო,
ან ეს საწმისი რისთვის მოუნდა? –
ჰკითხა ჟორჟეტამ, ჟაკს მიუსკუპდა,
–ასე შორს მოსვლას ახსნა ხომ უნდა?

განმარტება

1. სელი – მცენარისაგან დამზადებული ქსოვილი.

2. ფისი – დამახასიათებელი სუნის მქონე წებოვანი წვენი, რომელსაც გამოყოფენ წიწვოვანი მცენარეები.

3. ოქროს საწმისი – ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ოქროსმატყლიანი ვერძი, რომელმაც ელადას მეფის ქალ–ვაჟი, ჰელე და ფრიქსე, ავ დედინაცვალს განარიდა და კოლხეთში გადახვეწა.

4. როდოსელი – აპოლონიოს. ანტიკური ხანის ავტორი.

5. სტრაბონი – (ძვ.წ.აღ 64 – ახ.წ.აღ 23 წ.) ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი, წარმოშობით პონტოელი. საკუთარ წიგნში აღწერა საქართველო, მისი ქალაქები, დაბები, გზები, მოსახლეობა, ყოფა–ცხოვრების წესები.

ოქროს საწმისი

ხომალდი „არგო“

– მითის თანახმად, ელადის მეფის
ქალი და ვაჟი – ფრიქსე და ჰელე,
ოქროსმატყლიან ვერძზე შემსხდარნი,
დედინაცვლისგან ეძებდნენ მშველელს.

სრუტის თავს ზემოთ გადაფრენისას
ვეღარ აჯობეს გულბოროტ მდევნელს –
გოგონა უცბად წყალში ჩავარდა
(სრუტეს მას შემდეგ უწოდეს „ჰელე.“)[1]...

ვერძი და ფრიქსე შავი ზღვის პირას
დაეშვნენ მდიდარ აიას[2] მხარეს.
დამწუხრებულმა ვაჟმა შეიტყო,
კოლხეთი იყო ეს არემარე.

აიეტმა[3] კი, ეს რომ გაიგო,
ქუთაიაში[4] მიაყვანინა,
ქალკიოპეზე[5] დააქორწინა
და სასახლეში დაუდო ბინა.

ხოლო ოქროთი მოსილი ცხვარი
სალოცავ ღმერთებს მსხვერპლად შესწირა,
ბეწვი და ტყავი ხეზე დაჭიდა
და გველეშაპი დაუსვა წინა.

თესალიაში[6] მეფე ჰელიამ
ძმისწულ იასონს ტახტზე ასვლისთვის
მოსთხოვა კოლხეთს რომ წასულიყო,
ჩამოეტანა ოქროს საწმისი.

ამ სახიფათო მგზავრობისათვის
ააგეს მკვრივი ხომალდი, „არგო“
და იაზონმაც მალ შეაგროვა
ვაჟკაცნი, გმირნი და მისთვის სანდო.

– ეს სიმართლეა?! – ახტნენ ჩიტები.
– როგორც გითხარით, ეს არის მითი.
ისე, რომ სურდათ კოლხთა სიმდიდრე,
ისტორიული ფაქტებით ვიცით.

– მერე, გვიამბე, რა მოხდა, ავთო?!
– არგონავტები ფასისს მიადგნენ,
მდინარის ტალღებს გემით გაუყვნენ...
მეფის სასახლის წინ როცა დადგნენ,

ციხეს, გალავანს, ფართო კარიბჭეს,
თეთრი სასახლის ვაზის ჩუქურთმებს,
ჩამოქნილ სვეტებს, ულამაზეს კოშკს,
აღტაცებით და შურით უყურეს...

ხედავდნენ, როგორ ჩქეფდა უშრეტად
რძის, ღვინის, ზეთის, სასმელი წყარო–
ღამით თბილი და დილით ცივ–ცივი
(ვისაც რომელი უნდა, მით ხარობს).

აიეტს, ოქროს ცხვრის ტყავის გარდა,
ჰყავდა ხარები, ცეცხლისმფრქვეველნი,
რვალის გუთანი,[7] ურჩხულთა ჯარი,
არავინ იყო მისი მძლეველი.

როგორ გგონიათ, ბერძნებისათვის
დათმობდა მეფე ოქროს საწმისსა
(ის ხომ სიმბოლო გახდათ ქვეყნისა!)?!
და ამიტომაც ძლიერ განრისხდა.

საწმისს ხელმწიფე მას გადასცემდა,
ვინც იმ ხარებით მიწას დახნავდა,
ურჩხულების ჯარს მუსრს გაავლებდა,
გველეშაპს გულში ისარს დაჭრავდა!

მოკვდავთა შორის ამ დავალებებს
ვერვინ დაძლევდა, ვერვინ, ვინც ვინდა!
მხოლოდ ძლიერი წამლების ძალა
და ჯადოქრობა თუ დაიხსნიდა.

მეფის ასული მედეა გახლდათ
ბრძენი, მისანი[8] და დასტაქარი.[9]
იმან იცოდა წამლების შექმნა;
მას განუკურნავს კაცი თუ ქალი.

განმარტება

1. **ჰელესპონტი** – დარდანელის სრუტე (ჰელე ჩავარდა და იქ დაიხრჩო).
2. **აია** – კოლხეთის სამეფოსა და მისი დედაქალაქის სახელწოდება. ანტიკური ხანის ავტორების (ჰეროდოტე, აპოლონიოს როდოსელი) მიხედვით.
3. **აიეტი** – კოლხეთის მეფე, მედეას მამა.
4. **ქუთაია** – ძველად ქუთაისი.
5. **ქალკიოპე** – აიეტის ქალიშვილი, მედეას უფროსი და.
6. **თესალია** – ისტ. საბერძნეთში ეგეოსის ზღვის სანაპირო ოლქი.
7. **გუთანი** – ძველებური მიწის სახნავი. მჭრელი პირით ითხრებოდა მიწა. სახნისის ღერძი გამობმული იყო ცხენზე, ხარზე, ან ვირზე.
8. **მისანი** – მკითხავი.
9. **დასტაქარი** – (ძვ.) ქირურგი, ექიმი.

კოლხი მედეას ქანდაკება

ამბობენ, იყო ერთგული ფიცის,
ჰიპოკრატესი[1], წამლობის მცოდნის
(დღეს ყველამ იცის, რომ „მედიცინა“
სახელ „მედეას“ ძირიდან მოდის)...

გამოიყენა ჰერამ[2] ეროსი[3],
ისრის მტყორცნელი ყმაწვილი, ჩქარი.
ჩვენი მედეა, სხვათა მკურნალი,
დააავადა ტრფობის ხანძარით.

მამა, საწმისი, მთელი სასახლე
და ყველაფერი, რაც კი იქ არი,
გადაავიწყა მას იაზონმა,
გრძნობა შეჰყარეს რაღაც იმგვარი!...

მზაკვრული გეგმით მოტყუებული,
ეროსის ისრის ძალით ტყვედქმნილი
მედეას მიერ დამზადებულმა
წამალმა ბერძენთ ძალა შესძინა.

ოქროს საწმისი და თვით მედეა
ოლიმპელებმა ბერძნებს არგუნეს...
ერთ დროს ძლიერი, კოლხთა სამეფო,
აია, ასე გაანადგურეს!...

არც ეს იკმარეს იმ ყაჩაღებმა,
მართალ მედეას ცილი დასწამეს,
შვილები ჩუმად დაუხოცეს და
მათი მკვლელობა მას დააბრალეს!...

რომ დაემალათ დანაშაული,
დედის ღირსება ასე შელახეს
და მწერლის ხელით,[4] ბილწი ვერსია
მომავალს ურცხვად შემოუნახეს!...

– ვაი, როგორი დასანანია!... –
დამწუხრდნენ ჟაკი და მის ჟორჟეტა.
– მერე, რაც მოხდა, სხვა დროს ვიამბობთ,
ქალაქში მიდის ჩვენი „კორტეჟი“,[5] –

მხიარულად თქვა ავთანდილმა და
თავი დაუკრა ფოთელთა ღიმილს.
ახალ დღეს შლიდა წუთისოფელი,
ზღვაური[6] ქროდა ფასისის დილის.

ყოველ ნაბიჯზე ატკბობდა სმენას
მეგრულ-იმერულ-გურული კილო.
მათი ერთობით იხატებოდა
ულამაზესი კოლხეთის ტილო.

ჩარაზულ კარებს ფართოდ აღებდნენ;
ბავშვები სკოლის გზისკენ გარბოდნენ;
მებადურები ბადეებს შლიდნენ;
გემები ზვირთებს მძლავრად აპობდნენ;

დედებს შვილები ბაღში მიჰყავდათ;
მაღაზიები მყიდველს ელოდნენ;
იქით ბარგიან მოხუცს შველოდნენ,
აქეთ სიცოცხლეს ჰიმნს უმღეროდნენ...

ფუსფუსებდა და დუღდა ქალაქი;
ვიდი აწმყოს და წარსულს ჰყვებოდა;
დაუვიწყარი იყო ფასისი...
ფოთი უკეთესს მერმისს ელოდა;

* * *

ფოთი დატოვეს. მიუახლოვდნენ
ვურიის დაბლობს, მდებარეს ტბასთან
(ექვსას კვადრატულ კილომეტრ ფართობ
პალიასტომთან). მივიდნენ მასთან.

განმარტება

1. ჰიპოკრატე – ძვ. ბერძნული მითოლოგიით, მკურნალობის მფარველი ღვთაება, რომელსაც მედიცინის მუშაკები პროფე-სიული ერთგულების ფიცს აძლევდნენ. გამოთქმა „ჰიპოკრატეს ფიცი“ ახლაც მიღებულია.

2. ჰერა – ძვ. ბერძნ. მითოლოგიაში ოლიმპოს უფროსი ღმერთის, ზევსის, მეუღლე.

3. ეროსი – სიყვარულის ღმერთი, მშვილდოსანი ბიჭის სახ-ით. ამური.

4. ოვულისხმება ევრიპიდეს ტრაგედია — „მედეა“.

5. კორტეჟი – (ფრ.) საზეიმო სვლა, პროცესია.

6. ზღვაური – ზღვის მხრიდან მონაბერი ქარი.

ფოთი



პალიასტომის ტბა

– წინათ ტბის ირგვლივ ხშირი ტყე იყო,
მაგრამ მპყრობლებმა დატოვეს კვალი:
გაჩეხეს, დაწვეს, დაანახშირეს...
მას შემდეგ გახდა ძნელად საგალი.

კაპარჭინა და უხვი რიონი
ნაპირებიდან ხშირად გადმოდის,
წყლის დაგროვებით გაჩნდა ჭაობი,
რაც პრობლემაა ყველა თაობის.

დაწრეტილ მიწას ზოგან ამშვენებს
ჩაის, ციტრუსის პლანტაციები.
სახლობს ოჯახი, ძოვს საქონელი,
ყვავის გვირილა, ვარდი, იები.

ტბა დღეს იზიდავს ყველა იმ სტუმარს,
ვისაც კოლხეთი სურს რომ იხილოს.
მშრალი ბილიკი მიიყვანს მასთან,
აღარ მოუწევს, ჭანჭრობი[1] ზილოს.

ავთო და მისი თანამგზავრები
შეხვდნენ ტურისტებს, უცხოსახიანს,
ერთურთს გაეცნენ და მიაშურეს
საექსკურსიო ნავს, ჩარდახიანს[2].

პატარა გემი აპობდა ტალღებს...
პალიასტომი ზღვისებრ ღელავდა,
ცელქი ნიავი უწეწდა ქოჩორს,
ტბის ზედაპირი მზეზე ელავდა...

გიდიც იქ, გემის კიჩოზე[3], იჯდა
და ისტორიას დინჯად ჰყვებოდა...
წყალზე მცურავი ყველა ფრინველი
შეშინებული სწრაფად ქრებოდა...

მოუსვენარი სხვადასხვა თევზი
წყლის ზედაპირზე მარდად ხტებოდა,
მფრთხალი ნუტრია[4] ლაქაშიანში[5]
ძვრებოდა, ხანაც გამოჩნდებოდა...

კვიპაროსები ნაპირებიდან
წიწვების რხევით ესალმებოდნენ,
თხმელის[6] ტოტებზე მსხდარი შაშვები
ჭახჭახს იწყებდნენ, უცბად ფრთხებოდნენ.

მათრობელა სუნს უხვად აფრქვევდა
ყვავილი მარადმწვანე იელის[7].
ჭაობის ბამბის ძირში ბუ იჯდა,
დაღამებამდე მუდამ მშიერი...

ძეწნის ტოტები იშლიდნენ დალალს.
სკვინჩები ერთხმად უძღვნიდნენ სალამს.
ულამაზესი იყო გარემო,
თითქოს დავინჩი[8] ავლებდა ყალამს.[9]

გამობრუნებულთ გზაზე ხვდებოდათ
გურული სოფლის კოხტა ოდები,
ამწვანებული ეზო–გარემო,
ადესა – ხეზე ანატოტები.

ავთომ მეგობრებს ხელი მოხვია:
– კი ამისრულდა ოცნება ჩქარა!
აჰა, შევდივარ ჩემს გურიაში,
სულმა დამტია, წინ გეიპარა![10]

–ავთო, გურიას რა აქვს ასეთი?!
მასზე ოცნება ან რატომ დავაქვს?!
– ჩემი სამშობლო მთლიანად მიყვარს,
მაგრამ ეს კუთხე!... ფესვები აქ მაქვს!...

განმარტება

1. **ჭანჭრობი** – ჭაობი.

2. **ჩარდახი** – (ძვ.) მზისა და წვიმისაგან დასაცავად ტილოთი ან ბრეზენტით გადმოხურული ურემი, ეტლი ან ადგილი.

3. **კიჩო** – გემის, თვითმფრინავის უკანა ნაწილი.

4. **ნუტრია** – ძუძუმწოვარა პატარა ცხოველი, აქვს ძვირფასი ბეწვი.

5. **ლაქაში** – წყლისპირა მცენარე.

6. **თხმელა** – მურყანი. არყისებრთა ოჯახის მცენარე.

7. **იელი** – ბუჩქი, 2 მეტრს აღწევს, აქვს სურნელოვანი დიდი, წინწკლებიანი ყვითელი ან ნარინჯისფერი ყვავილები.

8. **ლეონარდო დავინჩი** – იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე.

9. **ყალამი** – მხატვრის წვრილწვეტიანი ფუნჯი.

10. **„მივალ გურიაში, მარა სულმა წინწინ გეიპარა“** — გურული, ფოლკლორული სიმღერა.

გურული ეზო და ოდა

ბათუმში ვცხოვრობ, სარფში ვასწავლი.
ჩიტუნიებო, საქმე მასშია,
ჩემი დედ-მამის სახლი კოლხეთში,
სადგურ ჯუმათში, ნიგვზიანშია.

– ერთ სოფელს ჰქვია ორი სახელი?!
– ჟაკ, ოზურგეთში გახლავს ჯუმათი,
ხუროთმოძღვრების უძველეს ძეგლით,
სადაც სახლობდნენ ბერნი, სულმნათნი.

თბილის-ბათუმის რკინიგზის ხაზზე,
ნიგვზიანელთა მომცრო ვაგზალი,
იხსენიება, როგორც ჯუმათი –
ბერებს აქედან ჰქონდათ სავალი.

გზას კრიმანჭულით მიუყვებოდნენ...
და პეიზაჟის ცქერით ლაღობდნენ,
ჩაის ბუჩქებზე მსხდარი სკვინჩები
მოლაღურებთან ერთად გალობდნენ...

აისის სხივი ეფინებოდა
სოჭებს და ნაძვებს, თელებს და ალვებს,
დაფნებს, ბზებსა და ევკალიპტებს,
ციტრუსის ბაღებს და ტუნგის[1] ჭალებს,

წყავსა[2] და შქერებს, მდინარის ჩქერებს,
თხმელაზე შეზრდილ უტკბეს ადესას,
მსხალსა და ვაშლებს, ბალსა და ლეღვებს
და, ვინ ჩამოთვლის, კიდევ რამდენსა?!

– საქართველოა ჩაის სამშობლო?
– არა, ჟაკუნა, ჩინეთი ვახლავს.
მე მგონი, „ტცაი“ ჩინურად ნიშნავს,
„ნორჩ ფოთოლს“, ლორთქოს, ნაზსა და ახალს.

ამ სასარგებლო სასმელის გემო
ას სამოცდაექვსი წლის წინ გავიგეთ.
კოლხეთის მიწას მივაბარეთ და
ჯადოსნურ ფოთლის კრეფა დავიწყეთ.

ასე, ტკბილი და ნელი საუბრით,
მანქანა სოფლის გულში შევიდა.
ბავშვები ირგვლივ შემოეხვივნენ:
– დიდუ![3] შეხედეთ, ე, ვინ მევიდა?!

ჩიტებს და ბავშვებს, რამდენჯერ მითქვამს,
ერთიმეორე ძალიან უყვართ,
ნაცნობებივით შეხვდნენ ერთმანეთს.
მერე მიადგნენ ერთ ეზოს გუნდად,

გამოეგებათ ავთოს ბებია:
-რაფერ იმგზავრეთ?! რავა ხართ, ნენა?!
ავთანდილი რომ ჩაიკრა გულში,
მერე ჩიტებსაც დაუწყო ხვევნა!

ავთო რძალსა და ძმას მოეფერა
და მოუჩლიქა ძმისშვილებს ენა,
იმათაც ისე გაუხარდათ, რომ
ასკინკილათი დაიწყეს რბენა.

ასე მხიარულ სიცილ-ხარხარით
მწვანე ეზოში შევიდა ყველა.
ჟაკოებს გვერდით არ შორდებოდნენ
ბელა, ნიკუშა, ანა და გელა.

—ფირალებივით ნუ გამირბიხართ!
ბაღნებო, ჩიტებს აცალეთ ფრენა!
წამოით ჩემთან, მე მომეხმარეთ,
ახლა მჭირდება ხელის შეშველა.

განმარტება

1. **ტუნგი** – ხე, შხამიანია. მისი ნაყოფისა და თესლისაგან მიღებულ ზეთს იყენებენ საღებავების დასამზადებლად.

2. **წყავი** – მარცვლოვანი (შავი ან წითელი) ხილის ხე.

3. **დიდუ!** – გურული დიალექტი. გაკვირვებისა და აღტაცების, ან წუხილის გამოსახატავი შეძახილი.

ჯუმათის მონასტერი

ჩაის პლანტაცია

–„ფირალი“ რაა? გვითხარი, ავთო!–
უკვირდათ ჩიტებს სიტყვა გულწრფელად
(თანაც გურია უკვე მოსწონდათ,
თავს იქაურად თვლიდნენ უთქმელად.).

–„ყაჩაღს“ აღნიშნავს, ხალხისთვის კეთილს.
აქ ბატონყმობა რომ იყო ძველად,
არ ეყმობოდა ბატონს ბევრი და
ტყეში გარბოდა თავის საშველად.

ბავშვები ბებოს მიეხმარნენ და
იქ, სადაც ცაცხვი ნიავზე ღელავს,
სუფრა გაშალეს ქვის მაგიდაზე –
საჭმელ–სასმელით აავსეს ხელად.

ბებიას ხელით გამომცხვარ მჭადებს,
ნიგვზიან ფხალსა და იხვის საციურ
სიამოვნებით შეექცა ყველა
და დააყოლეს ნაყენი ქაცვის.

ჩიტები–ბავშვებს, ბავშვები–ჩიტებს
ჟივილ–ხივილით კუდში დასდევდნენ,
ეფინებოდა ზურმუხტ–ბალახი,
იასამნები სურნელს აფრქვევდნენ.

ცის კაბადონზე მზე დიდდებოდა,
ღრუბლის ნაფლეთი ციდან ქრებოდა...
ბეღურა მტვერში იქექებოდა...
და მოაჯირზე კატა თბებოდა...

მავთულხლართებით შემოღობილში
ფრთხილი ქათმები სიმინდს კენკავდნენ,
ინდაურები იფხორებოდნენ,
ფრთებს ჯერ გაშლიდნენ, მერე კეცავდნენ

ჭრელი ციცრები[1] დაგოგმანებდნენ,
კისერწაწვდილი თეთრი ბატები
ბაქია მამალს დეზებში კბენდნენ,
ტანს ძლივს ათრევდნენ ზანტი კვატები.

ხლართის ბოლოში ლოქორს[2] მისდევდნენ
ულამაზესი ფერის ფრინველნი
(ბუნების მსგავსი სრულყოფილება
აღფრთოვანებას იწვევს მხილველში)!

კისერი, ზურგის წინა ნაწილი
ნარინჯისა და ოქროს ფერია,
მკვეთრად მბზინავი, თვალისმომჭრელი
მეწამულზოლი კუდზეც ერია.

–ამას კოლხური ხოხობი ჰქვია.
მსგავს სილამაზეს ვერ ნახავთ სხვაში!
დღეს ცოტა არის შემორჩენილი,
შეტანილია „წითელ ნუსხაში“.[3]

მას ფაზიანუს კოლხიკუს[4] უწოდეს,
რადგან მომხდურმა ფაზისში ნახა;
ნადავლთან ერთად გაიყვანა და
სხვა ქვეყნის მკვიდრი ამგვარად გახდა..

–არგონავტებმა! იქნებ „არგოთი“
გადაიყვანეს?! –იკითხა ჟაკომ.
–იქნებ, ნამდვილად არ ვიცი, თუთი,
ასეთს ფაქტებით ამბობენ, კარგო.

ხოხობთან ერთად იშვიათია
შურთხი, დურაჯი, როჭო, იშხვარი...[5]
უნდა მივხედოთ ფაუნის იმ განძს,
რითაც ქვეყანა გვქონდა მდიდარი.

განმარტება

1. ციცარი – ქათმისებრი შინაური ფრინველი. აქვს დაწინწკლული თეთრნაცრისფერი ბუმბული.

2. ლოქორა – ლოფორთქინა. ხმელეთის მუცელფეხიანი ფილტვიანი მოლუსკი. გარედან ნიჟარა არა აქვს.

ფირალები

3. წითელი ნუსხა – იგივე „წითელი წიგნი“, რომელშიც შეტანილია გადაშენების გზაზე მდგარი ცხოველებისა და ფრინველების სახეობები. მათზე ნადირობა აკრძალულია.

4. ფაზიანუს კოლხიკუს – კოლხური ხოხობი.

5. შურთხი, დურაჯი, როჭო, იშხვარი. – ფრინველები.



ხოხობი

ორსართულიან ოდასახლს ედგა
სამზარეულო, იქით — ბოსელი
და აბრეშუმის ჭიის ოთახი,
იქვე ოგვადო[1] – ბევრის მთხრობელი.

ოთახში ლასტებს საყრდენად ედგა
ხარაჩოების ოთხი სართული.
ჭიები მშვიდად იზლაზნებოდნენ,
თუთის ფოთლების ჭამით გართულნი.

თუთიყუშებმა ეს რომ იხილეს,
კინაღამ კუჭში ვადაუძახეს!
ბებომ მოხვია ორივეს ხელი,
შინაურებმაც არ კი დაძრახეს.

ჩიტები მეტად დაინტერესდნენ,
რაც დაინახეს, ნეტავ, რა იყო?!
ავთომ ბავშვები და ჟაკოები
ერთად დასხა და თხრობა დაიწყო:

–ქართველებს ბევრი კარგი სიტყვა გვაქვს,
მათ შორის ერთი – „გარდა–ცვალ–ება“.
ეს არის ცხადზე ცხადი ნიმუში –
არ არის კ ვ დ ო მ ა! არის ცვალება!

პეპელა კვერცხს დებს (მას გრენა ჰქვია),
კვერცხიდან მერე ჭია იშვება,
ირგვლივ პარკს იქსოვს დასაჭუპრებლად,
ჭუპრი კვლავ პეპლად გარდაიქმნება.

ცოტამ იცოდა მათზე, სანამდის,
მავანმა პარკი ფაფად აქცია,
ჯერ გააცივა, მერე გააშრო,
შემდეგ კი ძაფად ამოახვია.

ეს მოხდა ადრე, ქრისტეშობამდე,
სამი ათასი წლის წინ, ჩინეთში.
იქ მოიქსოვა აბრეშუმი და
სხვაც ჩაითრიეს მერე ბიზნესში.

ქრისტეშობამდე ას ოცდაექვს წელს
„აბრეშუმის გზა“ როცა გაიჭრა,
მთელი მსოფლიოს ქვეყნებისათვის
ექსპორტ–იმპორტის კარი გაიხსნა.

ამ გზის სავალზე ჩვენც ვართ რუკაზე:
სამარყანდა და არალ–კასპია,
მტკვარი, სურამის უღელტეხილი,
ფასისი, ფოთი, ზღვა, ბიზანტია.

–ძია ავთანდილ, როდის გაეცნენ
ქართულ აბრეშუმს და ქართველთ სახელს?
–არმაზის ხევის კვლევის თანახმად,
ქრისტეშობიდან მეორასე წელს.

ჩინურ–ინდური ქსოვილის მსგავსად,
ქართულიც გახლდათ იმდაგვარია,
სიამოვნებით იძენდნენ ყველგან
ჩვენს კრეპშიფონსა[2] და დარაიას.[2]

განმარტება

1. ოგვადო – აბრეშუმის ძაფით საქსოვი ხელის დაზვა.

2. კრეპშიფონი, დარაია – ქართული აბრეშუმისგან დამზადებული ქსოვილები.


აბრეშუმის ჭიის კვერცხი

აბრეშუმის ჭია

ჭია პარკს ახვევს

აბრეშუმის ჭიის პარკი

პარკში ჭუპრი

აბრეშუმის პეპელა

აბრეშუმის ჭიები ჩელტებზე მიირთმევენ თუთის ფოთლებს

ქართული აბრეშუმის ძაფები

მთელმა სოფელმა შეიტყო, თურმე,
დარეჯან ბებოს ავთო ეწვია.
სამუშაო დღე როცა დასრულდა,
ყველა მოვიდა, როგორც ერთია.

მონატრებული მოკითხვის შემდეგ
დიდხანს უსმენდნენ სტუმარ ჩიტუნებს.
ბავშვები ცქერით ვეღარ ძღებოდნენ
უცაცუნებდნენ ნაზად თითუნებს.

როგორც სხვა მხარეს, გურიაშიაც,
ირჩევენ ერთხმად ჭკვიან თამადას.
ასეთი იყო ავთოს ბიძია,
მამია, ჰოდა, ყველა გალაღდა.

–ჩემო სტუმრებო და მეზობლებო,
ზეციდან ღმერთი გვიკურთხებს სუფრას!
სიყვარულის და ძმობის საქებრად
ხელი შევავლოთ ვერცხლისფერ სურას.

გურულებს გვიყვარს მშვიდობა ყველგან,
მოგეხსენებათ თქვენაც თავადა,
ჰოდა, ავწიოთ პირველი თასი,
არ დავინახო, ვინმემ „გამაზა“.[1]

–ასეთები ვართ ამ კუთხის შვილნი,–
აუხსნა ავთომ ჩიტებს ხმადაბლა: –
სერიოზული თემებისათვის
იუმორს ვხმარობთ სიტყვის ქამანდად,[2]

თამადის ნათქვამს ყველა უსმენდა,
ხუმრობის გვერდით იყო კრიტიკაც.
გურულებს უყვართ სრული თანხმობა
და საკამათოდ აქვთ პოლიტიკა.

–ჟორჟეტ, ქართული სუფრა, იცოდე,
არ არის თრობა დროის საკლავად,
ეს არის სიბრძნის აკადემია,
ნაღდი ძმობის და ნდობის ბალადა! –

ასეთი დასკვნა კიდევ ერთხელაც
გამოიტანა ჟაკო ჟაკუნამ.
როს ყურძნის წვენით გაბრუებული
გამოაფხიზლა დოლის ბრაგუნმა.

ყველა ვაჟკაცი, ვისაც შეეძლო,
წამოხტა, იწყო ცეკვა „ხორუმი“...
„გაიგეს მტერი შემოპარულა,
მზერა მიაპყრეს შორეთს, ქორული,[3]

მერე სხვებს უხმეს დასახმარებლად
და საბრძოლველად შედგა კვორუმი.[4]
ჩვენებმა სძლიეს, მტერი მოისპო
და საზეიმოდ დაჭრეს „დოლური.“

–ჩვენ გავიმარჯვეთ!– შეძახილებში
ავთომ დაიწყო „ხასანბეგურა“,[5]
მამია აჰყვა კრიმანჭულით და
ჩაახუჭუჭა[6] თავისებურად.

თამადა ადგა და შესთავაზა
„სამართლის წიგნის“ სადიდებელი
და სათითაოდ ყველამ წარმოთქვა
მისი ღირსების სალხინებელი.

ჟაკმა სუფრიდან ისკუპა ცენტრში,
ჟორჟეტთან ერთად დაიწყო „ტანგო“,
ატყდა ყიჟინა, წამოხტნენ ფეხზე,
თამადამ ყანწი გვერდზე გადადო.

მესუფრეებმა ტაში შემოჰკრეს,
თანდათან აჰყვნენ ცეკვას ისინიც.
ჟაკი და ჟორჟეტ ისე გაოცდნენ,
გამოიწვიეს ყველას სიცილი.

ჟაკი მაგიდას შეახტა მარდად:
საიდან იცით სოფელში მაი?![7]
სიზმარში ვარ, თუ გურულებს შორის,
გამაგებიეთ, რაია აი?!

განმარტება

1. გამაზა – ჟარგონი: არ გაბედოს ვინმემ შეუსრულებლობა, თავი არ აარიდოს რაიმეს.

2. ქამანდი – ყულფიანი თოკი.

3. ქორული – აქ შორსმხედველობას ნიშნავს (ქორი ძალიან შორს ხედავს).

4. კვორუმი – (ლათ) მონაწილეთა აუცილებელი რაოდენობა.

5. „ხასანბეგურა“ – გურული სიმღერა.

6. ჩაახუჭუჭა – აქ: ხმა ჩაახვია, ზევით და ქვევით მიმოხარა.

7. მაი – გურ. დიალექტი – ეს, ის.

გურული სუფრა

– ჩვენ ყორიფელი ვიცით, ძამია, –
ჩიტებს მიუჯდა ძია მამია: –
„ტანგოს“ თუ „ფოქსტროტს“, „ვალსს“ და „მაზურკას“
ვიცნობთ და ვცეკვავთ დიდი ხანია.

– ამ ასი წლის წინ, – დაიწყო ბესომ, –
გურულ მხედართა ჯგუფი, რჩეული,
საასპარეზოდ ინგლისს აწვიეს,
აჩვენეს რბოლა, გადარეული!

ინგლისის დედა ვიქტორიასთვის
„Cowboy Show“[1] რომ გაუმართავთ,
მოკლედ, ვერ აღვწერ აღფრთოვანებას,
განცდას, რაც მნახველთ იქ დაემართათ!

სამშობლო ესხათ ტანზე ნაბდად და
ყაბალახები ეხვიათ სანდო;
გაჭენებული ცხენების ზურგზე
ცეკვავდნენ „ცერულს“ და მსუბუქ „ტანგოს“.

– ინგლისში დარჩნენ, მერე ისინი?
– შოუმენებმა[2] კარგად იხარეს,
სხვებთან დაუდეს ხელშეკრულება,
ამერიკაში გადაიყვანეს.

ხშირად მართავდნენ სანახაობას,
რაც მიდიოდა მუდამ ანშლაგით.[3]
მაყურებლები, გაოცებულნი,
ყვიროდნენ, სტვენდნენ გულის წასვლამდის!

–და, იქ დასახლდნენ? ამერიკაში?!
–თითქმის, ჟაკუნა. დროს ვინც გადარჩა,
ჩვენს სამშობლოში, კერას დაბრუნდა,
ზოგი იქ შექმნილ ოჯახში დარჩა...

ავთო სხვა თემას გადაწვდა უცებ:
– კარგად არ მახსოვს, მთქმელი ვინ იყო,
კავკასიონს და პირინეს შუა
პრეიბერია[4] გადაშლილიყო.

მტერთა ურიცხვმა შემოსევებმა
წაშალა ნამყო, წაართვა აწმყო,
დააკარგვინა ენა, მამული,
ერთი ქვეყანა ნაწილად გაჰყო.

იბერია – აქ, იბერია–იქ...
საოცრად მსგავსი ტოპონიმიკით,[5]
ყოფა–ცხოვრების წესით, გვარებით,
ჟესტებითა და ლაღი მიმიკით...

– გამოდის, –წრფელად ამბობდა გელა, –
ევროპელები ვყოფილვართ ძველად!
დროა, შეიგნოს ეს ფაქტი ყველამ
და დავიბრუნოთ კუთვნილი ხელად!

დარეჯანმა ბავშვს ნაზად აკოცა:
–შენ გენაცვალოს, ბებია, ნენა!
ღვთისმშობელია ჩვენი მფარველი,
მომავალს მოგვცემს მაღალი ზენა!

ჟაკო აფრინდა, ყანწი ასწია:
–მე აღარ ვიცი, რა გითხრათ, ძამა!
ეს გაუმარჯოს მთელ საქართველოს,
მიწამ დაგლოცოთ, გაკურთხოთ ცამა!

უნდა გენახათ, რა მოხდა მაშინ,
როდესაც წვეთიც არ დარჩა ყანწში:
ატყდა ყიჟინა და ცხელი ტაში,
ვერ ეტეოდა ვერავინ კანში.

დრო დადგა სუფრის დასრულებისა,
მომავალი დღე ელოდათ წინა,
დროს ტარება და ლხინი კარგია,
მაგრამ ოჯახი უხმობდათ შინა.

ლამაზი იყო გურიის ღამე...
კოლხეთის მიწის იდგა სურნელი...
ღამის ფრინველი ვალობდა ნაზად...
და იშლებოდა დროის ფურცელი...

ნათურის ირგვლივ ღამის პეპლები
თბილი სინათლის ტრფობით კვდებოდნენ,
ფარვანა, სფინქსი, მერქანჭამია
უსასრულობას უერთდებოდნენ...

– რა საცოდავი არის პეპელა,
რაღაც უბადრუკ სამ დღეს იცოცხლა!..
–ცრემლით აევსო თვალები ბელას,–
თითქოს იყო და არა იყო რა...

განმარტება

1. cowboy show – (ინგ.) ქოვბოების, ცხენოსნების წარმოდგენა.

2. შოუმენები – (ინგ.) წარმოდგენის წარმმართველები.

3. ანშლაგი – (გერმ.) თეატრსა და კინოში გამოკრული განცხადება იმის თაობაზე, რომ ყველა ბილეთი გაყიდულია.

4. პრეიბერია – იბერიის წინა ისტორიული ქვეყანა.

5. ტოპონიმიკა – (ბერძნ.) გეოგრაფიული ადგილების სახელთა ერთობლიობა.

–პეპლები მწერთა სახეობებში
მიმზიდველი და საოცარია!
სინაზის, ფერთა სიუხვის გამო
ადამიანებს გვიყვარს ძალიან.

საქართველოში აღწერილია
ორასზე მეტი სახის პეპელა.
ზოგი მათგანი იშვიათია,
გადაშენების გზას დგას ნელ–ნელა.

* * *

მეორე დილით კვლავ გაემართნენ,
მოინახულეს ჩოხატაური,
მაღალმთიანი მისი სოფლები,
ჭრელაჭრულები, ვით ხატაური[1].

გაისეირნეს ლამაზ ოზურგეთს,
გამრჯე, მშრომელი ხალხის ქალაქში,
რომელიც არის დაარსებული
ფეოდალიზმის გვიან ხანაში.

ერთ დროს ის გახლდათ მთელი გურიის
პოლიტიკურად მმართველი ცენტრი,
გურიელების[2] დიდ სასახლეში
მოღვაწეობდა მრავალი მეტრი.[3]

ავთომ და მისმა თანამგზავრებმა
ჯუმათის წმინდანს უძღვნეს კანდელი,
აღიკვნენ რწმენით, მაღალი ღმერთი
იქნება ქვეყნის უტყვი დამცველი.

* * *

მოინახულეს მშვიდი ურეკი,
მაგნიტიანი და რბილი სილით
და ნატანები– თვალსატანები...
მთელი გზა დატკბნენ მზისით და ზღვისით.

ამ გზის მშვენებას ვერ წარმოიდგენ,
თუ თვითონ თავად არ გაიარე;
სიხარული და აღფრთოვანება
მალ მოგიშუშებს სულის იარებს.

განმარტება

1. **ხატაური** – ჭრელი ქსოვილი.

2. **გურიელები** – გურიის საერისთაოს, შემდეგ გურიის სამთავროს გამგებლები. ასე ერქვა ფეოდალური სახლის უფროსს. დანარჩენ დიდებულებს ბატონიშვილებს უწოდებდნენ. 1850 წლიდან იქცა გვარად.

3. **მეტრი** – (ფრანგ.) აქ – მასწავლებელი, მოძღვარი.



პეპლების სახეობები საქართველოში



გურული მოჯირითეები ამერიკაში

ავტომობილის, თუ მატარებლის
ვზას შეუწყვეტლად გვერდით მიჰყვება
მცხუნვარე მზე და მწვანე ფაუნა,
ზღვა კი საოცარ ზღაპრებს გიყვება!..

გურიისა და აჭარის მთები
ახლოვდებიან, ხან გშორდებიან...
სუბტროპიკული და ტროპიკული
მცენარეები გესალმებიან.

* * *

ქობულეთი სულ ზღვის ნაპირს მისდევს,
პლაჟით და ჰავით ყველას იზიდავს,
სხეულსა და სულს რომ გაიკაჟებ,
მონატრება იქ ისევ მიგიყვანს.

ესეც, მცხუნვარე მზის ციხისძირი,
სამკურნალო და წყნარი კურორტი,
ბამბუკის, ტუნგის პლანტაციებით,
ჩაის, ციტრუსის, ხილის მწკრივებით.

ქრისტეშობამდე მეორასე წელს
აქ იყო „პეტრა“– ციხე–ქალაქი,
აშენებული სტრატეგოსისა,[1]
„ქაჯეთის ციხის“ მსგავსი ალაგი.

მოინახულეს ჩაქვი, ბაღებით
და მწვანე კონცხი – სასახლეებით,
ჭრელკენჭოვანი ფართო პლაჟით და
ზემოთ კი ტევრით[2], მცენარეების.

კონცხის კალთაზე თავი ამოჰყვეს
ბოტანიკური ბაღის ზღაპარში,
ას თხუთმეტ ჰექტარ მიწაზე გაშლილ
უმშვენიერეს, მდიდარ ნაკრძალში.

ცხრა ფლორისტული განყოფილება
სავსეა უცხო სახის ხეებით:
ამერიკულით, ავსტრალიურით,
ზელანდიურით და აზიურით.

განმარტება

1. სტრატეგოსი – (ბერძნ.) მხედართმთავარი.

2. ტევრი – ხშირი, გაუვალი, დაბურული ტყე.

ციხისძირი

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხედები

ჟაკოებსაც და ძია ავთანდილს
არ სჭირდებოდათ ვიდობა სხვისი,
თავად იხილეს ხუთი ათასზე
მეტი მცენარე სხვადასხვა ჯიშის.

ბაღი სავსეა ფრინველებით და
კოლხეთის ტიპის ცხოველთა ჯიშით.
მათ იცავს ყველა თანამშრომელი,
არ ემუქრებათ ვაქრობის შიში.

ტყე–ველის მკვიდრთა რაოდენობა
დედამიწაზე მეტად მცირდება,
ამიტომ ყველა სახის ბინადარს
გაფრთხილება და დაცვა სჭირდება.

დაღლილი ავთო კაფეში დაჯდა,
თუთიყუშები — ბანანის ხეზე,
გემრიელად რომ ისამხრა ყველამ,
დასხდნენ ბათუმში მიმავალ გემზე.

კარვა ხანს დუმდნენ... ჟაკი და ჟორჟე
ავთანდილს ესხდნენ ორივე მხარზე...
სამივე, ალბათ, ფიქრობდა ამას:
–რას გავაკეთებთ ხვალე, ანდა –ზეგ?!

–რას გავაკეთებთ?!– უხმო შეკითხვას
ხმამაღლა გასცა პასუხი ავთომ,–
დასრულდა ჩვენი მოგზაურობა –
სასიამოვნო და მეტად სარგო.

ახლა კი უკეთ გავაცნობთ ბათუმს,
შეგიყვარდებათ ბათუმელები,
ერთად ვიხილავთ მზის ჩასვლას ზღვაში,
ერთად ვიხარებთ დღის გათენებით.

დაიქირავეს ველოსიპედი,
ზოგი უბანი დალაშქრეს ფეხით,
ჩიტუნიები დაინტერესდნენ
„ალის და ნინოს“[1] ცხოვრების ბედით.

განმარტება

1. ალი და ნინო – ადგილზე მოძრავი ფიგურები ბულვარში. (ყურბან საიდის მოთხრობის პერსონაჟების მიხედვით).

ბათუმის პიაცა

ბათუმის სანაპირო

რესტორან „კოშკის“ სახურავიდან
დატკბნენ ზღვისა და ქალაქის ხედით,
აღფრთოვანებას ვეღარ მალავდნენ
თუთიყუშები ანბანის ძეგლით.

ლამაზი იყო ვარდების ბაღიც
და მომხიბლავი სივრცე, პიაცის...[1]
ბათუმელებთან ერთად მიირთვეს
სამადლობელი ამ მიწის, ამ ცის!..

* * *

დასახლდნენ ჩვენი ჩიტები კოლხეთს
და ავთანდილთან დაიდეს ბინა.
ჟაკი მიუჯდა „ვეფხისტყაოსანს“,
ჟორჟეტას კითხვა დააწყებინა.

ავთომ ჩიტები გიდებად გაწვრთნა,
ხვდებიან სტუმრებს ხმელეთზე, ზღვაში,
ეხმარებიან ყველა უცხოელს
ქართული სულის შემეცნებაში.

ყველა ბათუმელს იცნობენ კარგად
და არ სჭირდებათ იმათთან საშვი.[2]
ყველა მეგობრობს თუთიყუშებთან:
ხუთის, ათის თუ ასი წლის ბავშვი!

ჟაკუნამ მალე მსოფლიოს ამცნო,
ქვეყანა როგორ შემოიარა,
როგორ იპოვა „სამართლის წიგნი“,
რომელიც კურნავს სულის იარას!

რომ ვინც მას კარგად ჩაუღრმავდება,
აცდება „ტანჯვა, გმინვა, გოდება“,[3]
აღარ იქნება „სიცრუე, შური,
ყველა სიავე და ბოროტება.“[3]

* * *

ჩემო ძვირფასო მკითხველო ხალხო,
ხუთის, ათის თუ ასი წლის ბავშვო,
ჟაკის ამბავი აქ დავასრულე,
არ დავიმალავთ, ცოტათი ვნაღვლობ!...

თუმც, სადარდელი, ნეტავი, რა მაქვს?!
თქვენც ხომ ჩემსავით იყავით მგზავრი!
ამ წიგნით მუდამ ერთად ვიქნებით,
გულწრფელ ლოცვას და კოცნას გიგზავნით!

განმარტება

1. **პიაცა** – (იტალ.) მოედანი.
2. **საშვი** – წერილობითი ნებართვა სადმე შესასვლელად.
3. **ციტატა მამუკა სალუქვაძის წიგნიდან.**

რუსთაველი თამარ მეფეს „ვეფხისტყაოსანს“ მიართმევს



წიგნში გამოყენებული ილუსტრაციებისა და განმარტებათა წყარო

1. „ვებ“ გვერდები.

2. უცხო სიტყვათა ლექსიკონი (შემდგენელი მიხეილ ჭაბაშვილი; თბილისი; გამომცემლობა „განათლება“, 1973 წ.).

3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (მთავარი რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა; თბილისი, 1998 წ.).

4. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (შემდგენლები: ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი; თბილისი, გამომცემლობა „განათლება“. 1998 წ.).

5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (11 ტომეული. თბილისი, 1987 წ.).

ლუიზა აფხაზავამ 1968 წელს დაასრულა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1969–1977 წლებში საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში მუშაობდა, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთათვის რადიოგადაცემების რედაქტორად. 1979 წლიდან ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის 62–ე საჯარო სკოლაში. ქალბატონი ლუიზა მოსწავლეთათვის დაწერილი მრავალი ლიტერატურულ–მუსიკალური კომპოზიციისა და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრების ავტორი გახლავთ. 2005 წელს პროფკავშირების საერთაშორისო კონკურსის („მასწავლებელი ყველა ბავშვს სჭირდება“), 2007 წელს საქართველოს მასწავლებელთა საშემოდგომო კონკურსის („ირმის ნახტომი“), 2017 წელს ენჯეკომის ლიტერატურული კონკურსის („გიორგი კეკელიძის ლექსების – წერილები ღმერთს და მამაჩემს – წაკითხვის შემდეგ“) საუკეთესო ესეს პირველი ადგილების მფლობელია. 2011 წელს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის პიესების კონკურსში ჟიურის პრიზით დაჯილდოვდა. 62–ე სკოლაში ხელმძღვანელობდა ბეჭდურ გაზეთს, „ინტელექტუალი“. 62–ე სკოლის 75–ე წლისთავისათვის (2008წ.) მისი სცენარითა და რეჟისორობით შეიქმნა დოკუმენტური ფილმი. წერს ლექსებსა და მოთხრობებს.